

VII

ენკენისთვა

VII



რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს და ავენტებს ჟურნალის
 ხვედრი ფულის დაუყოვნებლივ გამოგზავნოს

შინაარსი: 1) დედის მოვალეობა ბავშვის დაბადებამდინ (თარგმანი)—**ლ. ბოცვაძე.** 2) წყალი და მის გაწმენდის საშუალებანი—**ვ. კაკაბაძე.** 3) დაფარული სიტყვები (ანბნობა)—**ზ. ჩიჩუა.** 4) ბავშვი და მეცნიერება (თარგმანი)—**კატო ბაქაძე.** 5) ლეკენდის განმარტება—**ილ. ალხაზიშვილი.** 6) ცრემლთა წიადში—**მის. ბოკორიშვილი.** 7) ბნელა—**ილ. გოკია.** 8) სიუვარული (ლეგენდა)—**ლ. ძიძიგური.** 9) მამიტევე—**დ. თურდოსპირელი.** 10) განვითარდი სოფელს—**ა. გაფრინდაშვილი.** 11) საფლავი—**ლადო გეგეჭკორი.** 12) ძიება—**ს. ტაფუნი.** 13) მოხსენება სკოლებში ხატვა-ხაზვის სწავლების შესახებ—**მ. კაკაბაძე.** 14) ქალაქისა და სოფლის მასწავლებელთა საუურადღებოდ. 15) სასწავლო გეგმა 1881 წლისა. 16) სასაღვთის მასწავლებელთა საუურადღებოდ. 17) ხმა ქართლიდან—**მას. ლაზარეშვილი.** 18) უმატიონისა შედგოგები—**ნოშრევანი.** 19) ალექსი ბესარიონის ძე ჭაჭინაძე. 20) გაშოსაღებება—**ა. ჭიჭინაძე.** 21) სასაღვთის განათლების მოღვაწენი—**იასონ კახანაძე—შეგობარი.** 22) სიტყვა, თქმული ტფილისის ქართულ გიმნაზიაში—**დეკ. კ. ცუნცაძე.** 23) მიმართვა ტფილისის ქართული გიმნაზიის მასწავლებლებსადმი—**ალ. ჭიჭინაძე.** 24) დადებუდი საქმე—**ლ. ბზვანელი.** 25) ქვედა-დიმის სკოლის ექსკურსია—**თ. ჭყონ დიდელი.** ბიბლიოგრაფია.

დამატება: ქ. შ. წერა-კითხვის გამავრ. საზოგ. 1914 წ. შემოსავალ-გასავლის საგარეოდ ხარჯთ-დარიცხვა. ქ. შ. წ.-გ. გამ. საზოგადოების სკოლებსა და ბიბლიოთეკების მეთვალყურის, გრ. ბურჭულაძის მოხსენებანი წ.-გ. საზ. სკოლების შესახებ: 1. სკოლის სკოლა, 2. ბათუმის სკოლა, 3. საგურამოს სკოლა, 4. ბაქოს სკოლა.

ШКОЛА И ЖИЗНЬ

ЕДИНСТВЕННАЯ ЕЖЕНЕДЕЛЬНАЯ ОБЩЕСТВЕННО-ПЕДАГОГИЧЕСКАЯ
 ГАЗЕТА СЪ ЕЖЕМЪСЯЧНЫМИ ПРИЛОЖЕНИЯМИ.
 Подъ общей редакціей Г. А. ФАЛЬБОРКА.

4-й г. изданія	Открыта подписка на второе полугодіе 1194 года	4-й г. изданія
-------------------	---	-------------------

Въ числѣ бесплатныхъ приложеній за второе полугодіе (всего около 40 печ. листовъ) подписки получаютъ „Сборникъ по физическому воспитанію“ и только что вышедшую въ Швейцаріи дополненнымъ изданіемъ книгу бывшаго вѣнскаго, а нынѣ мюнхенскаго профессора по педагогикѣ

Фридриха В. Ферстера ШКОЛА И ХАРАКТЕРЪ

(Нравственно-педагогическія проблемы школьной жизни).—Книга затрагиваетъ самыя основныя вопросы, напр.: о школьной жи, товариществѣ, самоубійствѣ, дисциплинѣ, повинности и т. д.

Желающіе подписаться за весь годъ могутъ получить вышедшіе 26 №№ газеты и приложенія за первое полугодіе:

Образовательная и воспитательная задачи современныхъ музеевъ. Сборникъ статей под. ред. Л. Г. Оршанскаго. (78 стр.)

Геркертъ Стенсертъ. Статьи о воспитаніи (176 стр.)

Эд. Эртли. Народная школа и трудовое начало. (81 стр.)

Фридрихъ Шольцъ. Недостатки характера въ дѣтскомъ возрастѣ. (168 стр.)

Подписная цѣна (съ прилож.): на годъ на 6 м. на 3 м.
 Съ доставкой и пересылкой 6 р. 3 р. 2 р.

Новый адресъ Редакціи и Конторы: Лиговская ул., д. 87.

განათლება

(წელიწადი მეშვიდე)

VII

ენკენისთვე

1914 წ.

ჟურნალი წლიურად ღირს 4 მან.
ნახევარი წლით . . . 3 მან.
სახალხო სკოლების მასწავლებლებს.
ჟურნალი დაეთმობათ წლიურად
3 მან.

ცალკე ნომ-
რის ფასი

40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება **თფილისში** „წერა-
კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“ და
„ნაკადულის“ რედაქციაში. წერილები და
ჟურნალის ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ად-
რესით: **Тифлисъ, Дворянская Грузинская**
Гимназія. Л. Г. Боцвадзе.

დ-რი მ. გილფერდინგ-ჭენისბერგი

დედის მოვალეობა ბავშვის დაბადებამდინ

შრავალი ბავშვი იბადება ქვეყანაზე
ოველ დღე, მაგრამ მხოლოდ იმათი მცი-
ე რიცხვია გაჩენილი დედ-მამის სრულის
ალისით და შეგნებულად, და უფრო
აკლები კი—იმ პასუხისგების შეგნებით,
იაც მშობლებს აწევსთ კისრად შვილის
აჩენის დროს.

ახალგაზდა დედა სრულიად მოუმზადე-
ელი და უვიცია ახალის საქმისა. დედო-
რები მოვალეობის ასრულებაში იგი მუ-
ამ საჭიროებს საქმის მკოდნე ადამიანე-
ის რჩევა-დარიგებას, დანმარებას. სრუ-
იად სამართლიანია ის საზოგადო ჩივი-
ი, რომ ვერც სკოლა და ვერც ოჯახი
ერ ამზადებენ ქალებს დედობისათვის.

მაგრამ ბუნებრივი ინსტინქტი ქალში
მაინც ძლიერია.

ახალგაზრდა, გულობრყვილო ქალები,
ჯერ კიდევ ბავშვები, დედობრივი გრძნო-
ბის გავლენით თითქოს გარდიქმნებიან და
ქკვიან დედა-კაცებად ხდებიან ხოლმე.

ქკვიანი დედა-კაცები, რომლებიც მეც-
ნიერებას ან ხელოვნებას მისდევდნენ,
სტოვებენ სამეცნიერო საქმესა და გასარ-
თობებს მისთვის, რომ მთლად განიმსჭვა-
ლონ იმ საქმით, რომელიც მათთვის ბუ-
ნებას მიუნიჭებია.

ისეთი დედაკაცებიც, რომლებიც უმიზ-
ნოდ და უაზროდ ატარებდნენ დროს,
როცა დედა გახდებიან, სერიოზულად

სწირავენ მთელს თავის სიცოცხლეს ბავშვების აღზრდას.

და ყველა ეს დედაკაცები მშვენიერი დედები ხდებიან; უბრალო მუშა დედაკაცი და კნინა თანაბრად ამოძრავებენ თავიანთ ფიზიკურსა და გონებრივს ძალებს შვილების აღსაზრდელად, ბავშვი თანაბრად ხდება მათი ინტერესის ცენტრად; ფიზიკურად მშრომელი მუშა დედაკაცი და გონებრივად მშრომელიც ამ შემთხვევაში ერთმანეთს უახლოვდებიან: ერთიც და მეორეც ერთგვარის ხალისით სწირავენ მსხვერპლს ბავშვის გულისთვის.

რამდენადაც დედობრივი ინსტიქტი ძლიერია დედაკაცში, იმდენად ბუნებაც ძლიერ ზრუნავს მომავალ თაობისათვის.

რა პირობაში იქნებოდა მომავალი თაობა, რომ დედებს, რომლებიც ეხლა სრულიად შეუგნებლად, მარტო წმინდა ცხოველურის ინსტიქტით, სრულიად მიზან-შეწონილად იკცევიან, სრულის ცოდნით და საქმის ცხადის შეგნებით მიეყოთ ხელი თავიანთი დანიშნულების შესრულებისათვის?

შემთხვევით, ინსტიქტიურად კარგი დედობა საკმარისი არ არის, საჭიროა სრულიად შეგნებული კარგი დედები და მათი მომზადება ამ საქმისათვის.

მართალია, ისეთს ოჯახებში, სადა მრავალი ბავშვი, მეექვსისა თუ მერვე შვილის შემდეგ დედა გამოცდილებით სწავლობს შვილების აღზრდას. მაგრამ განა ის დაგვაკმაყოფილებს, რომ უკანასკნელ შვილებს კარგი დედა ეყოლებათ, როცა პირველებს სრულიად მოუშადადებელი და უვიცი დედა ზრდიდა?

როგორც სხვა და სხვა პროფესიებში ვეძებთ სხვის ცოდნას და გამოცდილებას, ისე უნდა ვეძებდეთ მას აღზრდის მეცნიერებაშიაც.

მართალია, აქ ჩვენ შეგვხვდება სიძნელე იმ მხრით, რომ კარგი დედობის ხელოვნება მარტო მრავალის გამოცდილების, ჰიგიენური პრინციპების და ზნეობრივი წესების შეთვისებაში არ არის. დედისათვის, როგორც ხელოვანისთვისაც ტექნიკური სისრულე, არსებითს მხარეს, მისი პროფესიის მთავარ შინაარსს არ შეადგენს. და ეს რაღაც უაღრესი, რაოდენადმე—მხატვრული ელემენტი დედის მოწოდებაში, რომელიც უფრო მექანდაკის შემოქმედებას გვაგონებს, ვერ შეისწავლება ვერც წიგნიდან, ვერც სკოლაში. ცნებისათვის „დედა“ ვერავითარს მაგალითს ვერ წამოვაყენებთ.

ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ცოდნა საჭირო არ იყოს, თითქოს დედობა მარტო წმინდა ცხოველური ინსტიქტი იყოს.

არა, მხოლოდ ცოდნით, გამოცდილებით და ინსტიქტით ერთად შეუძლიან ადამიანს უკეთ მიაღწიოს დანიშნულს მიზანს. არის დედობის ტექნიკა, რომლის შესწავლაც შეიძლება და ასწავლიან კიდევ გერმანიაში ბავშვთა თავშესაფარში, ბალებში, საპედაგოგიო სემინარიებში, მაგრამ ეს ტექნიკა თავისთავად ქალებს კარგ აღმზრდელებად, კარგ გადიებად ჰხდინა და არა დედებად.

როცა რაფაელზე ამბობენ, იგი უდიდებულესი მხატვარი იქნებოდა უხელოდაც. რომ დაბადებულ იყო, ჩვენ მანც არ შეგვიძლიან დავფაროთ, რომ რაფაელი მაშინ უბრალო „მხატვარიც“—კი არ იქნებოდა. და ის დედაკაცი, რომელსაც მიღრეკილება აქვს უმშვენიერესი დედა შეიქმნეს, შესძლებს თავისი შვილების აღზრდას, თუმცა მას არ აქვს ფიზიკური და სულიერი გამოცდილებანი, რომელთაც სხვა დედაკაცები საბავშვო თავშესა-

არში, საბავშვო ბაღებში და სკოლებში
ტენენ. მეორე მხრით დაწვრილებით და
ინდისიერად შესწავლაც ბავშვების მოვ-
ლის ტენიკისა საკმარისი არ არის დე-
დობრივის მოვალეობის შესასრულებლად.

არიან ბავშვები, რომელთაც კარგად
სწავებენ, სუფთად აცმევენ; ისინი გამგონე
ზრდილობიანებიც არიან, დედაც ყველა-
ფერში შველის მათ, მაგრამ დედებმა მაინც
არ იციან რა არის დედობრივი სიყვარული.
ოგი დედები ხანდახან სასტიკად სჯიან
აივანთ შვილებს, მაგრამ მაინც საუკე-
ესო დედები არიან, ვიდრე ისინი, რო-
სტონიც რბილად ეპყრობიან შვილებს.

დედები მღაბიო ხალხიდან, რომელთაც
ერაკითხვაც-კი არ იციან, ხანდახან დე-
ობრიობის გენიოსები გამოსულან. და
არიან დედაკაცები—**დედები**, თუმცა შვი-
ლები არაოდეს არ ჰყოლიათ.

დედობრივი ინსტიქტის ყოველს ნასახს,
ომელიც ყოველს ქალში ჰფეთქავს, შე-
ქლიან განვითარდეს. ჩვენც უნდა ხელი
უწყუყოთ მის განვითარებას მოზარდს
აღებში. ჩვენი მისწრაფება კარგი დედე-
ას აღზრდისკენ ხშირად შეიძლება უნა-
ფოც იქნეს, მაგრამ ჩვენ შეგვიძლიან
ლებს გავაცნოთ ბავშვების მოვლის ძი-
თადი კანონები, მათი საზრდოობის და
ზრდის საქმენი; ამ სახით მომავალ
აზბას ჩვენ კარგს აღმზრდელებს და
რგად განათლებულ გამდელებს მაინც
ესცემთ. და არიან დედაკაცები, რომ-
ფიცი თავისს ნიჭს მხოლოდ მაშინ გა-
აჩენენ, როცა ბავშვების აღმზრდელები
ქნებიან.

ერთმა სოფლეღმა მოხუცებულმა ბებია
დაკაცმა ერთხელ ძლიერ მოსწრებული
სწორი სიტყვა მითხრა: „ქალებს, რო-
ლთაც თავისი დედის ძუძუ უწოვიათ,
ლოს ძუძუები უკეთ უვითარდებათ,

გულიც უფრო კეთილი აქვთ, ვიდრე იმათ,
რომელთაც ძიძის რძე უწოვიათ, ან რო-
მელნიც ძროხის რძით უსაზრდოებიათ“.
ეს არსებითად იმას ნიშნავს, რომ ქალებს
დედისაგან თან დაჰყვებათ ფიზიკური მიდ-
რეკილებანი დედობისაკენ. (ძუძუების გან-
ვითარება, უნარი საკუთარის რძით საზრ-
დოობისა) და სულიერი მიდრეკილება
(კეთილი გული).

იგივე შეგვიძლიან ვსთქვათ მშობლები-
სა და წინაპრების თვისებათა მემკვიდრეო-
ბით გადაცემაზედაც. საღსა და ძლიერს
ოჯახებში, რომელშიაც მემკვიდრეობით
არ გადასულა—რამდენადაც ამის გამოც-
ნობა შესაძლებელია—არავითარი სხეუ-
ლისა და სულის სნეულებანი, უკანასკნე-
ლი თაობის დედები ძლიერ საღი და მშვი-
დი არიან; ასეთივე დედები იზრდებიან
ოჯახებში, სადაც მშობიარობას მშვიდო-
ბიანად და ადვილად ჩაუვლია, სადაც დე-
დები თვითონ ასაზრდოებდნენ თავიანთს
შვილებს. მსგავსად იმისა, როგორც სა-
ქონლის პატრონი იქცევა, თუ რა ჯიშის
საქონელი უნდა გაუშვას სადგამურად,
მოსაშენებლად; მსგავსად იმისა, რომ იგი
არ შეურჩევს ისეთს ცხოველებს, რომლე-
ბიც ტანის მოყვანილობით არსებითად
განირჩევიან ერთმანეთში, მსგავსად იმისა,
რომ საქონლის პატრონი მოსაშენებლად
ავადმყოფ ცხოველებს არ გაუშვებს, სწო-
რედ ისე მეუღლის არჩევის დროს ვინც
მოწოდებულია დედობისათვის არ უნდა
ინელმძღვანელოს იმ პრინციპებით, რი-
თაც ჩვეულებრივ ხელმძღვანელობენ და
არც შეუღლდენ ისეთები, რომლებიც ფი-
ზიკურის აგებულობით ერთმანეთს არ
უდგებიან. მშობლების ჯანსაღობა—არა
თუ სამკვიდროა შვილებისათვის, არამედ
მათი სიჭაბუკის უზრუნველმყოფელიც
არის.

თუ მამაკაცი სერიოზულად დასწავლულია გულის, თირკმლების ან ფილტვების ავადმყოფობით, არ უნდა გააჩინოს ქვეყნად შვილი, იმიტომ რომ ავადმყოფობის გამო მას არ შეეძლება საკმარისად შეასრულოს თავისი მშობლიური მოვალეობა საჭირო დროს განმავლობაში; მეორე მხრით დედა ან მამა თუ ქლეკით, ათაშავით ან სულის ავადმყოფობით არიან შეპყრობილნი, ექიმის დაუკითხავად და ნება დაურთველად არ უნდა აჩენდნენ შვილებს, რადგანაც მათი საბედისწერო სწეულებანი შვილებსაც თან დაჰყვებათ.

ყველა ქალი; რომელიც გათხოვებას აპირებს, სერიოზულად უნდა სჯიდეს— შეუძლიან დედობა და აქვს ამისთვის საჭირო სულიერი და ფიზიკური განწყობილება თუ არა. და იმ შემთხვევებში, როცა შესაძლებელია ნაკლულევანებათა მოშორება, ის უნდა მიისწრაფოდეს მოიშოროს თავიდან ეს ნაკლი და შეუდგეს თვითგანვითარებას, სრულყოფას.

წინად დიდედებს და დიდების დედებს სასურველად მიაჩნდათ თორმეტამდის და მეტი შვილიც ყოლოდათ და აღეზარდათ. ჩვენ დროში, როცა ბრძოლა არსებობისათვის გართულებულია, ასეთი ნაყოფიერება დიდს პასუხისმგებებაში აყენებს ადამიანს. ახლანდელს დროში დედაკაცსაც მუდამ ორსულობა არ შეუძლიან. თვით ბუნებაც-კი ეწინააღმდეგება ამას, რადგანაც დიდი მანძილი სჩანს ნორმალურს ორსულობათა შუა; ბუნება სწყვეტს ამ ჯაჭვს უწყსოთ ჩატარებული ორსულობით, მუცლის წახდენით, უდროოდ დაბადებით, რომელნიც მეტად მავნებელია დედის ჯანსაღობისათვის, ვიდრე ნორმალური მშობიარობა. ბევრი ბავშვის ყოლასაც თავის თავად არავითარი ეკონომიური ღირებულება აქვს. ზოგი დედაკა-

ცები, რომელთაც 18—20-ჯერ მოულო გინებიათ, აძლევენ კაცობრიობას ერთს თუ ორს საღს ბავშვს; დანარჩენებს ზოგდლის სინათლევ ვერ უხილავს, ზოგიც ადრე დახოცილან ავადმყოფობის გამო და გარდა დედის მუცელში ტანჯვისა და შობის ფიზიოლოგიურ პროცესისა არაფრის კვალი დაუტოვებიათ.

ასეთი ბავშვების უმიზნოთ გამრავლებს ამცირებს იმ ბავშვების უფლებას, რომლებიც იზრდებიან. ცოლქმართ უნდა შეიგნონ პასუხისმგებლობა თავისი შვილების წინაშე, როცა შვილებს აჩენენ. დედამ უნდა იცოდეს, რომ მისი სხეული მუდმივი ორსულობით უდროოდ ბერდება, ჯაფის ატანას ვერ უძლებს და უსლურდება.

ნაპოლეონი ამბობდა, რომ იგი ყველაზე მაღლა იმ ქალს აყენებს, რომელსაც ბევრი შვილი გაუჩენიაო. მე-კი მგონია, ჩვენ ყველაზე მაღლა იმ დედებს უნდა ვაყენებდეთ, რომელსაც ისე აღზრდილი თავიანთი შვილები, რომ ისინი სალი მუშა-ადამიანები გამოსულან.

მომავალ თაობისათვის მცირე მნიშვნელობა არ აქვს დროს არჩევას, როცა ქალი დედა უნდა გახდეს. საზოგადოთ უფრო ჯანსაღი და განვითარებული შვილები ჰყოლიათ ისეთს დედებს, რომელნიც 20—30 წლისანი ყოფილან. ასეთი ქალები უფრო ადვილად იტანენ ორსულობას და მეტ ნიქსაც და დედობრივს უნარსაც იჩენენ ბავშვების აღზრდაში, თავისი რძით საზრდოებაში. დედობრიობის რეტერესისათვის ჩვენ უნდა მოვითხოვოთ რომ ქალმა სქესობრივი ცხოვრება მხოლოდ მაშინ დაიწყოს, როცა მისი სხეული სრულიად მომწიფებულია დედობრიობის მოვალეობისათვის. როცა 14—15 წლის ქალს შვილს აშობინებენ, ეს ბა-

ბაროსული ჩვეულებაა, რომელსაც ცუდი გავლენა აქვს, როგორც დედაზე, ისე ბავშვებზედაც. ამ ნიადაგზე ხშირად უცნაური ამბებიც ხდება: ამას წინად ვენაში ასამართლებდნენ თოთხმეტი წლის დედას თავის მოვალეობისადმი დაუდევრობისაგამო. ამიტომ სასურველია, რომ კანონი, რომელმაც უნდა დაითაროს ქალის სქესობრივი ცხოვრება, ისე უნდა შეიცვალოს წლოვანების გაგრძელებით, რომ პირველმა დედობამ არავითარი ზიანი მოუტანოს ახალგაზრდა ქალს, არც ფიზიკური, არც სულიერი და არც ნივთიერი.

თუ ორსულობა — „სასიამოვნო სასჯელი დედაკაცის ხვედრი“ — გარემოცულია ტანჯვითა და ზრუნვით, ეს სიტყვები ყველაზე უფრო პირველ ორსულობას ეხება. პირველი ორსულობა მეტად სამძიმოა ასეთის ტანჯვის უჩვეულო დედაკაცისათვის, ვიდრე შემდეგი ორსულობა; პირველ ორსულობას თან დააპყვება უჩვეულო ფიზიკური უძლურება, გუნება ნაქცეობა, რომელიც ხან ძლიერ აღიზიანებს და აწუხებს, ხანაც სრულიად უშფოთებს სულს; პირველი ორსულობა აუწყურებს შიშს აგრძობინებს დედაკაცს ლოგინობის დროს, იწვევს მასში გადაქარბებულს ფანტასტიურ წარმოდგენილებას მომავალში მძიმე ზრუნვისა გამო; ეს ისეთი დროა, როცა დედაკაცს მეტად ესაჭიროება მეგობრული რჩევა-დარიგება, რომლის გავრცელება ქმრისგან ან დედისაგან მისთვის უფრო სასიამოვნოა.

და ეს უკანასკნელი ვადაა, რომელსაც ბუნება აძლევს მოუმწიფებელს ქალს, რომ მოიფიქროს თავისი დედობრივი მოვალეობის შესახებ და მოემზადოს მისთვის.

პირველი და უსაჭიროესი მოვალეობა დედისა არის ხელი შეუწყოს ჩასახული

სხეულის განვითარებას, შეძლება მისცეს ნაყოფს დაუბრკოლებლად მომწიფდეს დედის მუცელში.

ბევრს და სხვა და სხვაგვარ დარიგებას უნდა ასრულებდეს ორსული დედაკაცი თავის ცხოვრებაში. მართალი რომ ვსთქვათ, არ შეიძლება რისამე მტკიცედ შემოღობულისა და ყველგან ხმარებულის წესის პირდაპირ რჩევა. მაგრამ ყველაზე უფრო ერთი წესი უსათუოდ დაცული უნდა იქმნეს: ორსული ქალის ცხოვრება ბევრში არ უნდა განსხვავდებოდეს წინა ცხოვრებასთან. ვინც ფიზიკურ შრომას იყო დაჩვეული, დეე ზომიერად იშრომოს ორსულობის დროსაც. ვინც უსაქმურობას და ცუდად ჯდომას იყო მიჩვეული, იმას ნუ გაიტაცებს წიგნიდამ ამოკითხული ან ნაცნობ-მეგობრების რჩევა მეტი მოძრაობისა და ერთბაშად ფეხით ხანგრძლივი სეირნობის შესახებ. ორსული დედაკაცი ისე უნდა სცხოვრობდეს, როგორც პიტიენა მოითხოვს, ზოგიერთის გამოწვევით, რაც ორსულობის გამო იქნება გამოწვეული. უფრო მეტი სიფრთხილე ორსულ დედაკაცს ორსულობის პირველ თვეს და ლოგინობის რამდენისამე ხნით წინად ჰმართებს. თუმცა ზოგი ორსული ქალები ადვილად იტანენ ბანაობას, ცხენოსნობას, ველოსიპედით სიარულს და მგზავრობას, მაგრამ სჯობიან თავი შეიკავონ. სამაგიეროდ საჭიროა სხეულის სისუფთავეზე ზრუნვა. უფრო კი ორსულობის უკანასკნელ თვეში თბილი ვანები ძლიერ უწყობს ხელს მშვიდობიანად მოლოგინებას. საჭიროა აგრეთვე წესიერად მოძრაობა სუფთა ჰაერზე. არ უნდა ატარონ ვიწრო საცმელი. კორსეტი უშლის სხეულის თავისუფლად განვითარებას და ხელს უშლის მუცლის კუნთების მუშაობას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მშო-

ბიარობის დროს. ყველა ქალმა, რომელიც-კი დედობასა ჰფიქრობს, ხელი უნდა აიღოს თავისი სხეულის სილამაზის შესახებ ზრუნვაზე, მაგრამ სანამ არიან კიდევ ქალები, რომელთაც ორსულობა სიმახინჯედ და უსიამოვნოდ მიაჩნიათ, მანამდის არა ერთხელ ვიხილავთ ისეთს გასაოცარ საცმელებს, რომლითაც ორსული დედაკაცები თავიანთ მდგომარეობას ჰფარავენ და საქმით კი აღწევენ სულ წინააღმდეგ მიზანს. ესრედ წოდებული ბიუსტ-ჰალტერი იცავს ძუძუებს სიმკვანარისა, სიდუნდულისა და სისუსტისაგან. იუბკები არ უნდა შემოიკრან ტანზე; არამედ დიამაგრონ საშველი თასმებით, რომელიც მხრებიდან ჩამოეშვება. არას შემთხვევაში არ უნდა ატარონ მრგვალი საკრავები არც წვივზე და არც წვივის ზემოთ. ასეთი საკრავები ისედაც აძლიერებენ ვენების გაფართოებას, რაც შენიშნულია ორსულობის დროს. ორსულობის უკანასკნელ თვეში ძლიერ ჰშველის შესაფერისად შეკერილი მუცლის არტახი, რომელიც უშლის მუცლის ძლიერ გამობერვას; მაგრამ მისი მუდამ ტარება საჭირო არ არის. მოლოგინების შემდეგაც ცოტახნობით უნდა ატარონ ასეთი არტახი შესაფერისად გადაკეთებული.

ორსულობის დროს დედაკაცის ჩაცმულობა არც ბევრს რასმე უნდა წარმოადგენდეს და არც მოდის მიხედვით შეკერილს. საცმელი არც ვიწრო უნდა იქმნეს და არც მოკლე. ორსული დედაკაცი მოლაზე არც უნდა იცვამდეს და საზოგადოთ არც უნდა იყვეს მოდის მიმდევარი.

რაც შეეხება ორსულობის დროს სმაჰმას, აქაც იგივე წესი უნდა დავიცვათ: „ისე, როგორც წინააღმდეგ“. ბევრი ქალი ორსულობის დროს უფრო მეტსა სჭამს, ვიდრე ყოველთვის; ზოგი-კი — შესამჩნევად

ნაკლებს. არც ერთი და არც მეორე საშიში არ არის. ორსულობის დროს სისრულისა და გასუქების შიში უსაფუძვლოა, რადგანაც მშობიარობის შემდეგ ბევრჯელ ჰკარგავენ ყველა შეძენილის სისრულე, რომელიც მშობიარეს რჩება, შეიძინება ჩვეულებრივად მხოლოდ ბავშვის ძუძუთი საზრდოების დროს, იგი ფიზიოლოგიური მოვლენაა და დიეტურიისა და ჰიგიენური ზომების მიღების შემდეგ ჰქრება, როგორც ბავშვს ძუძუს გააშვებინებენ. ზოგს ჰგონია, თუ ორსულობის დროს დედაკაცმა ბევრი სჭამა, ბავშვი ხორციანი იქნება და მშობიარობა უფრო ძნელია, მაგრამ ეს აზრი უსაფუძვლოა; ზოგი ორსული დედაკაცი ყურს უგდებს სულელურს ზღაპრებს და მიმართავს სხვა და სხვა გასახდომ ზომებს, ლიმონს და სხ. მაგრამ ყველა ამისთანა ზომები უგუნურებაა, რადგანაც ორსულ დედაკაცს ართმევს საჭირო ძალას მოლოგინების წინ ე. ი. იმ დროს, როცა ეს ძალა მისთვის უფრო საჭიროა. ამ სახით, ვისაც მაღა აქვს, სჭამოს რამდენიც ნებას და გული გაიკეთოს იმით, რომ სჭამოს ორის მაგიერ. არა ნორმალური გულის ნდობა ჰქამაში (რომელიც ორსულ დედაკაცებს არც ისე დიდი აქვსთ, როგორც ამბობენ) უნდა დაკმაყოფილებული იქმნას ხანდახან ორსულები ადვილად ინელეგენტი მძიმე საჭმლებსაც.

ორსულობის დროს სმა-ჰმას ხშირად პირღებინებაც მოჰყვება ხოლმე. ზოგს როგორც პირღებინება შესწყდება, მაშინვე შეუძლიან ჰამა განაგრძოს, ზოგი-კი მიეკარება თუ არა საჭმელს, მაშინვე აუტყდება ხელახლად პირღებინება. თუ ორსული დედაკაცი ვერ ეგუება ზოგიერთ საჭმელს, თავისუფლად შეუძლიან რამდენისამე კვირის განმავლობაში დიეტაზე

შეჩერდეს (რძე, რძის საქმელები, კვერცხი და სხ.). ხანდახან-კი საკმარისია წამოწვევს ლოგინზე დილ-დილობით მიიწვი.

ხანდახან მაგარს საქმელს უფრო ინტერესს ორსული, ვიდრე წვნიანს. დილ-დილობით პირღებინებას ხშირად ჩოთქით კბილების ხეხვა იწვევს, ამიტომ კბილების ხეხვა სხვა დროსთვის უნდა გადაიდვას.

გულის რევის დროს ხშირად შველის პიტნის კვერები. კონიაკი და ღვინო სრულიად არ უნდა სვან, რადგანაც შეიძლება ალკოგოლი ჩვეულებრივი სასმელი გახდეს. საზოგადოთ ამ დროს საქმლის მონელება ფერხდება, რომელიც შესაფერისის დიეტით უნდა იქმნას მოშორებული; თუ ეს არ უშველის, უნდა გაიკეთონ ოყნა, ან მიიღონ საფარადათო ზეთი ან კარსლბადის წყალი. მეორე თუ მესამე თვეზე ორსულებს ძლიერ აწუხებს ხშირად შარდზე გასვლა; ეს არა სასიამოვნოა, მაგრამ ეჭიმის ჩარევას არ მოითხოვს.

ვენის გაფართოებისა და ფეხების დასიების წინააღმდეგ, რაც ორსულობის უკანასკნელ თვეში მოხდება, ხმარობენ ფლანელის არტახებს, რომლითაც ფეხებს შეიკრავენ ხოლმე. თუ სიმსიმინე ძლიერია და ხანგრძლივი. თუ ხშირად შარდზე გასვლა დიდხანს გრძელდება, თუ შარდში შეამჩნევენ სისხლსა და ჩირქს, საჭიროა იქნება შარდის ქიმიურად გამოკვლევა.

სქესობრივი დამოკიდებულება ორსულობის დროს აკრძალული არ არის, მაგრამ ორსულობის პირველსა და უკანასკნელს კვირებში იშვიათად და ძლიერის სიფრთხილვით უნდა ხდებოდეს. ეს დამოკიდებულება სრულიად აკრძალული უნდა იქმნას, როცა ქალს მუცლის წახდენის ფიზიოლოგიური მიდრეკილება აქვს; მაშინ საჭიროა დიდი სიფრთხილე (ავადმყოფი ლოგინში უნდა იწვევს, ყოველგვარ

გალიზიანებას მოკლებული უნდა იყვეს).

ხალხური თქმულება ამბობს, რომ ორსული დედაკაცი შელოცვილია ზრუნვისა და მღვლვარებისაგანო და მართლაც იგი ხშირად ადვილად იტანს ბედის უკუღმართობას. შეიძლება ორსული დედაკაცის სულის სიმშვიდის მიზეზი ისიც იყოს, რომ იგი მთელი ორსულობის დროს მუდამ მომავლითა სცხოვრობს, რომ მას მუდამ თვალწინ თავისი დედობრივი მოვალეობა ესახვის. გარშემო მყოფნიც უნდა ცდილობდნენ არ დაურღვიონ ორსულ დედაკაცს ეს სულის სიმშვიდე, რადგანაც მასზეა დამყარებული ბედნიერი მომავალი. თვითონ ბუნებაც ამ დროს თითქოს ხელს უწყობს დედას. უძლურება, დამოკიდებული ორსულობასთან, და ნერვების მოშლაც ორსულობის პირველი თვის შემდეგ თავისთავად ჰქრება. ბავშვი აჩუქუნდება დედის მუცელში და დედაც უნებლიედ იგრძნობს პირადს კავშირს ჯერ კიდევ მუცელში მყოფ ბავშვთან. გადიდებული მუცელი ძალას ატანს ორსულ დედაკაცს დამშვიდებულ შინაურ ცხოვრებაში. შფოთიანი ძილი და მოშლილი ნერვები ორსულობის პირველი ხანებისა ღრმა და საღ ძილად იქცევა და ნერვებიც მშვიდდება.

მხოლოდ ერთი ზრუნვა მუდამ აშფოთებს დედაკაცს: ეს არის შიში მშობიარობისა. ამ დროს ისედაც აღფლავებულს დედაკაცს არ უნდა უამბონ რამე მშობიარობის სიძნელის შესახებ, არც წასაკითხად უნდა მისცენ ისეთი წიგნები, რომელშიაც მშობიარობაზეა ლაპარაკი და სადაც მეტი ადგილი ისეთს აწერილობას აქვს, რომელსაც პათოლოგიური შემთხვევები შეიცავენ. ორსულ დედაკაცებს უნდა ურჩევდნენ მშობიარობის შემდეგ ჰიგიენის, ბავშვის ძლიერ საზრდოე

ბისა და მისი განვითარების შესახებ წაიკითხონ ხოლმე. ორსულობის დროს მეტად საჭიროა ექიმის რჩევა. ექიმის გამოკვლევით შეიძლება დარწმუნებით იწინასწარმეტყველოს კაცმა, თუ როგორ ჩაივლის მშობიარობა, შეიძლება გაგება იმისი, თუ რამ დაბრკოლება იქნება და იმის თავიდან აცილებაც.

ყველა პირველად დაორსულებული დედაკაცი უნდა მიმართავდეს ხოლმე ექიმს, მაშინაც-კი კარგადაც რომ გრძნობდეს თავს. ექიმისგან რჩევის მიღების შემდეგ უფრო დამშვიდებით შეუდგება მომავლის ლოდინს. თუ ორსული დედაკაცი მართლა ცუდადა ჰგრძნობს თავის თავს, უსათუოდ უნდა მიმართოს ექიმს, რომელსაც შეუძლიან მხოლოდ გამოცნობა ყოველის ფიზიოლოგიურისა და პათოლოგიურისა.

აი რას სწერდა სხვა მრავალ ღრმა რჩევათა შორის 150 წლის წინად თავისს ორსულ ქალს მარიამ ანტუანეტს იმპერატრიცა მარიამ—ტერეზია—“ყურს ნუ უგდებ ბებერ დედაკაცებს, გჯეროდეს ექიმისაო“.

მშობიარეც და ახალგაზრდა დედაც უსათუოდ უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ ყოველგვარის სოფლის ექიმობისაგან და ცრუმორწმუნეობისაგან.

შეგნებულად და უბრალოდ უნდა ეკიდებოდეს დედა თავისს შვილს. მისტიურად, საიდუმლოდ რჩება მისთვის მხოლოდ ის ძლევა-მოსილი ინსტიქტი, რომელიც მუდამ ცოცხლობს და იცოცხლებს დედაკაცში — ყველაფრის მძლე დედობრივი სიყვარული.

ლ. ბოცვაძე.

წყალი და მისი გაწმენდის საშუალებანი

(დასასრული)

შველსაზე უფრო გავრცელებულ წყლის გაწმენდის საშუალებათ ითვლება მისი ფილტრში გატარება. ღვრია წყალს ფილტრში ატარებენ ან სწურავენ ხოლმე (თუ ჭახნაკს ხმარობენ), სხვადას ისტოვებს შერეულ ნივთიერებათა და, ცოტად თუ ბევრად, გასუფთავებული გამოდის.

საფილტრო მასლათ ხმარობენ: სილას, სხვა და სხვა სიდიდის ქვიშას, ძვლის და ხის ნახშირს, გამომწვარ თიხას, მთის ბაშბას ანუ ეგრედ წოდებულ აზბესტს, რკინაშავს (руди-чатое желѣзо), მატელს, ღრუბელს და სხვ. ხშირად ესენი არა თუ მაკარ ნივთიერებისაგან ათავისუფლებენ წყალს, არამედ ორგანიულ ნივთიერებიდან და მიკროორგანიზ-

მებიდანაც. ჰასტერის და ბეკერფელდის აზრით მიკროორგანიზმები ზოგიერთ ზემო ჩამოთვლილ მასლათა ფორებში იბუდებენ.

ასეთი ფილტრების მოწყობა ძვირი ჯდება, ამისათვის უფრო ხშირად პრაქტიკაში ხმარობენ ორმოებს ან აუზებს; არსების შემწეობით წყალს პირველ აუზში შეუშვებენ, იქ წყალი რამდენიმედ დაწდება (მაგარი ნივთიერებანი ქვევით დაილეკება), შემდეგ გადავით მეორე აუზში, რომელსაც ფსკერი აგურით აქვს გამოფენილი და შეუქსილი ცემენტით; აგურს აურია ქვიშა, ქვიშას ზევით კი—წვრილი სილაა. დაწმენდილი წყალი მიღით გაჭყავთ აუზიდან.


როდესაც სურთ წყლის ჰატარა მასტაბით

გაწმენდა, ხმარობენ მასტრის და ბეკერფელდის ფილტრს, რომელიც შესდგება ერთი მეორეში ჩადგმულ დრუ ცილინდრებისაგან; პირველი ცილინდრები გაკეთებულია ფორებისანი თიხისაგან, მეორეში შეყული მთის პამბიდან (აზბესტიდან) და თიხიდან. წყალი ერთი ცილინდრისაგან მეორეში გადადის და თან და თან იწმინდება. ეს ფილტრები არა თუ მაკარ მარილისებურ ნივთიერებათ იჭერს, არამედ მიკრობოგანიზმებსაც.

ქვე აღსანიშნავია, რომ ბევრ ქალაქებში წყალს სწმენდენ ამერიკული ანუ ინგლისური ფილტრებით.


ამთ აღწერას არ შეუდგები, ვიტყვი მხოლოდ, რომ მარტო მექანიური ფილტრაცია წყლის გაწმენდის საკითხს სავსებით ვერ სჭრის, ამისათვის ხშირად ქიმიურ საშუალებებს მიმართავენ ხოლმე.

უველახე უბრალო საშუალება არის წყლის აღულება, რომლის დროსაც გამოყოფიან საშუალო ნახშირმჟავე მარილები კალციუმისა და მაგნიუმისა შემდეგი ქიმიური თანასწორობით:



გამოყოფილი მარილები ჭურჭლის ფსკერზე ილექება, მხოლოდ გაწმენდილ წყალს მეორე ჭურჭელში ასხამენ.

ამავე შედეგს ვღებულობთ კლარკის მეთოდით, რომელიც გვიჩვენებს წყალში ჩავასხათ კირიანი რძე (известковое молоко); ეს უკანასკნელი წარმოადგენს წყალშერეულ კირს. მაშინ ხდება შემდეგი რეაქცია:



მაკრამ ეს საშუალება სავსებით მიზანს ვერ აღწევს, რადგან წყალში შეიძლება იყოს კიდევ ქლორკალციუმის (CaCl_2), ქლორმაგნიუმის (MgCl_2) და გოგირდის სიმჟავის კალციუმის

მარილები, რომლებზედაც კირიანი რძე არ მოქმედებს.

ამავე მარილების მოსშორებლად შეიძლება ვიხმაროთ ტუტები: ნატრიუმის (NaOH) და სოდა (Na_2CO_3) ანუ სიმჟავები მარილის (HCl) და ძმრის (CH_3COOH); მაკრამ უმჯობესია ტუტების ხმარება, რადგან ზედმეტი სიმჟავის აღება, ვიდრე რეაქციისთვის არის საჭირო, მავნებელია.

როგორც ზევით მქონდა ხოლმე მოხსენებული, ბუნებრივ წყლებში ყოველთვის შედის ორგანიული ნივთიერებანი, და სასმელ წყალში საჭიროა მათი მოსშობა.


ამ მიზნის მისაღწევად უმთავრესად ხმარობენ შაბს*), რკინულ მარილებს და დამჟანგველებს. დამჟანგველად უმეტეს შემთხვევაში ხმარობენ ქაშელეონს—მანგანუმის სიმჟავის კალიუმ მარილს (KMnO_4), რომელიც საუცხოვოდ ათავისუფლებს წყალს ორგანიულ ნივთიერებისაგან, მხოლოდ მისი რაოდენობა ანგარიშით და სიფრთხილით არის ასაღები, რადგან თავისუფალი ქაშელეონი გულზე ცუდად მოქმედებს.

უფრო განშირებულია წყლის გაწმენდა შაბით და გოგირდ-ალიუმინის მარილით $[\text{Al}_2(\text{SO}_4)_3]$, რომელნიც აჩვენებ პამბის მზგავს შენაერთს—ალიუმინის ჟანგეულის ჰიდრატს— $\text{Al}_2(\text{OH})_6$; ეს უკანასკნელი მიღეკავს ღვრეულს ჭურჭლის ძირისაკენ და ამ ნაირად წყალს სწმენდს.

უკანასკნელ დროს საფრანგეთში შემოიღეს ქლორის რკინით სოდასთან ერთად სასმელი წყლის დამუშავება; ამ დროს წარმოშობილი რკინეული ჰიდრატი ჭურჭლის ფსკერზედ

*) საზოგადოთ შაბი სხვა და სხვა შემადგენლობისაა, ყველაში შედის კი ალიუმინი: რკინის შაბი— $\text{Fe}_2(\text{SO}_4)_3 \cdot (\text{NH}_4)_2 \cdot \text{SO}_4 \cdot 24\text{H}_2\text{O}$, ამმონიუმ-ალ.— $\text{Al}_2(\text{SO}_4)_3 \cdot (\text{NH}_4)_2 \cdot \text{SO}_4 \cdot 24\text{H}_2\text{O}$, კალიუმის— $\text{K}_2\text{SO}_4 \cdot \text{Al}_2(\text{SO}_4)_3 \cdot 24\text{H}_2\text{O}$, ნატრიუმის— $\text{Na}_2\text{SO}_4 \cdot \text{Al}_2(\text{SO}_4)_3 \cdot 24\text{H}_2\text{O}$.

ეცემა და თან იტაცებს მცურავ ნივთიერებათ და მიკრობებსაც. ქიმიური თანასწორობა ამ რეაქციის დროს შემდეგია:



თუმცა ეს საშუალება სასურველ შედეგს იძლევა, მაგრამ საუბედროთ ძვირი ჯდება და დიდ მასტაბში მისი ხმარება შეუძლებელია.

მიკრობებს სძობს აგრეთვე წყლის რიგიანი გადაღლება და ამისათვის რჩევას გვაძლევენ ვსვით მხოლოდ ასეთი წყალი, თუ უყოველთვის არა, ეპიდემიის დროს მაინც.

ახლა გადავიდეთ ფრთხილად საუბრად სპიტირებაზე, მდინარეში ჩასაშვებ წყლის გაწმენდაზე, რომელიც გაბინძურებულია აღმინის განავალით, უწმინდურ, მაგ. ნარეცხი და აგრეთვე ქარხნებში ნახშირი წყლით და სხვ.

ეს საკითხი დიდმნიშვნელოვანია ახლანდელ დროში მაინც, როდესაც მცხოვრებთა და ქარხანათა რიცხვი დღითიდღე მატულობს. ის დგას ჩვენს წინაშე მთელი თავისი სიმწვავეთ და გადაწვეტას თხოულობს.

უწინდელ დროში აღმინის ფეკალიები შორს მიჰქონდა დასახლებულ ადგილებიდან; ახლანდელ დროში კი ეს შეუძლებელია, და აი კიდევ განხილავთ კანალიზაცია და დაიწვეს სიბინძურის თავიდან მოშორება არსებით და მიღებით.

აღსანიშნავია, რომ დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც კანალიზაცია განხილავდა. მართალია, ათასი წლებით წინ ჰქონდათ გაყვანილი არხები ბაბილონელებს, ეგვიპტელებს და რომაელებს, მაგრამ მათთან სახლები შეერთებული არ იყო და უმთავრესად დანიშნული იყვნენ წვიმის წყლის წასაყვანათ; რაც შეეხება შინაურ გადასასხმელ-გადასაყრელ სიბინძურეს, მას ამა თუ იმ ჭურჭლით ასხამდნენ ხოლმე შიგ.

ნამდვილი კანალიზაცია კი გაიყვანა ლონ-

დონმა მხოლოდ 1860—1865 წ., ფრანკფურტმა მაინზე—1867 წ., ბერლინმა—1873 წ. და შემდეგ ბევრ სხვა ქალაქებმა.

ასე რომ ახლა უბრალო ქალაქებსაც კი აქვს ხოლმე კანალიზაცია.

მაგრამ ქალაქების წინ დგას კითხვა, სად გაიყვანონ, რაში გაუშვან ეს ბინძური წყლები, როგორ გაწმინდ-დაამუშაონ ისინი.

ბინძურ წყლების ისეთ დამუშავებას, რომლის დროს აუცილებლად შიისპობა იქ მოეფინა ავადმყოფობის გამჩენი მიკრობოგანიზმები, ჰქვია დეზინფექცია.

საჭიროა და შესაძლებელია თუ არა ქალაქების ეგვლა ბინძურ წყლების დეზინფექცია?

ბევრი იშრომეს ამ საკითხის გადასწავლად და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ეგვლა წყლების ყოველ დღე დეზინფექციის მოხდენა პრაქტიკულად განუხორციელებელია და ამასთანავე იმდენ ხარჯს იწვევს, რომ მატერიალური მხრითაც შეუძლებელია.

შემდეგ გამოარკვეეს, მაგ. ისეთმა ენერგიულმა მკვლევარმა, როგორც ჰროფ. დიურბანმა, რომ საკმარისი დეზინფექცია იმ წყლებს, რომელნიც ნამდვილად შეიცავენ ჰატოგენურ ბაქტერიებს. ისინი ამბობენ: აუცილებლად საჭიროა გადამდენ სენთა სავადმყოფოების წყლის დეზინფექცია; საჭიროა გადასახლებელ პუნქტების წყლის დეზინფექცია, ვინაიდან იქ შესაძლებელია ეპიდემიურ ადგილებიდან ან თვით გადამდენ სენით ავადმყოფი მოხვედეს; საჭიროა იმ სახლების წყლის დეზინფექცია, სადაც სახადიანი, ხოლერიანი ან სხვა ამის და გვარი ავადმყოფნი არიან...

ბევრ ქალაქებში ასევე იქცევიან, მაგ. ჰამბურგში ზემოხანმოთხელი წყლების გარდა დეზინფექციას აკეთებენ ჰიგიენურ ინსტიტუტში.

წყლის გაწმენდის საკითხის გადაწყვეტის დროს ბევრი რამ არის ხოლმე მხედველობაში

მისაღები; დიდი მნიშვნელობა აქვს ბინძურ წყლის რაოდენობას და თვით მისს უსუფთაობის ხარისხს; დიდმნიშვნელოვანია აგრეთვე იმ მდინარის სიდიდე და მიმდინარეობის სისწრაფე, სადაც ისინი უნდა ჩაუშვან.

მაგალითად, ქარსებით სავსე და 900000 მცხოვრებით დასახლებულმა ბერმინგამმა თავისი წყლები უნდა ჩაუშვას ჰატარა მდ. ტამეში, მანჩესტერმა—აგრეთვე სამრეწველო ქალაქმა 600,000 მცხოვრებლებით—გაჩერებულ შიპ კანალში.

თითქმის ასეთივე ცუდ მდგომარეობაში არიან ლონდონი ტემზაზე, ბერლინი შშრეზე და ჰარივი სენაზე. გაცილებით კარგ მდგომარეობაში არიან ამ მხრით:

კელნი რეინზე, დიდი როსტოვი-დიდი დონზე და ჰატარა ცარიცინი—გვებერთელა ვოლგაზე.

რასაკვირველია, ვეკლას ამ შემთხვევებში მათში ჩასაშვებ წყლების თანასწორი სიფაქობით გაწმენდა უაღრესად იქნება.

თითქმის გაჩერებულ მდინარეს უწმინდური წყლები რომ მიუმატო, მას მალე გადაქცევ ბინძურ ამურალებულ ნიადაგად. გიჟივით მიმდინარე წყალი კი სიბინძურეს მალე დაშლის, გახრწნის და თავის წიაღში არე-დარეხს...

თუ მდინარეთა სისწრაფე მივიღეთ მხოლოდ მხედველობაში, მაშინ ქუთაისის სწრაფ რიონს უპირატესობა ექნება როსტოვის ნელ დონთან; თუ მდინარეთა სიდიდე და სიწმინდე მივიღეთ მხედველობაში, მაშინ დიდი და სუფთა დონი გაცილებით წინ დადგება უსუფთაოდ შედარებით ჰატარა რიონზე; თუ წყლის სიბინძურის ხარისხს გაუწიეთ ანგარიში, მაშინ სამრეწველო და ნ—ნ-ჯერ მეტი მცხოვრებლებით დასახლებული როსტოვი-ნანჩევანი უფრო ცუდ პირობებში იქნება, ვიდრე არა სამრეწველო მიძინებულნი ჩვენი ჰატარა ქუთაისი და სხვა და სხვა.

ერთი სიტყვით, მცხოვრებთა რიცხვს,

მრეწველობის განვითარებას და ამათთან დამოკიდებულ ბინძურ წყალთა რაოდენობას და ამათ მიერ გამოწვეულ მეტნაკლებ სიბინძურეს, მდინარეთა სიდიდეს და მიმდინარეობის სისწრაფეს, თვით მდინარეთა სიწმინდეს და შემადგენლობას და სხვებს,—დიდი მნიშვნელობა აქვთ წყლის გაწმენდის საშუალებათა გამოძენაში.

გარდა ამისა, სხვა და სხვა დროს სხვანაირი სიტუაციით უნდა მოვეყარათ ამ საკითხის გადაწყვეტას და განხორციელებას იმის და მიხედვით, ეპიდემიური ხანაა ამ ჟამად თუ არა, ე. ი. გავრცელებულია თუ არა ხოლერა, შავი-ჭირი, საოფლე და სხვა გადამდები ავადმყოფობანი.

დიდი ხანია მას აქვთ, რაც ქალაქებმა და სოფლებმა ბინძურ წყლების ჩაშვება მდინარეში დაიწყეს. მაგრამ ზოგიერთებმა ეკონომიური მოსახრებით გაჰკიცხეს ასეთი საშუალება ამ წყალთა თავიდან მოშორებისა. გამთარკვიეს, მაგალითად, რომ ლონდონის ბინძური წყლები წარმოადგენენ სსსქ 20.000,000 მარკად ღირებულს. სსსოფლო-სამეურნეო ქიმიკოსები და მათი მამა-მთავარი იუსტუს ლიბინი დადუბვას და აუცილებელ სიღარიბეს უქადადა იმ ქვეყნებს, რომელნიც ამ გზით ნიადაგის გაუმჯობესებაზე არ ფიქრობდნენ.

ისინი ამ წყლებით მინდორთა მოწვევის რჩევას იძლეოდნენ. მაგრამ დამტკიცდა, რომ მხოლოდ ზოგიერთ ბენიერ შემთხვევებში მოწვეული მინდვრები (поля орошения) დახარჯულ ფულის სარგებლობას იძლევიან, ისიც ძლივს.

მიუხედავად ამისა, ეს საშუალება მადებულა ევროპის ზოგიერთ ცენტრებში. რუსეთში კი ძლიერ გახშირებულია.

კანალიზაციური მიწებით წყლის გზავნიან ერთ ცენტრში და იქედან ანაწილებენ მინდვრებში და რწყვენ მათ. წყალი, რომელიც

თავს იურის ნიადაგის ქვეშ — დრენაჟის მი-
 ლებში — თითქმის განთავისუფლებულია მავნე-
 ბელ ნივთიერებათაგან და მიკროორგანიზმები-
 დან. მაგრამ, რაც დრო მიდის, იმდენი უფ-
 რო ძნელი ხდება ამ საშუალებით წყლის გა-
 წმენდის ხმარება, ვინაიდან მცხოვრებთა გა-
 რავლების გამო თავისუფალ მინდორთა რა-
 დენობა თან და თან მცირდება.

კარდა ამისა ბინძური წყლის გაწმენდის
 ასეთი საშუალება უვეჯკან ერთნაირ შედეგს
 არ იძლევა.

ამას ადვილად ახსნით, თუ გავიხსენებთ,
 რომ უვეჯკან ნიადაგს ერთნაირი შემადგენ-
 ლობა არ აქვს და, რასაკვირველია, წყალსაც
 ერთნაირად ვერ გაწმენდს.

ზოგიერთი ბინძურ წყალთა გაწმენდის
 საკითხის მკვლევარნი წინადადებას იძლეოდ-
 ნენ — ეს წყლები აუზებში ჩაუშვან, იქ რამო-
 დენივე ხანს შეაჩერონ და მცურავ მაგარ ნივ-
 თიერებისაგან განთავისუფლებული და რამო-
 დენივეთ დაწმენდილი წყალი მეორე აუზში
 გადაიყვანონ; იქ კი ქიმიური რეაქტივებით
 დაამუშაონ; პირველ აუზში დარჩენილი ნივ-
 თიერებანი კი ფერფლად აქციონ და ნიადაგის
 გასასუქებლად იხმარონ.

მაგრამ ასეთი გაწმენდის საშუალება ძლიერ
 ძვირი ჯდება იმ ქალაქებისთვის მაინც, სადაც
 ბევრი მცხოვრებია. კარდა ამისა, ამ საშუა-
 ლებით სრული გაწმენდა და ბაქტერიების
 მოსხობა დამტკიცდა, რომ შეუძლებელია,
 რადგან არა თუ გოგირდ-რკინის მარილის
 (FeSO₄) ხმარების დროს, არამედ 30 პრ-
 ცენტთან კარბოლის სიმჟავის (C₆H₅.OH)
 ხსნილობი კი ზოგიერთი ბაქტერიები ცოც-
 ხლობენ და მრავლდებიან. ასე რომ საჭიროა
 რომელიმე სხვა გზით და საშუალებით მათი
 მოსხობა.

ზოგიერთ ადგილებში ხმარობენ ქსელისე-
 ბურ ანუ მაგარ ნივთიერებათა დამჭერ მფ-
 ყობილობებს, რომელნიც ავტომატიურად მუ-

შაობენ ხოლმე. ამ აპარატებში აღსანიშნავია
 გერმანულ კონსტრუქტორების რინშის და შნე-
 პენდალის აპარატები, რომელნიც გერმანიაში
 არიან გავრცელებულნი. ინგლისში კი გავრცე-
 ლებულია სმიტის და კომპანიის ფირმის
 აპარატები.

მხოლოდ ამ აპარატებით წყლის გაწმენდა
 მისაღებია მაშინ, თუ წყალში ბევრი მაგარი
 ნივთიერებანი შედის, ქიმიური შემადგენლობა
 მას ცუდი არა აქვს და ჰატოკენური ბაქტე-
 რიებიც არ იმყოფებიან. წინააღმდეგ შემთხვე-
 ვაში ასეთი წყლის გასუფთავება საკმარისი არ
 არის.

ზემო დასახელებულ მფყობილობებით წყა-
 ლი იწმინდება შედარებით მსხვილ საცნებისა-
 გან, მაგ. სილისაგან; უფრო წვრილ გაუნს-
 ნელ ნივთიერებისაგან განსათავისუფლებლად
 ამის შემდეგ წყალს უშვებენ ეტრედ წოდებულ
 გამწმენდ ან დამლეკველ ჯებში და კომპოში,
 ხშირად აგრეთვე გრძელ აუზებში. ამ ჯურ-
 ჯლებში ხდება მექანიური სელაიმენტაცია: მძი-
 შე ნივთიერებანი ქვევით ილეკება, სუფთა
 წყალი კი ზევით იურის თავს (იმერეთში ამას
 წყლის დაწრეტას ეძახიან).

თუ წყლის გაწმენდის დასაჩქარებლად ან
 უფრო კარგ გასასუფთავებლად ქიმიურ რეაქ-
 ტივებს უმატებენ, მაშინ ჯები სჯობია, თუ
 არა, — აუზები.

დამტკიცებულია, რომ წყლების ამ საშუა-
 ლებით გაწმენდა დამე, როდესაც ბინძურ
 წყალთა კონცენტრაცია და მისი სიმჭირხნე
 დიდი არ არის, შეუწყინარებელია, ვინაიდან
 ძლიერ ცუდ შედეგებს ვღებულობთ. ამისთვის
 რჩევას იძლევიან დამე მხოლოდ თავმოყრულ
 დალეკილ მაგარ ნივთიერებათა გატანას მთან-
 დომონ.

საზოგადოთ მათი გატანა, უოველ დღე თუ
 არა რამდენიმე დღეში ერთხელ მაინც აუცი-
 ლებელია. მხოლოდ უკანასკნელ დროში ზო-
 გიერთები ამტკიცებენ, რომ სილას და სხვა

დაჯეკილ ნივთიერებათ რამდენად მეტს დროს გაგაჩერებთ, უფრო სჯობია.

ისინი ჭურჭლის ძირში დაღვობის პრცესს განიცდიან და ეს დამზალი ნივთიერებანი თითქმის მოკლებულნი არიან წყლის შეერთების თვისებას; ამის გამო მათი გაშრობა და სქაჯაგში გატარება გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე დაუმზალისა. კარდა ამისა დამზალ მდგომარეობაში ისინი გაცილებით უფრო ნაკლებად ინტენსიური სუნისა არიან.

ამ წინადადებაში თანამგრძობობანი იშოფა და ინგლისში ფეხიც მოიკიდა; როგორც ქ. ბერმინგემის წყლების დამუშავების გამგე ბენი ვატსონი იტყობინება, ამ საშუალებით მან საუცხოვო შედეგები მიიღო.

მაგრამ ამ საშუალებით სრულიად წმინდა წყლის მიღება და მანვე შენაერთებისაგან განთავისუფლება, როგორც ბევრი ამტკიცებს, მინც შეუძლებელია.

ამისათვის მკვლევარ-მამიებლებმა კიდევ უფრო კარგი საშუალების გამოძიება დაიწყეს, და დიდი ხანი არის მას აქეთ, რაც ეგრედ წოდებულ ბიოლოგიურ მეთოდს მოჰკიდეს ხელი, როგორც ბინძურ წყლების გაწმენდის საუკეთესო საშუალებას.

საქმე ის არის, რომ დიდი ხანია დამტკიცდა შეუძლებლობა ბინძურ წყალთა ქვიშიან ფილტრებით გაწმენდისა, რადგან ისინი ფილტრაციის პროცესის დროს სულ მალე იტუნებან და წყალს არ უშვებენ. სცადეს უფრო მსხვილი საფილტრო მასალის ხმარება, მაგ. კაქსის, მაგრამ ამასაც ისეთივე ბედი ეწვია.

მაგრამ, როდესაც ინგლისელ მკვლევარის ფრანკლანდის წინადადებით დაიწვეს ფილტრში წყლის არა განუწვევებელი გატარება, არამედ დროგამოშვებით, შედეგი მოულოდნელი და მეტად სასურველი მოუვა.

ამას, რასაკვირველია, დიდი ეურადღება მიაქცევს და დაიწვეს ამ იდეის ახსნაზე და გაუმჯობესებაზე თქვინ.

ამ შემთხვევაში ახლანდელ დროში ბევრ გვარ მასალას ხმარობენ, საუკეთესო საფილტრო მასალად კი ცნობილია შლაკი და კოქსი. ფილტრი შესდგება რამდენიმე წყება საფილტრო მასალისაგან; პირველი წყება ეგულაზე უფრო მსხვილ მარცვლებიდან არის გაკეთებული, მეორე — მის ზევით — უფრო წვრილიდან და ასე სულ ზევითურ დამფარველ (პოკროვნი) წყებამდე. სისქე და სიდიდე თითოეულ მარცვლისა, სიდიდე ზევითურ წყებისა, აგრეთვე წყებათა რაოდენობა, — სხვა და სხვა შემთხვევაში სხვანაირია. მაგ., თუ ძლიერ სუფთა წყლის მიღება გვსურს, მამინ საფილტრო მასალის სისქე მეტი უნდა ავიდეთ და თვითეული მარცვლიც მატარა უნდა იყოს.

რასაკვირველია, ასეთ პირობებში გაწმენდილ წყლის თვისებითი გაუმჯობესებასთან იკლებს რაოდენობითი გამოსვლა.

რაც შეეხება ამ საუცხოვო საშუალებით წყლის გაწმენდის ახსნას, ზოგიერთნი როგორც მაგალითად ბრედშენიერი, გასუფთავების ეფექტს მარტო მექანიურ ფილტრაციის პროცესით ხსნიან.

მართლაც გაუხსნელი ნივთიერებანი საფილტრო მასალის ფორებში ხშირად ვერ გადიან და, დაკავებულნი, მათ სიდიდეს კიდევ უფრო ამცირებენ და შემდეგში კიდევ უფრო წვრილ ნივთიერებათ იტყვენ.

ეს ერთის მხრით.

მეორეს მხრით, ფილტრში წყლის გატარების შემდეგ დასველებული კაქსი მიმზიდველობას იმატებს და ამნაირად ფილტრის მოქმედება თან და თან ინტენსიური ხდება.

მაგრამ თუ ამ შემთხვევაში მხოლოდ მექანიურ პროცესს აქვს ადგილი, რისთვის არის საჭირო ფილტრში წყლის დროგამოშვებით გატარება, რისთვის არის შეუძლებელი განუწვევებელი მუშაობა?

ბრედშენიდეკის მექანიური თეორიით ეს სკიოთხი აუხსნელი რჩება.

მეორე თეორია, რომელიც უკვლავ კითხვებზე გარკვეულ და სწორ ზასუნებს იძლევა, არის თეორია აბსორბციისა. ეს თეორია ეკუთვნის წულის გაწმენდის სკიოთხის გამომჩენილ მკვლევარს ჰროფ. დიუბანს. ის არ უარყოფს ფილტრაციის დროს მექანიური ჰროცისის მნიშვნელობას, მაგრამ, მისი ფიქტით, აქ აღვილი აქვს სხვებს უფრო დიდ მნიშვნელობას ჰროცისებს.

ამ თეორიით ბინძური წულის განთავისუფლება განხილავს აზოტის ორგანიულ ნივთიერებიდან, რომელიც, როგორც ზევით მქონდა ხელმე ნათქვამი, იწვევს სიღამზლის და სხვა წულისთვის მავნებელ ჰროცისებს, ახსნება ამ ნაირად:

განხილავს ორგანიულ ნივთიერებათ კოკსი იტერს აბსორბციის მოქმედებით, აქ ხდება მათი ჩაყვანვა; კოკსის მიერ ამ ნივთიერებათა განსაზღვრულ რაოდენობის დაჭერის შემდეგ, ჰქრება მისი აბსორბციული თვითმოქმედება. შეიძლება ხელ-ახლა დაუბრუნდეს მას ეს თვისება, თუ მყავმბადს, რომელიც კოკსის მიერ აგრეთვე აბსორბციულად იყვანვის, მივცემთ ზედმოქმედების საშუალებას. მაშინ დაკავებული ორგანიული ნივთიერებანი რამოდენიმედ გაიხრწნებ-დაიშლებიან მიკროორგანიზმების მიერ და რამოდენიმედ გადაიყვანებიან აბსორბციულ მყავმბადისაგან.

ერთი სიტყვით, ბინძური წყლებიდან აბსორბციული ძალებით დაჭერილი ნივთიერებანი იშლებიან მიკროორგანიზმების მიერ მყავმბადის თანყოფნის დროს; თუ მყავმბადს ფილტრში მსვლელობა არ მივეციტ ან მიკროორგანიზმთა ცხოვრების და გამრავლების პირობები მოვსპეთ, აბსორციული ძალები გაქარწყლდებიან, აზოტის ორგანიულ ნივთიერებათა დაჭერა მოისპობა და, რასაკვირველია, ბინ-

ძურ წყალსაც არ წაერთმევა მისი ცული თვისებები. გაუხსნელ, მცურავ ნივთიერებათ კი ფილტრი მექანიურად იჭერს.

ფილტრში რომ წყალი განუწვევტილივ განსხათ, მაშინ ჰქერს კოკსთან მსვლელობა არ ექმნება. მაშ დროს გამომშვებით წყალს იმიტომ უშვებთ ფილტრში, რათა ჰქერში მყოფი მყავმბადი შეუშვათ.

უგანასკნელ დროს აბსორბციის ახსნას ცდილობენ ელექტრონული მფლენებით.

ფიქრბენ, რომ კალდოიდალურ ხასიათის ბინძურ წყალთა შემადგენელ ნაწილებს აქვს სხვა ნიშნის ელექტრონული მიმზიდველობა, ვიდრე შლანკს ან კოკს. ფიზიკიდან ვიცით, რომ სხვა და სხვა ნიშნის ელექტრონები ერთმანეთს იზიდვენ. აქაც ვითომ ეს მფლენა ხდება, ე. ი. აბსორბციის ანუ მდამიდ რომ ვთქვათ ჩაყვანვას (поглощение) ხსიან ელექტრონული მიმზიდველობით. ელექტრონულ ძალთა თვითმოქმედების შენარჩუნება თუ განახლება ხდება მიკროორგანიზმების ზედმოქმედებით.

ეს, როგორც ხელავთ, ახალი თეორია არ არის, ეს არის მხოლოდ დეტალური დაშუშავება და ახსნა უკვე ჰროფ. დიუბანის მიერ შექმნილ თეორიისა.

ამ წულის გაწმენდის საშუალებას დიუბანმა უწოდდა ბიოლოგიური, ხელოვნურ ბიოლოგიური, გამოსარჩევად ბუნებრივ ბიოლოგიურ საშუალებიდან, რომელსაც ეკუთვნის მინდროთა მორწყვა და ნიადაგში ფილტრაცია.

უგანასკნელ დროს ბინძურ წყალთა გასწმენდათ ელექტრონის მიმართეს. ჭერჭელში, სადაც ასეთი წყალია, რომ ელექტრონი გავატაროთ, დაშლავ მხდება: სიმყავის ხასიათის ელემენტები—მყავმბადი, ქლორი, აზოტოვანი ჟანგი და ზოგიერთი სხვანი ანოდზე(+) გაჩნდებიან, მხოლოდ წყალმბადი და სხვა

ლოთონურ ხსნათის უნაკულობანი და ელემენტები—კატოდზე (—).

გამოდდილებით დამტკიცდა, რომ ელექტრონის გატარებით ბინძური წყალი ჰჰკარგავს 70% ნახშირმყავებდას და 80% აზოტს.

მეტად საუურადღებოა აზოტის ასეთი დიდი პროცენტის გამოყოფა, რადგან ის, როგორც ვიცით, წყალში იწვევს აზოტის და აზოტოვანის სიმყავეებს, ამინაქს და სსზოკადლოთ არა სასურველ პროცენტებს.

ამით ვათავებ წყლის გაწმენდის საშუალებათა გარჩევას.

სხვა და სხვა საშუალებები, რასაკვირველია, ეველგან და უოველთვის ერთხანად მისაღები არ არის. თუ ზოგიერთ შემთხვევებში წყალში მეოფ მსხვილ ნივთიერებათა დამტკერი მოწყობილობანი კარგ შედეგებს იძლევა, მეორეში ნიადაგური (почвенная) ფილტრაციაც არ კმარა; თუ ზოგიერთ შემთხვევებში აუზებში ან კოშკებში დაწმენდილი წყალი შემდეგ დამუშავებას არ თხოულაბს, სხვა პირბებში ხელაონურ ბიოლოგიური გაწმენდაც არ კმარა და წყალი საჭირაებს ქიმიური რეაქტივებით დამუშავებას...

ეს, რასაკვირველია, დამოკიდებულია ბევრ პირბებისაგან (ბინძურ წყლის შემადგენლობა, ბაქტერიების რაოდენობა და თვისებანი, ნიადაგის შემადგენლობა და ამისაგან დამოკიდებული მისი, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, ხსნათი, მდინარის სიწმინდე თუ სიბინძურე და სხვ.) და ერთი და იგივე საზომი და საშუალება ეველგან არ გამოდგება, ასე თუ ისე, შესაძლებელია (ან უკედ რომ ვსთქვათ, შესწინარებულია) მდინარეში, რომლის წყალს მცხოვრებნი ხმარაბენ, კანალიზაციური მილებით ან სხვათრივ ჩაუშვან მავნე ნივთიერებისაგან გაწმენდილი და პროტოკენური ბაქტერიებისაგან განთავისუფლებული წყლები; მხოლოდ საჭირაა ასეთ მდინარის, როგორც ზევით იყო ნათქვამი, გაწმენდა ამა თუ იმ

საშუალებით, რაც აგრეთვე სხვა და სხვა პირბებისაგან ხელმე დამოკიდებული.

ყოვლოდ შეუწყნარებელია კი იმ მდინარის წყლის სმა, რომელსაც რაციონალურად არ სწმენდენ და რომელიც ყოველგვარ სიბინძურის ჩასაყრელ და ჩასახმელ ბუდეთ არის გადაქცეული, როგორც მაგ. ამას ქუთაისში ვხედავთ.

უნდა გვახსოვდეს, რომ სუფთა და სადი წყლის ხმარება, როგორც სასმელად ისე სარეცხისთვის და სხვა საჭირაებისთვის, აუცილებელ საჭირაებას შეადგენს ეველა მათთვის, ვინც ცოტად თუ ბევრად თავის ჯანმრთელობაზე ფიქრბს.

საზოკადლოთ უნდა ვსთქვა, რომ მღერიე წყლის, ტბის ან ჰაობის, გამოურკვეველ და უხმარ წყაროს ან ასეთივე მდინარის წყლების სმა ყოვლოდ შეუწყნარებელია. ძლიერ წყურვილის დროსაც მოთმენა სჯობია, ვიდრე სახიფათო შემადგენლობის და ბაქტერიებით ავსებული მავნე წყლის მუცელში ჩაშვება.

სოფლებში საჭირაა დიდი სიფრთხილე და და უურადღება, რათა გადამდებ სენთა გაფრცელების დროს წყალმა პადოკენური ბაქტერიები ჭში არ ჩაიტანოს; ნარეცხი წყალი შიგ არ ჩავიდეს; უანების მოწვევის თუ სხვა დროს წყალს ჭისკენ გზა არ მიეცეს და სხვ.

ქალაქებში კი, სადაც ჯერ კიდევ წყლის გაწმენდა-გასუფთავებაზე მხოლოდ ლაპარაკია, თვით მცხოვრებლებმა უნდა ეცადონ მდინარის სისუფთავე დაიცვან და, რამდენადაც შესაძლებელი იქნება, შინაური საშუალებებით მისს გაწმენდას შეეცადონ.

ქალაქის თვითმართველობები კი მეტად დაინტერესებულნი და დაფაცურებულნი უნდა იყვნენ, რომ მცხოვრებლებს საიმედო და სადი წყალი მიაწოდონ.

ვ. კაკაბაძე.

ხარკოვი.

დაფარული სიცოცხლე (ანაბიოზი)

(გადმოკეთებული)

ჩვენს გარშემო ყველაფერი სიცოცხლით არის აღსავსე. ცხოველები და მცენარეები ცხოვრობს და სულდგმულობს. ჩვენ, ადამიანებსაც, სიცოცხლე გვემჩნევა; ჩვენი მაჯის ცემა, მუსკულების და ძარღვების ყოველივე მოძრაობა ნათლად და აშკარად მოწმობს სიცოცხლეს. ყოველივე აზრი, რომელიც ადამიანის შეგნებაში ელვის სისწრაფით გაივლის ხოლმე, სხვათა შორის ადასტურებს სიცოცხლეს. დიდი ხანია ადამიანები ცდილობენ, შეიგნონ და გაიგონ სიცოცხლის მიზეზები და წარმოშობა. აუარებელი მეცნიერები ყოველთვის სწავლობდნენ და დღესაც სწავლობენ, იკვლევენ, ყოველი მხრით სიცოცხლეს. მაგრამ, მიუხედავად ამდენი ხნის დაკვირვებისა, გამოცდილებისა, მეცნიერთა მრავალი გამოკვლევებისა, ჩვენ დღესაც კი არ ვიცით სიცოცხლის მიზეზები! ჩვენ ჯერ კიდევ არ შეგვიძლია დადასტურებით, დაბეჯითებით ვსთქვათ, სიცოცხლე დამოკიდებულია ცოცხალ ნივთიერებაში ფიზიკურ-ქიმიურ პროცესსზე, ან და მასში მონაწილეობას ღებულობს ჩვენ მიერ უცნობი სხვა კიდევ ძალები! ჩვენ ჯერ-ჯერობით **გარეგანი სიცოცხლე ვიცით**. მართალია, ეს ჩვენ გვარიანათ გვაქვს შესწავლილი, ვინაიდან მოვახერხეთ ცოცხალი არსების შემადგენელ ნაწილებათ დაყოფა: პირველყოფლისა გავეცანით მის ორგანოებს და მათ თვისებას, შემდეგ შევადეთ მისი დახშული კარები და გავიგეთ ორგანოების შემადგენელი ქსოვილების: ცხოვრება, დაბოლოს შე-

ვიგნეთ ცხოვრება იმ პაწაწა ელემენტებისა, რისგანაც ერთდება ქსოვილი—უჯრედის სიცოცხლე.

უჯრედთა სიცოცხლეს მეცნიერება ბიოლოგია სწავლობს. ამ სიცოცხლეთა მეცნიერებამ ჩვენთვის საილუმლოებით მოცული უჯრედთა ცხოვრება შეისწავლა; მისი, ჩვენთვის დახშული, კარები შეაღო და დღეს ყველასათვის ცხადჰყო იგი. უჯრედთა სიცოცხლის საილუმლოებას ფარდა აეხადა. მეცნიერთა დაუღალავი და ბეჯითი შრომა დაგვირგვინდა და ჩვენ გავიგეთ, **ჟოველივე ორგანიზმი პაწაწა უჯრედებიდან შესდგება**. ჩვენ ვიცით, **ცხოველთა და მცენარეთა სიცოცხლე არის შეერთებული ცალ-ცალკე მრავალ უჯრედთა სიცოცხლე**. ორგანიზმი ამ უჯრედიდანაა აშენებული. ჩვენ, რასაკვირველია, დღეს ვიცით სიცოცხლის მიმდინარეობის გარეშე პირობები, ამასთანავე კარგად გვესმის ცოცხალ ნივთიერებათა ზოგიერთი შინაგანი ქიმიური პროცესები. მაგრამ ცოცხალ ნივთიერებათა შენობა და პროცესი, რაიცა მასში ხდება, იმდენად შეუმჩნეველია, რომ აწინდელ ცოდნას ჯერ კიდევ ვერ ძალუძს ყოველივე მისი საილუმლოების სათანადოთ გაგება და ხელოვნურათ მისი აღდგენა.

ჩვენი ცოდნა სიცოცხლის შესახებ შეზღუდულია. ჩვენ მხოლოდ მისი გარეგანი მოვლენა ვიცით. ეს მოვლენა ძლიერ მარტივია, თუ შეიძლება ასე ითქვას. იგი ჩვენ მარადჟამს თვალში გვეჩხირება და

იმდენად დამახასიათებელია, რომ მეცნიერულ ანალიზის დაუხმარებლად შეგვიძლიან გავარჩიოთ ჩვენს თვალწინ ცოცხალი არსებაა, თუ მკვდარი ობიექტი.

ცოცხალი არსების ნიშნობლივ თვისებათ, პირველ-ყოვლისა, ჩვენ უნდა აღვიაროთ **მოძრაობა**. ბავშობიდანვე ვიცით, ყოველივე ცოცხალი არსება მოძრაობს, ვინც და რაც მოძრაობს, ცოცხალია. ეს სიცოცხლის ნიშნები, რასაკვირველია, ხანდისხან გვატყუებს, მას ჩვენ შეცდომაში შევყავართ. ჩვენ გვეჩვენება, რაიმე სათამაშო ნივთი, რაც მოძრაობს, მაგალითად, ბავშვების სათამაშო ბაყაყი, ცოცხალი არსებაა. მაგრამ ცოტაოდენი დაკვირვების შემდეგ ვრწმუნდებით, რომ იგი ხელოვნურად გაკეთებული ბაყაყია და მეტი არაფერი. მისი მოძრაობა ხელოვნურია და სიცოცხლის ნიშან-წყალს არ წარმოადგენს. პირობით, მცენარე, რომელიც არ მოძრაობს, არ მიღი-მოღის, ადგილს არ იცვლის, ბევრ ჩვენგანს ჰგონია მკვდარი არსება. მაგრამ დაკვირვება ამტკიცებს, რომ იგი ცოცხლობს და სუნთქავს. ერთი სიტყვით, გამოცდილებით შეძენილი ჩვენი დასკვნები, — ყოველივე მოძრავი ცოცხალია, — სიმაართლეს მოკლებული არაა. გარდაამისა სიცოცხლის უმთავრესი ნიშანი არის **საზრდობა**, ანუ როგორც მეცნიერები ამბობენ **ნივთიერებათა გაცვლა**. ცხოველთა ორგანიზმი თავისთვის საჭირო ნივთიერებას გარედამიდან იზიდავს, იგი ამყარებს მას თავის სხეულში, ამუშავებს და ითვისებს, ე. ი. აშენებს მისგან თავის ცოცხალ ნივთიერებას, ამასთანავე უკუაგდებს, თავიდან იშორებს ზოგს უვარგის ანუ მავნე ელემენტებს. მაშასადამე, ორგანიზმში მუდამ უამს სწარმოებს **შექმნა და დანგრევა**. მასში შედის ახალი ნივთიერებანი, რაიცა

მის ტანს (**ინტექსტ**) და სიმძიმეს აღიდებს. ასეთ პროცესს ჩვენ მკვდარ ბუნებაში ვერ ვამჩნევთ. ეს კი ცოცხალი ბუნების კუთვნილებაა. მართალია, ამის მინაგვარი კრისტალების ზრდის დროს ხდება, მაგრამ მთავარი კრისტალი იზიდავს თავისკენ იმ ნივთიერებას, რისგანაც თვითონ შესდგება, და თავის ზედაპირზე აწყობს, მას იგი ქიმიურად არ ამუშავებს და არც არაფერს თავიდან იშორებს. ერთი სიტყვით, აქ ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლა არ ხდება.

შთანთქმულ ნივთიერებათა ხარჯზე წარმოსდგება კიდევ ერთი მოვლენა. ეს მოვლენა სიცოცხლეს განუყრელად თან ახლავს. იგი არის მოვლენა **ზრდისა და გამრავლებისა**. ორგანიზმი განსახლდრულ მიჯნებში დიდდება, შემდეგ ზრდა ჩერდება და ამა თუ იმ ფორმით გამრავლება იწყება, ე. ი. ორგანიზმი ჰქმნის თავის მზგავსს. **ყოველივე სიცოცხლის პროცესი გვირგვინდება სიკვდილით**. სიკვდილი თავისთავად სიცოცხლის სრულს უარისყოფას წარმოადგენს. ცოცხალ ნივთიერებაში ამა თუ იმ ფიზიკურ-ქიმიურ ცვლილებების მეოხებით იწყება სიკვდილი. როცა ეს ხდება, ცოცხალი ორგანიზმი ჰკარგავს მოძრაობას, გრძნობიერობას, ნივთიერებათა გაცვლას, ზრდას და გამრავლებას. თავისი შემადგენლობით რთული ცოცხალი ნივთიერება უბრალო შემადგენელ ნაწილებად იწყებს დაშლას და, დასასრულს, გარდაიქმნება ძირითად ქიმიურ ელემენტებად, რაიცა გარშემო მიმო-იბნევა. ასეთია ყოველივე ცოცხალი არსების სიცოცხლე. ამას განიცდიან უბრალო მიკრო-ორგანიზმები, შეუიარაღებელი თვალთ უხილავი ცხოველები, და ადამიანებიც. თითოეული ცოცხალი არსების შე-

მადგენელი ელემენტების, უჯრედების, სიცოცხლე ასეთია. მაგრამ, სიცოცხლის შესანარჩუნებლად ყოველთვის საჭიროა თუ არა ეს პროცესი? ყოველდღიური ფაქტები გვეუბნება და გვიჩვენებს, რომ **დაფარული სიცოცხლე** შესაძლებელია. მას შეუძლიან ცოცხალ ნივთიერებაში იყოს ისე, როგორც ნაცარში გახვეული ცეცხლის ნაპერწკალი. იგი აღორძინდება ამა თუ იმ გამრავლებისათვის საჭირო პირობებში. ჩვენ რომ ზამთარში ხის შტო მოვკრათ, მას ვერ შევამჩნევთ! სიცოცხლეს, მისი წვენი არ მოძრაობს, ზრდა არ ემჩნევა, ნივთიერებათა გაცვლა არა ხდება, ან და, თუ უკანასკნელი სწარმოებს, მხოლოდ ძლიერ სუსტად და შეუმჩნეველად. სითბოს, წყლის და აუცილებლად საჭირო მასაზრდოებელ ნივთიერებათა გავლენით მოჭრილ შტოს შეუძლიან გაცოცხლდეს, ფესო შეისხას, დასკდეს მისი კუკური, გამოვიდეს ფოთლები, რაშიაც იმ წამსვე დაიწყება ნივთიერებათა გაცვლის ენერგიული პროცესი. ამაზე უფრო უსიცოცხლო გვეგონია ჩვენ მცენარეთა თესლი. მას არავითარი სიცოცხლე არ ემჩნევა. ჩვენ თვობით და წლობითაც შეგვიძლიან იგი უცვლელად შევინახოთ. საკმარისია თესლი მოხვდეს და დავარდეს სათანადო აღმოსაცენებელ პირობებში, რომ მასში ენერგიული პროცესი დაიწყოს. იგი გაცხოველმყოფელდება, ფესვებს გაიდგამს და აღმოცენდება. ამის მზგავსი დაფარული სიცოცხლე ჩვენ ვიცით ცხოველთა სამეფოშიაც. მრავალი ცხოველთა კვერცხები, მაგ., მწერების, მცენარეთა თესლის სრულს ანალოგიას წარმოადგენენ. იგიც მცენარეთა თესლივით დიდხანს ინახება, სიცოცხლის ნიშან-წყალი არ ემჩნევა სანამ განვითარებისათვის საჭირო პირობებში არ მოხვდება.

მეჩვიდმეტე საუკუნეში მიკროსკოპი გამოიგონეს. ამ საკვირველი იარაღის შემწობით ჰოლანდიელმა მკვლევარმა ლევენჰუკმა წყალში აღმოაჩინა მთელი ქვეყანა პაწაწა ცხოველებისა. შეუიარაღებელ თვალით უჩინარ ქვეყნის მკვიდრთა შორის მან შეამჩნია მიკროსკოპიული პაწაწინა ცხოველები. ეს ცხოველები არ იყვნენ ნამდვილი ინფუზორიები, — როგორც ეს შემდეგ გამოკვლევით აღმოჩნდა. ეს მრავალუჯრედებიანი ცხოველებია, მაგრამ სიდიდით კი იგი ცოტათი უფრო მსხვილია ზოგიერთ ინფუზორიებზე. ამ ცხოველთა ცხოვრების და გამრავლების დავიკვების დროს ლევენჰუკმა შენიშნა, ეს ცხოველები, თუ ჩვენ მათ წყალს მოვაკლებთ, სრულიად გაშრებიან და ამავე დროს გარდიქმნიებიან პაწაწა უფორმო ნამცეცად. საკმარისია ეს პაწაწა გამშრალი ნამცეცი, თუგინდ რამდენიმე წლის შემდეგ, წყალში მოათავსოთ, რომ იგი ხელახლა გაცოცხლდეს, ცხოველად გადაიქცეს. მაშასადამე, უწყლოდ სიცოცხლე დროებით სწყდება, ჩერდება, შემდეგ, — წყალი დანამავს თუ არა ქსოვილებს, სიცოცხლის პროცესი დაიწყება, იგი განვითარდება და ნორმალურად წავა.

დიდი ხანია ცნობილია, დაბალი ტემპერატურა სიცოცხლეს აფერხებს და აჩერებს. სიცივე ყველა ქიმიურ რეაქციას აფერხებს და აჩერებს, ამასთანავე იგი აფერხებს სიცოცხლის პროცესსაც. როცა მცენარეთა და ცხოველთა გარშემო ტემპერატურა კლებულობს, ნივთიერებათა გაცვლის ყველა პროცესი სუსტდება და ჩერდება; ორგანიზმთა სულთქმა და საზრდოობა ნელა სწარმოებს, ჩერდება მისი ზრდა და სუსტდება მოძრაობა.

ცხოველები და მცენარეები სხვა და სხვა გვარათ უმკლავდებიან სიცოცხლეს. ზო-

გიერთი სათუთი მცენარე, მაგალითად, კარტოფილი, ვერ უძლებს 0° ტემპერატურას და იყინება. სხვა მცენარეები, თუ გინდ ხეები, $20-30^{\circ}$ ყინვას იტანს და უვნებლად რჩება. მეცნიერი პიკტეს გამოკვლევა და დაკვირვება ჩვენ გვეუბნება, რომ ცხოველებიც მცენარეებივით სხვა და სხვა გვარათ უმკლავდებიან ტემპერატურას. ინფუზორიები 60° , ცელსიით, სიცივეს იტანენ, მაგრამ 90° ცელსიით კი იღუპებიან. პიკტემ აიღო და ბალის ლოკოკინები რამდენიმე დღის განმავლობაში 110° ყინვაში ამყოფა, მაგრამ ისინი არ დაიხოცნენ, გაცოცხლდნენ. უმაღლესი ცხოველები ტემპერატურის დაკლებას ძლიერ გრძობენ: ბაყაყები 28° *) სიცივეს იტანენ, მაგრამ $30-35^{\circ}$ კი იხოცებიან. თევზები $8-15^{\circ}$ სიცივეს იტანენ, მხოლოდ 20° სიცივეს კი ვერ უძლებენ და კვდებიან. თბილ სისხლიანი ცხოველები, რომელთა სხეული ერთგვარ ტემპერატურაზე არის გამთბარი, დიდ სიცივეს ვერ იტანენ, ამ მხრით მათი მდგომარეობა ცუდია. მათი სხეულის ნორმალური ტემპერატურა რამდენიმე გრადუსით თუ დაიწია, ხშირად იხოცებიან.

ჩვენ ვიცით, ცხოველები სიცივეს, დაბალ ტემპერატურას, უმკლავდებიან და უვნებლად იტანენ. ცხოველებს შეუძლიათ გაყინულ მდგომარეობაშიაც სიკოცხლე შეინარჩუნონ. ამ ფრიად საინტერესო მოვლენის და საკითხის შესახებ დღეს ჩვენ გვაქვს საყურადღებო გამოკვლევა პროფესორი ბახმეტიევისა, რომელიც დიდი ხანი არაა რაც გარდაიცვალა. ეს გამოკვლევა ყურადღების ღირსია და მისი, ასე თუ ისე, გაგება უნაყოფოდ არ ჩაივლის. ბახ-

მეტიევის გამოკვლევა გვაცნობს ჩვენ ორგანიზმის სულ სხვა მდგომარეობას, რაიცა მდებარეობს სიკოცხლისა და სიკვდილის საზღვარზე. ბახმეტიევი თავისი გამოკვლევანი მწერებზე მოახდინა. მისი გამოკვლევის უმთავრესი ობიექტები იყო მსხვილი პეპელები. მან პეპელები მოათავსა ჭურჭელში, რომელიც გააცივა მარილნარევი ყინვით 20° -დე. პეპელების სხეულის ტემპერატურაზე გარეშე ტემპერატურას თუ რა გავლენა აქვს, ამის გასაგებათ ხმარობდა იგი განსაკუთრებულ ელექტრონის თერმომეტრს. ეს თერმომეტრი დამყარებულია ეგრეთ წოდებულ „თერმოელექტრონულ“ მოვლენაზე. საქმე აი რა არის: თუ ავიღებთ სხვა და სხვა ლითონის ორ მავთულს, მაგალითად, მანგანუმისას (მარგანეცი) და ნიკელისას, და შევკავშირებთ, შემდეგ ამ მავთულების ბოლოებს შეუერთებთ მგრძობიარე გალვანომეტრს, რაიცა გვიჩვენებს ელექტრონის არსებობას, მისი შეკავშირებული ადგილის მეტ-ნაკლებათ გათბობა გვიჩვენებს მავთულებში ძლიერ სუსტს, მაგრამ გალვანომეტრით აღნიშნულ ელექტრონს. მისი ძალა დამოკიდებული იქნება შეკავშირებული მავთულების გათბობა-გაცივებაზე. მაშ, ორი შეკავშირებული მავთულის ნემსს თუ ჩვენ მწერის სხეულში შეუშვებთ, გალვანომეტრი გვიჩვენებს მისი სხეულის ტემპერატურას. ამ საშუალებით ტემპერატურის ძლიერ სისწორით აღნიშვნა შეიძლება.

ბახმეტიევი 20° ჰაერში მყოფ პეპელებს ეს თერმომეტრი გაუკეთა და გაიგო მათი სხეულის თანდათანობითი დაკლება. მწერების სისხლს მუდმივი ტემპერატურა არ აქვს. იგი ეგუება მის გარშემო ტემპერატურას: როცა გარშემო ტემპერატურა იკლებს, მწერების სხეულის ტემპერატურაც ეცემა. და აი დაკვირვებამ აღმოაჩინ-

*) გრადუსი უკუჯგან ცელსიით არის ნაჩვენები.

ნა, რომ მწერების სხეულში საკვირველი პროცესი ხდება: პირველყოვლისა ტემპერატურა 0° მიდის, შემდეგ უფრო და უფრო კლებულობს და აღწევს იგი $9,3^{\circ}$, მაგრამ ამ დროს კი უეცრად და სწრაფად ტემპერატურა იწვევა და აღის $1,7^{\circ}$, — ტემპერატურა თითქოს მაღლა ხტება და ამავე დროს საკვირველ ნახტომს აკეთებს. მიდის იგი $1,7^{\circ}$ -დე და ხელმეორეთ პეპელის სხეულის ტემპერატურა თანდათანობით ძირს ეშვება, უთანასწორდება მის გარშემო ჰაერის ტემპერატურას, ე. ი. მიაღწევს იგი 20° .

რატომ აკეთებს ტემპერატურა დაკლების დროს ასეთ ნახტომს? ეს ადვილი ასახსნელი და გასაგებია. ჩვენ ორგანიზმის გარეშე სხვა და სხვა სითხის გაცივების დროს ასეთ მოვლენას ვამჩნევთ. ეს კი ფიზიკური მოვლენაა. იგი წარმოსდგება სითხეთა თვისებით. ამას **გადაცივება** ეწოდება. მაგალითად, ავიღოთ წყალი და მის ზედა პირზე ზეთი დავასხათ. ახლა კი წყლის ტემპერატურა 20° ძირს დავწიოთ. რას მივიღებთ ასეთ შემთხვევაში? წყალი არ გაიყინება, ყინვით არ გადაიქცევა, იგი ისევ სითხეთ დარჩება. მაგრამ როცა გაცივების დროს ტემპერატურა 20° -დე მიაღწევს, იგი უეცრად ზევით 0° -დე აიწევს და იმ წამსვე სწრაფად წყალი ყინვად დაიწყებს ქცევას, ე. ი. წყალი მაგარ მდგომარეობაში გადავა. აი, ნორმალური წერტილის ქვევით სითხის ასეთ გაცივებას ეძახიან „**გადაცივებას**“. გადაცივება შესაძლებელია განსაზღვრულ ტემპერატურამდე. რაიცა იწოდება **კრიტიკულ ტემპერატურათ**. ამ ტემპერატურის ქვევით სითხე არაოდეს გაუყინავი არ რჩება. იგი ასეთ შემთხვევაში მაგარ მდგომარეობაში გადადის, და ამავე დროს კი მისი ტემპერატურა მაღლა იწევს და

სითფოს უშვებს. სითხეთა გადაცივებას ადვილად მივალწევთ განსაკუთრებით ძლიერ ვიწრო მილებში. ასეთ ვიწრო მილებში არის მწერთა სისხლი და სხვა სითხეც მოთავსებული. ეს ფიზიკური მოვლენა ნათლად გვიხსნის იმ ტემპერატურის ნახტომს, რაიცა ბახმეტიევი მწერების გაყინვის დროს აღმოაჩინა. პირველყოვლისა მწერების და პეპელების სხეულში სითხე გაუყინავათ გადაცივდება და ტემპერატურის დაწევას $9,3^{\circ}$ იტანენ. შემდეგ მიდის რა ამ **კრიტიკულ ტემპერატურამდე**, უეცრად სითხოს უშვებს, მისი ტემპერატურა იწევს $1,7^{\circ}$ და ამ წამსვე იწყებს გადასვლას თანდათანობით მაგარ მდგომარეობაში. გაყინვის ეს პროცესი უეცრად არ ხდება, იგი თანდათან სწარმოებს და ტემპერატურაც ამიტომ ნელ-ნელა კლებულობს.

კითხვა იბადება, მწერების სიცოცხლის პროცესს გაყინვის ყველა ამ საფეხურების დროს რა ემართება? ამ კითხვის გადასაჭრელად პროფესორი ბახმეტიევი მოიქცა ასე: მან პეპელები ჭურჭლიდან ამოიღო მათი სხეულის ამა თუ იმ ტემპერატურის დროს; ისინი მოათავსა ოთახის ნორმალურ ტემპერატურაში და დააკვირდა, თუ რა მოუვიდოდა მათ. აღმოჩნდა, თუ პეპელებს ამოვიღებთ გაცივებულ ჭურჭლიდან **კრიტიკულ ტემპერატურამდე**, ე. ი. ტემპერატურის ნახტომამდე, ასეთ შემთხვევაში ისინი სწრაფად ღხვებიან, ცოცხლდებიან და ფრენას იწყებენ. თუ მათ ამოვიღებთ ნახტომის შემდეგ, ე. ი. როცა მათი სხეულის ტემპერატურა $1,7^{\circ}$ -სა და 9° შუა არის, ასეთ შემთხვევაშიაც პეპელები მოგვიანებით ცოცხლდებიან და ფრენას ახერხებენ. მაგრამ სხეულის ტემპერატურას ხელმეორედ თუ ნებას მივცემთ 9° ქვევით დაწევისას, შემდეგ ამისა მწერს

გავათბობთ, ჩვენ რაც უნდა ვეცადოთ სიკოცხლეს მას ვერ დაუბრუნებთ, იგი საუკუნოდ დაილუპება და მოკვდება. ამ ტემპერატურას ბახმეტიევმა **სიკვდილის წერტილი** უწოდა. მოსახერხებელია ვიფიქროთ, მწერი სიკვდილის წერტილს აღწევს მაშინ, როცა მთელი მისი სხეულის სითხე მაგრდება და ყინვად იქცევა. მაგრამ ეს ასე არაა: ბახმეტიევის ცდა გვიჩვენებს, პეპელების სხეულის სითხე მაგრდება უფრო ადრე— $4,5^{\circ}$, მაშასადამე, იმ დროს შუა, როცა მისი სხეულის ტემპერატურა კლებულობს $4,5^{\circ}$ -დან 9° -დღე, მისი სხეული მაგარია, ყინვად ქცეულია და არც ერთი სხეულის ნაწილი გაუყინავი არ არის. მაგრამ მიუხედავად ამისა თუ ჩვენ პეპელას ამოვიღებთ ჭურჭლიდან და გავათბობთ, იგი გაცოცხლდება და გაფრინდება. მაშასადამე, ამ გაყინულ სხეულში კიდევ სიკოცხლის სითბო არის!..

მაგრამ სხეულში ქიმიური რეაქცია შეუძლებელია; ყოვლად შეუძლებელია ასეთ სხეულში მოხდეს ისეთი ქიმიური რეაქცია, როგორც სიკოცხლის დროს სწარმოებს. ყინვის ნატეხში სუნთქვა, სისხლის მოძრაობა, ნივთიერებათა გაცვლა, ზრდა და გამრავლება არ შეიძლება; მაშასადამე, ძირითადი სიკოცხლის პროცესი მოუხერხებელია და თან სიკოცხლეც შეუძლებელია! მაგრამ მიუხედავად ამისა, სიკოცხლე მაინც არის. საკმარისია მწერის გარეშე პირობები შეიცვალოს, რომ იგი ხელმეორეთ გაცოცხლდეს. მაშ, აქ, როგორც სჩანს, სიკოცხლე დაფარულად არის. აი ცოცხალი არსების ასეთ მდგომარეობას დაერქვა **ანაბიოზი**.

ეს, სწორუპოვარო მკითხველო, ამ საუკუნის ღირსშესანიშნავი აღმოჩენაა. მაგრამ აღმოჩენის ავტორი ამით ვერ დაკმაყოფილდა. მან ეს საფუძვლიანად გამო-

იკვლია, მის სინტერესო ბევრ მხარეს შეეხო. ბახმეტიევის გამოკვლევების აღწერას ჩვენ აქ არ შეუდგებით, ვინაიდან იგი ძლიერ შორს წაგვიყვანს. მან სხვა მწერებიც გამოიკვლია ამ მხრით და აღმოჩნდა, რომ მათი კრიტიკული ტემპერატურის და სიკვდილის წერტილის ციფერი სხვა და სხვაა, მაგრამ საერთოდ-კი ყველა მწერებს ერთი და იგივე მოვლენა ემჩნევათ. ამ მხრით სხვა ცხოველების, მაგ., ფრინველების, თბილისისხლიანების, ძუძუთ-მწოვრების გასინჯვა, რასაკვირველია, ძლიერ კარგია. ჩვეულებრივ შემთხვევაში ძუძუთმწოვართა ტემპერატურის დაწევა არ ხერხდება. პიკტეს ცდა გვეუბნება, ძაღლების სხეულის ნორმალური ტემპერატურა, რაიცა უდრის 37° , როცა $+22^{\circ}$ კლებულობს, ისინი იხოცებიან. მაგრამ ისეთი ძუძუთმწოვრები არიან, რომელთა ტემპერატურა კლებულობს და 0° უახლოვდება. ეს მძინარა ცხოველებია, მაგ., ღამურა, ზღარბი და სხვა მრავალი. ზამთრობით ეს ცხოველები იძინებენ და მოძრაობასა ჰკარგვენ. მათი ყოველგვარი ფიზიოლოგიური მოთხოვნილება კლებულობს და სხეულის ტემპერატურაც ეცემა. ასე ამრიგად მთელ ზამთარს ატარებენ და გაზაფხულზე კი ცოცხლდებიან. ეს იმედს გვაძლევს, რომ ყველაზე უფრო ადრე ამ ცხოველებში შეიძლება ანაბიოზის გამოწვევა. ბახმეტიევმა ღამურებზე ცდა მოახდინა. მან ღამურებიც, როგორც მწერები და პეპელები, 20° ტემპერატურაში მოათავსა. მათი სხეულის ტემპერატურა ელექტრონის თერმომეტრით გასინჯა. ცდამ პეპელებზე დაკვირვება დაადასტურა. პირველყოვლისა ღამურას სხეულის ტემპერატურა კლებულობს, შემდეგ იგი ზევით ხტება, მაგრამ ხელმეორედ იწყებს კლებას და **სიკვდილის წერ-**

ტილამდე მიდის. ამ წერტილს ქვევით ცხოველი სიცოცხლეს სამუდამოთ ესალმება, მისი გაცოცხლება შეუძლებელი ხდება.

პირველი ცდის დროს გაცხეებული ღამურა ცივი ჭურჭლიდან ამოიღეს, როცა მისი სხეულის ტემპერატურა 4° მივიდა, იგი გახსნეს და სტოლზე დადვეს. ჩვენ სამივე, — მოგვითხრობს ბახმეტიევი, — დავაკვირდით ღამურას. როცა მის სხეულს შევეხეთ, იგი მაგარი იყო, სიცოცხლე არ ემჩნეოდა. ცოტა ხნის შემდეგ ნელ-ნელა ფრთები დაუშვა და ოდნავათ სულთქმა იწყა. პირველად სიხარულისაგან არ ვიცოდით რა გვექნა. მაგრამ აი ექიმმა ბურშმა ამოიღო საათი და სუნთქვას დააკვირდა. ცივი აბანოდან ამოღების შემდეგ ექვსი წუთი გავიდა და ღამურამ-კი ცხრაჯერ მოითქვა სული წუთში. მისი სუნთქვა არეული იყო. შემდეგ სუნთქვა წუთში თერთმეტი გახდა, გავიდა 17 წუთი და სუნთქვა კი უდრიდა 96-ს, 36 წუთის შემდეგ-კი 212. ამრიგად, ცდამ დაამტკიცა, რომ ზოგიერთი ძუძუმწოვარა ცხოველები ანაბიოზურ მდგომარეობაში ვარდები, ე. ი. მას შეუძლია **დაფარული სიცოცხლე**. ცდა გვეუბნება, ანაბიოზის დროს მწერთა და ცხოველთა ტემპერატურა ერთი მეორეს უდრის; სიკვდილის წერტილიც უახლოვდება — იგი 9° ტემპერ. იმყოფება.

ანაბიოზურ მდგომარეობაში ღამურა გასჭრეს და აღმოჩნდა, რომ სისხლი და სხეულის სხვა სითხე მაგარია, ცხოველის მთელი სხეული ყინვას წარმოადგენს. მართალია, ღამურებზე ცდამ ანაბიოზი დაამტკიცა, მაგრამ ამის საწინააღმდეგოთ შეგვიძლია ვსაქვით, რომ მათი სხეულის ტემპერატურა ბუნებრივად კლებულობს და, მაშასადამე, მოსახერხებელია თავის-

თავად ანაბიოზს განიცდიან. ძლიერ სასურველი იყო ეს ცდა მოეხდინათ იმ ცხოველებზე, რომელთა სხეული ერთგვარ ტემპერატურაზე არის გამთბარი, მაგალითად, ძაღლი, ადამიანი, ბაქია და სხვა. ამ მხრით ჯერ დადებითი შედეგები არ გვაქვს, ვინაიდან ბახმეტიევის უდროვოთ გარდაცვალებით ცდა შეწყდა*). ერთგვარ ტემპერატურაზე გამთბარ ცხოველებში ანაბიოზის გამოწვევა ძნელი საქმეა; პირველ გამოკვლევას ამას მოუხერხებლად აღიარებს, მაგრამ ამის შეუძლებლობას-კი არ ამტკიცებს. ფრანგმა მკვლევარმა, დიუბუამ, დაამტკიცა, რომ ხელოვნურად შესაძლებელია მუდმივ ტემპერატურაზე ძუძუმწოვარ ცხოველების სხეულის ტემპერატურის დაკლება. მაშასადამე, ამ შემთხვევაში ჩვენ გვყავს არა მუდმივ-ტემპერატურაიანი ცხოველი. დიუბუამ ბაქიებს ასუნთქვა ერთად არეული ნახშირმჟავა და მჟავადი (ნახშირბადი). ამ ცდის დროს ბაქიები უმოძრაოდ ეცემოდნენ, მაგრამ ცხოველების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ამას არავითარი ვნება არ მოუტანია. ეს ცდა აშკარად გვეუბნება, მომავალში იმედია ძუძუმწოვარ ცხოველების სხეულის ტემპერატურას ხელოვნურად დავწევთ და, მაშ, შეუძლებელი აღარ იქნება გამოვიწვიოთ ანაბიოზი უმაღლეს ცხოველებში და ადამიანშიაც. ამას, რასაკვირველია, დიდი თეორიული მნიშვნელობა ექნება. ჩვენ მეცნიერულ გამოკვლევას პრაქტიკული მხრით უყურებთ და ამის მიხედვით ვაფასებთ მას. ამ მხრითაც ანაბიოზი ფრიად სასარგებლოა.

*) ეს წერილი დაწერილი იყო, რომ გაზუთებმა ცნობა მოიტანა, ბახმეტიევის მოადგილე აღმოჩნდა და მუშაობა დაიწყო. ვნასოთ მომავალი ცდა რას მოგვიტანს. **ზ. ჩ.**

ცხოველების გადასაყვან-გადმოსაყვანათ საჭიროა მათი სიკოცხლის პროცესის შეჩერება. ამ მხრით ანაბიოზი დიდ სამსახურს გაგვიწევს. მეფუტკრეობაში იგი, იმედია, დიდ როლს ითამაშებს. ფუტკარს ზამთრობით ასაზრდოებენ და ეს კი ხარჯს იწვევს. სასურველია ფუტკრების ანაბიოზურ მდგომარეობაში ჩაყენება შემოდგომაზე და ცივ ადგილას მათი შენახვა, გაზაფხულზე, როცა ყვავილები გაიშლება, ტაროსი დათბება, მათი გაღიზიანება და გამოღვიძება.

ეს ახალი გამოკვლევა მეთევზეობასაც სამსახურს გაუწევს. ანაბიოზურ მდგომარეობაში თევზის გადატან-გადმოტანა გაადვილდება, ცოცხალი თევზის შესანახად აუზები საჭირო არ იქნება. მეურნეობასაც არა ნაკლებ სამსახურს გაუწევს. ანაბიოზის მნიშვნელობა დაუფასებელი იქნება, თუ ჩვენ მოვახერხებთ შინაური ცხოველების ამ მდგომარეობაში მოყვანას. ჩვენ არაფერს ვიტყვით თუ იგი ადამიანისათვის

რა სასარგებლო იქნება. ადამიანის ანაბიოზი ჯერ-ჯერობით ზღაპარია და მას ნიადაგი არ აქვს. მაშასადამე, ამაზე მუსაიფი ფანტაზიაა. მაგრამ ჩვენ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ანაბიოზი მომავალში აქაც მოსახერხებელი იქნება, ვინაიდან ადამიანთა სხეულიც ერთგვარ ტემპერატურაზე არის გამთბარი, როგორც სხვა ძუძუმწოვარ ცხოველებისა. თუ ანაბიოზის გამოწვევა ძუძუმწოვარ ცხოველებში მოხერხდა, ადამიანებშიც მოხერხებული იქნება. ამას მომავალი გვეტყვის. დღეს ჩვენ გვაქვს ფრიალ საინტერესო თეორიული აღმოჩენა, რაიცა გვიჩვენებს სიკოცხლის პროცესის გარეშე პირობებზე დამოკიდებულებას, ამასთანავე, იგი რამდენათ უმკლავდება და ებრძვის არა სასურველ გარეშე გავლენებს. ეს აღმოჩენა, სხვათა შორის, ერთი დიდი ნაბიჯია წინ გადადგმული.

ზ. ჩიჩუა.

ცემბერი. 1914 წ.

ბავშვი და მეცნიერება

სანუგეშო და დამახასიათებელ მოვლენად თანამედროვე პედაგოგიკის განვითარებაში უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ დღითიდღე მატულობს ცხოველი მისწრაფება შინაარსიან მასალის შესაგროვებლად და საგნების სწავლების მოსაწესრიგებლად, რომელიც დროს შესაფერისად შეეფარდება ხალხის მოთხოვნილებასაც. მოვიგონოთ ის მშვენიერი დარგები განმანათლებელ მასალისა, რომელიც სასკოლო კომისიების შეერთებულმა ძალამ მოიპოვა; მოვიგონოთ, — თუ რამდენი ნიჭიერი მასწავლებელი სცდილობს

წინანდელ მშრალ პროგრამას სიკოცხლე და მშვენიერი ბავშვურ-პოეტური ფორმები მისცეს. საყურადღებოა მოვიხსენიოთ ისიც, რომ ფსიხოლოგიურად და მეცნიერულად განათლებულმა მასწავლებლებმა შესძლეს სრულ მასწავლებელთა ფართე წრეებისათვის მისაწოდამათ გაეხადათ ცხოველების სრულიად ახალი კითხვები, პედაგოგიურად კარგათ შემუშავებულნო, რომლებსაც აქამდინ არავინ შეჰხებია. ყველა ეს ჩვენ გვმატებს მხნეობას, გვიღვიძებს იმედს, რადგანაც აშკარაა, რომ რამდენადაც ჩვენ უახლოვებთ ბავშვს მეცნიერე-

ბას, იმდენად ჩვენ თვითონ უახლოვდებით სწავლების უმაღლეს მიზანს: შევქმნათ ბავშვისაგან მოფიქრებული ადამიანი, ხელი შეუწყოთ მის აღფრთოვანებას. ეს მისწრაფებანი მხოლოდ ნაწილია იმ განვითარებისა, რომელიც განათლების საქმეში მთელი საუკუნოები გრძელდება. თავდაპირველად სკოლა იძლეოდა მხოლოდ უბრალო დახელოვნებას, შემდეგ კი შეიგნეს, რომ საჭიროა ბავშვებს მივცეთ ცოტადენი რამ ახალი ჩვენი ეპოქის მიერ შეძენილ ცოდნიდან, უპირველეს ყოვლისა პრაქტიკულად სასარგებლო ცოდნის დარგიდან. შემდეგ ეს აზრი სისტემატიურად შეიმუშავეს და შეადგინეს სახელმძღვანელოები რეალურ ცოდნისა. ეხლა კი კვლავ ეძებენ უფრო დიდ ასპარეზს განათლებისათვის, რადგანაც ცხადია, რომ ყველა ჩვენი წიგნები ემსახურებიან მხოლოდ სამეცადინო და არა განმანათლებელ მიზნებს; ეხლა კი გვესმის, რომ შეუძლებელია მეცნიერების ყველა დარგის შესწავლა, კაცობრიობის გონებითი ფარგლის გაფართოვებისა გამო. ჩვენ რომ მოგვეწადინა, შეგვეძლო მთელი მწელიწადი (ე. ი. გერმანელების პირველდაწყებით სკოლის მთელი კურსი) გვესწავლებინა ბავშვებისათვის გაუმეორებლად მხოლოდ ცოდნის ერთი სპეციალური ნაწილი. ჩვენ შეგვეძლო შეგვესწავლა მხოლოდ აღმოჩენების და გამოგონების ისტორია და, რასაკვირველია, კიდევაც ვერ გავათავებდით მას; ჩვენ მოვისმენდით აღმომჩენთა ტკბილსა და მწარე ამბებს, გადავსინჯავდით ისტორიას, სხვა ქვეყნების, ხალხის და ჩვენი სამშობლოს ცხოვრებას, ბუნების მეტყველების და ისტორიის სხვა და სხვა დარგს, გავეცნობოდით ხასიათს და ადათს სხვა ხალხისას, თავგანწირულობის, თავმოყვარეობისა და გულქვაო-

ბის ფაქტებს; გავიგებდით შედეგებს და სოციალურ ცვლილებებს, რომელიც მოჰყვა დიდ აღმოჩენებს და ყველა ეს იქნებოდა საუკეთესო ნაბიჯი ცოდნის მოყვარეობის განვითარებისაკენ. იგი მისცემდა მდიდარ საზრდოს ჩვენ განმანათლებელ საგნებს. ამის შემდეგ საჭიროა განა ძალის დატანება, რომ ისწავლონ უეჭველად თუ რა არის ცისკიდური, მერიდიანი და ეკვატორი? საჭიროა განა სწავლება იმისი, რასაც თხოულობენ მთავრობის სასწავლო გეგმები და პროგრამები? ნუთუ ამ მოთხოვნილებებში არა ვხედავთ ფარულ რწმენას იმისადმი, თუ რა მნიშვნელობას და ფასს სდებს ადამიანს მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობა ცოდნისა? მაგრამ ნუთუ არა ვგრძნობთ ყველანი, რომ ეს რწმენა უკვე შერყეულია? ჩვენ ყველანი დიდი ხნის და მწარე ცდის შემდეგ დავრწმუნდით, რომ ეს მასალა სახელმწიფო პროგრამებისა დიდი ხნით არა რჩება ჩვენ გონებაში, რადგანაც იგი ჩვენთვის სრულიად უცხოა, შორეული. აბა გადავავლოთ თვალი ჩვენ სახელმძღვანელოებს და მაშინ ნათლად დავინახავთ, რომ სრულიად უცხო მასალას ვსწავლობთ. აი სათაურები:

შვებ—ფრანკების ქვეყანა, აღმოსავლეთი აზია, აფრიკის კუნძულები. რა გვაერთებს ჩვენ ყველა ამასთან? რა აერთებს ამასთან ბავშვს, რომელიც ამისთანა გაკვეთილებზედ ოცნებით შინ ფრინავს და თავის ტიკინებს ეთამაშება? განა გეოგრაფიის ფართე თემა, ადგილების შესწავლა, ბუნების სურათების ზეპირი აღწერა მისაწდომია ბავშვებისათვის? განა იმათ ცოტადნათ მაინც აინტერესებთ ან ესმით ეს მულმივი, მოსაწყენი აღწერა ზემო რეინის მდელისი, ან მალაის კუნძულების მცენარეულობისა? რა საჭიროა უეჭველად

იმ საგანთა შორის ტრიალი, რომელნიც მხოლოდ მთქნარებას იწვევენ ბავშვებში? განა ჩვენთვის ნათელი არ არის, რომ ბავშვს არ ძალუძს ოცნებით შეჭქმნას ბუნების სურათი, რომ ამისთანა სწავლებით მხოლოდ სისტემატიურად ვაჩვენებთ ბავშვს წიგნურ აზროვნებას? ახალგაზრდობა ნაკლებად ზრუნავს ბუნების სურათებზე. მას აინტერესებს მხოლოდ ცხოვრება, მოძრაობა, ყოველი კაცობრიული. გეოგრაფიაში ჩვენ მივიღებთ ნამდვილ პერესპექტივას მაშინ, როდესაც ოცნებით ვიმოგზაურებთ აღწერილ ქვეყნებში თანამგზავრთან ერთად, თუ რომ ჩვენ განვიხილავთ არა კონცხებს, მთა-გრეხილებს, მცენარეებს და სხვას, არამედ ქუჩის სცენებს, ხელოსნებს მუშაობის დროს, გარეულ ნადირებს, ველურებს, სცენებს იმათი ცხოვრებიდან. ეს ესეც უნდა იყოს, რადგანაც ბავშვის სულიერი სიმდიდრე მხოლოდ ამისთანა წარმოდგენებისაგან შესდგება. ამ კონკრეტულ, სახელდახელო საუნჯესთან-კი მუშაობას გვიბრძანებს ჩვენ საღი აზროვნება. მთელი ჩვენი სულიერი ცხოვრება ხომ ამ კონკრეტულ მოგონებებში მიმდინარეობს. განა იმისთვის არ ვიკრიბებით მუდამ დღე მოუხერხებელ კლასებში, რომ გავადვიდით ეს მოგონებანი, უფრო გავაფართოვოთ და გავაღრმავოთ? როდესაც ყოველი ჩვენი გრძნობა დამშვიდებულია, მაშინ უფრო კარგათ ვფიქრობთ, ვსაზრობთ.

უნდა გამოვირკვიოთ ის, რაცა ვნახეთ; მხოლოდ მაშინ გავიგებთ იმას, რაც არა სჩანს, ე. ი. როგორ მჭიდროთ არიან ერთი-მეორეზედ გადახლართულნი ეს მოვლენანი. და თუ ეს ასეა, თუ მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ ბავშვის წარმოდგენა და აზრი გამოვაცოცხლოთ, გამოვავიხლოთ, მაშინ ხომ ცხადზედ უცხადე-

სია, რომ ერთად ერთი შესაძლო მასალათ გეოგრაფიის სწავლებაში აღსარებულ უნდა იქმნას სამშობლოს აღწერა (Heimatkunde). უცხო მასალა უნდა ჩაითვალოს მხოლოდ საშუალებათ, რომელიც დაგვანახვებს ახალის თვალ-საზრისით ძველს, უკვე ნაცნობ მოვლენებს გარესკენელ ცხოვრებისას; ეს ხელს შეუწყობს ამ უკანასკნელების უფრო ღრმა შემეცნებას, მეტადრე თუ დაუპირდაპირეთ იგი უცხოს. და მართლაც ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ეს უცხო მასალები ამისთანა სამსახურს გვიწვევენ. რასაკვირველია, ამისთანა კონკრეტიზაცია ყველა საჭიროს არა ჰქმნის: უცხო მასალა ისევე იმათ რჩება, რაც არის და ელის მხოლოდ წუთს, როდის მიტრიალდება მასწავლებელი, რომ კვლავ ისევე გაჰქრეს, გამოფრინდეს თავიდან. რამდენი მხედველობითი შთაბეჭდილება მოაქვს ჩვენთვის თვით ცხოვრებას, და მაინც ყველა ისინი ჰქრებიან, იკარგებიან, თითქოს ჩვენი თავი ცხრილი იყოს. განა ჩვენ გვაქვს ნათელი წარმოდგენა ყველა იმ ურიცხვ საგნებზედ, რომლებიც გვახვევია გარს ჩვენ ყოველ-დღიურ ცხოვრებაში? რასაკვირველია, არა! ეს წარმოდგენა დაუჯერებლად ნაკლებია, არეულ-დარეული და სხვებთან გადახლართული, რასაც ნათლად გვიმტკიცებს ჩვენ ხატვა. მაშასადამე, ჩვენ კიდევ და კიდევ უნდა დაუკვირდეთ საგანს, რომ ისევე ერთი და იგივე განვიცადოთ? არა ჩვენ უნდა მოვიგონოთ დიდებული დასკვნა კანტის ფილოსოფიისა: ყოველივე შედეგია გრძნობის და გონების თანაზიარ მოქმედებისა, და რადგანაც გრძნობათა მოქმედება არის ცხოვრების ბუნებრივი ამოცანა, ამიტომ საჭიროა ამას შეუერთოთ აზრის განვითარება, როგორც სწავლების ერთად-ერთ მასალისა. მხოლოდ მაშინ შეიძლება ლაპარაკი ნამდვილ თვით-

მოქმედებაზედ განჭვრეტის დროს, როდესაც შთაბეჭდილებანი მიღებულია თავისუფლად და გარესკნელ ცხოვრებიდან.

მაგრამ სახელმძღვანელოებით ბავშვებს ასწავლიან დამტკიცებას და არა დაკვირვებას. ნამდვილად კი ეს სახელმძღვანელოები იძლევიან უცხო მასალას საზიაროთ და მაშასადამე ბავშვებიც ვერ ეგუებიან ამ მასალის შეგნებას. მაგრამ როგორ მოხდა, რომ მხოლოდ ეხლა ვგრძნობთ ჩვენი სახელმძღვანელოების მასალის უცხოობას? რატომ წინათ ვერ ვხედავდით, რომ ბავშვების ნიაზი იზრდებოდა არა ამ მასალით, რომ მისი მოგონებანი მიმდინარეობდნენ არა ჩვენი სიტყვების კალაპოტში, რომ მომეტებულ შემთხვევაში ჩვენ ვასწავლიდით ბავშვებს მათი ნიაზის და მონაწილეობის გარეთ? ამის მიზეზი ჩვენი სწავლების დაკანონებული მეთოდია. ჩვენ ხომ თავის დღეში ნებას არ ვაძლევდით მოწაფეებს თავისუფალ მსჯელობაზე ნასწავლ საგნების შესახებ. ჩვენ მაგრა გვეჭირა ბავშვები კითხვა-პასუხის ლავამით და მოსალოდნელ პასუხსაც უეჭველად ვღებულობდით—უნდოდათ ეს ბავშვებს, თუ არა. განა ამისთანა კითხვების შემდეგ ამ ახალ ცოდნათ ბავშვები ღრმათ იბეჭდავენ გონებაში? რა შეცდომაა! განა ამისთანა გაკვეთილების შემდეგ შეიძლება კიდევ ვილაპარაკოთ იმ ცოდნაზედ, რომელიც ფარულად, ჩვენი კითხვებით უკვე ნათქვამია? აბა მოვიგონოთ როდის გამოცოცხლდა კლასი, რამ გამოიწვია ესეთი გამოცოცხლება, აღფრთოვანება იმათში? აი მაგალითებრ—ჩვენ ჩვეულებრივ სისტემატიურის გზით გადავდივართ ერთ ქალაქიდან მეორეზედ და სხვათა შორის ვამბობთ ერთ სიტყვას, რომელიც აიძულებს ერთ მოწაფეთაგანს ერთბაშად წამოხტეს და თავისი შენიშვნა

ჩაუმატოს. ერთი სიტყვა მეორეს იწვევს, მეორე მესამეს და ერთბაშად ჩვენ გადავდივართ საგანზედ, რომელზედაც არავინ ფიქრობდა; ბავშვების აღფრთოვანება იზრდება: ყველა სცდილობს რამე სთქვას, ყველა აღტაცებულია, გახარებული. ერთი დარგიდან მეორეზედ გადავდივართ, აზრთა გაცვლის მორევს მივყევართ სულ შორს, შორს და ესტკბებით ბავშვების მრავალფეროვან, სიცოცხლით სავსე ცხოვრებით და აზრის მუშაობით. ჩვენ ვდგევართ ერთმანეთის წინ, როგორც თანასწორნი, როგორც ადამიანი ადამიანის წინ, რადგან ხშირად მასწავლებელი ვერა ჰპოულობს პასუხს ბავშვების კითხვაზედ, ხან და ხან არც კი იცის რა უპასუხოს და ხშირად რომელიმე მოწაფე იძლევა საჭირო ახსნას. მერე როგორ მირბის დრო ამ გახურებულ, ბედნიერ აზრთა გაცვლაში; რამდენი ახალი შთაბეჭდილებით ივსება ბავშვის ცხოვრება! თუ მივიღებთ მხედველობაში მასალის სიმდიდრეს და სიმრავლეს, მაშინ ცხადია, რომ ნამდვილი „თემები“ უნდა ვეძებოთ არა მეთოდების და სახელმძღვანელოების სათაურებში. აი ცხოვრების მრავალფეროვანი ცოცხალი თემები! ეს ხომ ბავშვთან ახლოა და დიდის სიხარულით ეგებება მას ბავშვში. სდულს ყოველ დღიური ცხოვრება და ღებულობს ახალ-ახალ ფორმებს. ამისკენ გზის პოვნა კი ჩვენ უნდა შევძლოთ მოსაწყენ სახელმძღვანელოებითაც კი. აი მაგალითებრ, მე შემიმჩნევია, რომ მდინარე ეღბას სილის ქვიან ნაპირების ალწერილობის დროს, სახელმძღვანელო მხოლოდ სხვათა შორის ეხება ქვის ქრას. მხოლოდ სხვათა შორის! და ეს დამახასიათებელი თვისებაა სახელმძღვანელოებისა. რა სიამოვნებით მოვისმენდით რაიმე ახალს ქვის ქრაზედ, მაგრამ რადგანაც

სახელმძღვანელოებში ამისთანა არაფერია, ამიტომ ჩვენ უნდა გამოვცვალოთ ჩვენი თემა ისე, რომ ყველამ მიიღოს მონაწილეობა, შეუფარდოთ იგი ჩვენი სამშობლოს აღწერას. ჩვენ, მაგალითებრ, შეგვიძლიან, თემას მივცეთ სათაური „ქვა“. განა ამით ზღაპრებს ნაცნობ დარგს არ უშლით თვალწინ? ჩვენ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ხალხი წინათ სცდილობდა ასაშენებელი მასალა თვით სოფელში მიეღო, რომ ქვემო საქსონელი გლეხები იძულებულნი იყვნენ აეშენებინათ თავიანთ სახლები თიხისა, ლერწამისა და მცენარის დამიწებულ ძირებისა, ჩალისა და ხისა. ჩვენ გვექნება საუბარი ასაშენებელ მასალის ტრანსპორტზედ, ქვის გამოყენებაზე სახლებისათვის და ქუჩებისათვის, ხელოვნურს და სასაფლაოს ქვებზედ.

ბევრს ქვის კბეებს ეტუბათ, რომ ზედ სიარულისგან გაცუთილან. სრულიად ძველ ქვებს ხავსი ეკიდება, სქდებან, — აი რისთვის აკეთებენ უუთებში ქვის ძეგლებს. ქვის ნამცეცები გასაფრად მგზავრებენ. მოტეხილი და ძიხს დაგორებული ქვის ნატეხი სახაფათა მგზავრებისათვის. ფერად-ფერად ჰატარა კენჭებისას აკეთებენ მშენიერ სურათებს. ქვის საჭრელ მადარეპში ბევრ საინტერესო ნივთებს შეგვხვდებით; მდინარის ნაპირზედ ბევრი რვაჯი რიუის ქვა ჰქრია. არის ქვა, რომელიც დაცურავს. ამას შეგვხვდებით სამზარეულოში. არის აკრეთვე სალესავი და წყლის სადენი ქვა. ჰატარა განსი თავის ამტანას სწერს კენჭით ქვაზედ.

მგონი საკმარისია. ეს ქვიანი ნიადაგი თურმე ძალიან ნაყოფიერი ყოფილა. ამ რიგათ გეოგრაფია გერმანიისა გადადის კულტურულ გეოგრაფიაზედ. თემებათ უნდა იყოს აღებული არა მეისენი, ზონენბერგი, ზული, ერფურტი *), არამედ სათამაშოები, იარალი, ყვავილებით ვაქ-

რობა, ქალალი, შუშა, ხე, შაქარი, ქვანახშირი, რკინა, არხი, მალაროები, ნავთსაყურები, ციხე-სიმაგრეები, გემები და სხვა. ამ მასალაში იმდენი სიცოცხლეა, იმდენი აზრი, რომ საჭიროა მხოლოდ მისი მოხმარება. გერმანიის დიდება ხომ მის კულტურაშია. თუ რას ვაღწევთ ჩვენ სურათების აღწერით, — ამის დანახვა ადვილია. აბა გადავათვალიეროთ ჩვენ საუკეთესო შეგირდის „თავისუფალი თხზულება“. აი სწერს უფროსი კლასის მოწაფე ფელეტონურის სტილით შემდეგს: „მალე ჩვენი მატარებელი გამოსცდა ქალაქს. ეკლესიის გუმბათები გვიგზავნიდნენ გამოთხოვების სალამს. მალე თვალწინ გადაგვეშალა ვეებერთელა მინდორი, რომელზედაც აქა-იქ მორცხვათ გამოიციქირებოდნენ პატარა გორაკები. ეს იყო ლუნებურგის მინდორი. ცხვრის ფარა გაშლილიყო ამ ამწვანებულ მინდორზედ და სძოვდა.

აგერ, შეხედე! იქ, იმ დიდ მუხის ქვეშ სდგას მწყემსი ქალი და წინდასა ჰქსოვს. შორს, შორს მოსჩანან გრძელი, წვეტიანი სახურავები ქვემო საქსონიის ლამაზი სოფლისა“.

ეს ხომ სიტყვების უბრალო რახა-რუხია, სიტყვებით უბრალო თამაში. ამით ჩვენ მიზანს ვერ მივალწევთ. სახელმძღვანელოების სურათებით მდიდარი და მრავალფეროვანი სტილი ვერაფერს გვიჩვენებს. ჩვენ იმათში ვკითხულობთ მხოლოდ ბევრ ადგილას აყვავებულ წარმოების ცოცხალ მოქმედებაზედ, კაობებით საესე

*) შეისენი — ხელმწიფის შესანიშნავი ფაიფურის ქარხანა მდინარე ელბას ნაპირზედ; ზონენბერგი — შესანიშნავი სათამაშოების გაკეთებით, ერფურტი — ყვავილთა წარმოებით და სხვა.

ცივ ადგილებზედ, მთებზედ, ხეებზედ და სხვა. მაგრამ უნდა გამოვტყდეთ, რომ ყველა ეს წარმოდგენები ისე დაშორებული არიან მოწაფეების ყოველ-დღიურ წარმოდგენებისაგან, რომ მათ შემეცნებას, შესწავლას შესძლებენ მხოლოდ საუკეთესო მოწაფენი, რომელნიც სცდილობენ მარტო ლამაზ სიტყვების დასწავლას გამოცდებზედ ყურადღების მისაქცევად. ამ ნისლით, ბურანით გარემოცულნი ჩვენ ფეხ-ქვეშ მაინც მაგარ ნიადაგს ვგრძნობთ; საჭიროა მხოლოდ მოვსპოთ სხვა და სხვა საგნების ერთად შესწავლა. ჩვენ ხომ ვცდილობთ, რაც შეიძლება მეტი ვასწავლოთ. სახელმძღვანელოდან კი უნდა ამოვიღოთ მხოლოდ ერთი სიტყვა, სიტყვა „კოში“. ეს სულ საკმარისია. ეს ჩვენი მასალაა. მხოლოდ მხედველობაში მივიღებ პატარა მოწაფეებს, რომ შეიძლებოდეს თავიდანვე დინჯად დაწყება. როგორ მოვიხმართ ამ მასალას?

„ვევლამ იცით რა არის კოში. მაგრამ ეს კოში სულ სხვანაირია. იგი პირდაპირ წყალში სდგას. როგორ მოხვდა იქ? ან როგორ შეუძლიან ამ კოშკს წყალში დგომა? იგი ხომ შიგ ჩავარდება. მაგრამ არა, წყლის ქვეშ ხომ მაწაა. მუდამ? დიახ, მუდამ. ხან და ხან ნიჩბითაც ჩავწვდებით; ხან კი გრძელი ჭანით, რომლის ბოლოზედ რაიმე სიმძიმეა მოხმული. ისიც მოხდება ხოლმე, რომ გრძელი ჭანის ძირამდინ არა სწვდება. უუჰ! რა ღრმას! მე კი არ მინდოდა იქ შევლო, სადაც ბევრი წყალია. იქ რომ დავიხრჩო, ხომ ვეღარ მიზოვნიან. კი, მაგრამ მეზღვარები რომ უფრო ამისთანა ადგილს ეტანებიან. იმათ არ ეშინიათ ღრმა ადგილისა. პირიქით, თხელ წყალს უფრო ერიდებიან. რათა? იმიტომ რომ აქ გემი ადვილად დაუჯახება ქვასა, გატუდება და წყლით აივსება. ან არა და ქვიშაში ჩაიფლობა და თუ ამ ღრმს ქარიშხალი ამოვარ-

და, — ღმერთმა დაიფაროს, — ტალღები გემს გადახრუნებენ და დააზიანებენ. ესაა კი გვესმის რათა სდგას შუა წყალში კოში. ის სწორედ იმისთანა ადგილას სდგას, რომ მეზღვარებმა მოუარონ გარშემო, რათა გემი ქვიშაში არ ჩაიფლოს. რა დანიშნულება აქვს ამ კოშკს? განა საკმარისი არ არის გრძელი ჭოხი? არა, ჭოხს მუდამ ვერ დაინახავ, დამით კი, მაგალითებ, სრულიად არა სჩანს. განა მეზღვარები დამეშიან და დიან? მაშა, რასაკვირველია, — განა იმათ მუდამ დამ შეუძლიანთ შინ დაბრუნება? მაშინ ხომ ისინი თავის დღეში შორს ვერ წავიდოდნენ. მაშასადამე იმათ გემზედ უნდა ეძინოთ, როცა ტალღები მათ აქეთ-იქით აქანებენ? მაშინ ხომ ისინიც იქნავებენ ლოგინში? რასაკვირველია, მაგრამ რომ არ გადმოვარდნენ სწორად წინ იუღებენ ფიცარს. — ან ჭოჭინაში წვებიან, არა, მასწავლებელ? — სრული ჭეშმარიტება! თუმცა ტალღები მათ აქეთ-იქით აქანებენ, მაგრამ ამის და მიუხედავად იმათ არხეინათ სძინავთ ჭოჭინაში. მაშ იმათ გემზედ ბევრი სასმელ-საჭმელი უნდა ჰქონდეთ. საშინაო-ლოც კი! განა არ შეიძლება დამე ერთი გემი მეორეს დაეჯახოს? ხომ ვინმე უნდა იტვირუბოდეს მუდამ გარეთ, ზღვაში. მართლა კოში კი დამე მისი დანახვა როგორ შეიძლება? შეიძლება ლიფლიფი (ფანარი) გამოდგან, ან არა და შეიძლება სწორე სახურავი გაუკეთდეს და ზედ ცეცხლი დაანთონ. ვაშა! მერე იმისი შუქი რა შორს გამოჩნდება! წვიმა რომ წამოვიდეს, სად იშოვნიან მშრალ ფიჩხს? ცხადა, იქ მუდამ ადამიანმა უნდა იცხოვროს. მთელი დამეც იქ უნდა ეძინოს? მერე ვინ აძლევს საჭმელს? იქნებ იქ ოთახია? ან იქნება მისი დედა და შვილები იქა სცხოვრობენ? უჰ, მე იქ არ მოვინდომებდი ცხოვრებას. რა იქნება რომ ქარიშხალი ამოვარდეს და კოში წააქციოს. ან ტალღები ზევითამდინ ავიდნენ, ან საშხედრო გემმა დაუშინოს კოშკს ზარბა-

ზნები. — მაინც კარგია რიჟრაჟზედ ჯამაზ გე-
შების დანახვა! რა კარგათ შეიძლება იქ თევ-
ზაობა: გადმოკადე ანკესი ზირდაზირ ფანჯრი-
დან წყალში, — მორჩა და გათავდა! იქ დიდხანს,
დიდხანს შეიძლება ძილი და არავინ დაგიშ-
ლის*.

ასე და ამ რიგათ. თუ რომ ჩვენ ბავ-
შვების თვალსაზრისზედ დავდევით, მაშინ
ხომ მის კითხვებს ვეღარ აუვალთ. აი
სწორეთ ესა ჰქმნის კლასის კარგ გუნებას;
მაშინ ყველა ბავშვი გრძობს, თუ რა
კარგია ქვეყნიერების გაცნობა და იმაზედ
საუბარი. მაგრამ ეს განსაკუთრებული მა-
სალაა. განა გეოგრაფიაში მრავალი სხვა
ამისთანავე საინტერესო მასალა არ არის?
დიდი ძებნა არ დაგვიკირდება. გადავხე-
დოთ ჩრდილოეთის ყინულის ზღვას: ნა-
შინვე შეიძლება შევნიშნოთ მარხილი,
რომელშიაც ძაღლებია შებმული, თოვ-
ლის ქოხები, თეთრი დათვები, ვეშაპები,
ესკიმოსები, ირმები, ხომალდი ყინულში
დარჩენილი და სხვა. ეს მასალა შეიძლება
მშვენიერად მოვიხმაროთ. აბა ვცადოთ.
ავილოთ თემა: „გემი ჩრდილოეთ ყინუ-
ლის ოკეანეზედ“.

ხეებს სცვივა უვითელი და წითელი ფო-
თელი, რომელნიც ბზრიალ-ტრიალით ძირს
მოდიან. კრიგალი ღრიალებს მოტიტვლებულ
მინდვრებზედ და გულ-გამაწვრილებლად სწვიმს.
ჩვენ კი ვსხედვართ თბილ ოთახში და გავი-
ყურებით ქუჩაში. ხალხი შინ მიეშურება. ად-
რე ღამდება. ცა თუმცა ჯერ წითელი ღრუბ-
ლებით არის მოჭვდილი, მაგრამ სახლებში
მაინც სანთლებს ანთებენ. მზეც თავს გვანე-
ბებს. ის ადრე ჩადის და გვიან ამოდის. აი
ზამთარიც დგება. მწვანე საშეფო ჭკნება,
კვდება, რადგანაც ბრწყინვალე მზე ისე უხვათ
ადარ უგზავნის სხივებს. რა იქნება რომ მზეს
სრულიად დაენებებინა ჩვენთვის თავი? ან არა
და მარტო შუადღისას გაეშუქებინა? ან სულ

ღამე უოფილიყო? მაშინ დედა-მამაზედ აუტა-
ნელი სიცივე დადგებოდა, ფანჯრის შუშებს
თითის სისქე უინული გაკეროდა და რაც უნ-
და თანესავით გაგვეხურებინა ფეჩი, მაინც
არ დადნებოდა. რა მოუვიდოდათ მაშინ ღარი-
ბებს, რომელთაც სახლის გათბობა არ შეუძ-
ლიანთ?

— არის დედა-მამის ზურგზედ იმისთანა
ადგილი, სადაც მზე სრულიად არ აშუქებს და
ყველაფერი წყვილიადით არის გარემოცული?

— როგორ არა. ჩვენ ადვილად მოვისაზ-
რებთ როგორ ვიპოვოთ იგი, თუ მოვიგო-
ნებთ, რომ მზე გარშემო გვიფოს. მაშ, აბა,
გავმეზავროთ იქთაგენ, საითკენაც მზეს თა-
ვის დღეში ვერა ვხედავთ ან გადავფრინდეთ
ჩიტუნებთან ერთად ზღვებზედ, ქალაქებზედ,
სოფლებზედ, მთებზედ და ბოლოს მივფრინ-
დებით დიდ ზღვასთან. აი ესეც მიზანს მი-
ვადწიეთ. ეს ის ადგილია, სადაც ნახევარ
წლის განმავლობაში განუწყვეტელი ღამაა.
მაგრამ ეს რა უცნაური ზღვაა! წყალი სრუ-
ლიად არა სჩანს და მხოლოდ უინულთა სამე-
ფოს მოუცავს ირგვლივ ყველაფერი. ზოგი-
ერთა ადგილი ისეა მოშანდაკებული, რომ მშვე-
ნივრად შეიძლება ზედ თხილამურებით სია-
რული; მაგრამ ერთბაშად წაწყდები გამოშვე-
რილ მთას, მთლად უინულისას. ოჰ, რა მშვე-
ნივრად ბრწყინავს იგი მთავრის შუქზედ. ეს
ხომ ზღაპრული კომპია, მხოლოდ ოცნებით
შექმნილი. ეს სიმშვენიერე სულსა ჭხუთავს,
ჭუინავს. აქ ყველაფერი მკვდარია. ვერც ერთ
სულდგმულს ვერ შეხვდები, ხმის გამცემი
არავინ არის. სრული სიჩუმეა! სამარისებური!
და ჩვენც ვდგევართ გაშტკრებულნი და უერს
ვუცდებთ უინულის ქვეშ მობუტბუტე წყალს;
ვიცქირებით შორს, ცის სივრცისკენ, სადაც
ბრწყინვალე ვარსკვლავები უუუუნებენ, ციმცი-
მებენ. ირგვლივ კი სიწყინარეა, სიწყინარე გულ-
შემზარავი!

მაგრამ, აბერ, ამოვარდა ქარიშხალი. გრი-

გაღი ჰგეგმავს არე-მარეს, ბობოქრობს ამ ეონულის მინდვრებზედ, თოვლის ღრუბლებში ეხვევა ბუნება და ისეთი საშინელი გუგუნის ისმის, თითქოს ზეგით, დარბეული ხაფხითა ბობო საშინელს ღრიალით, ყაყანიტ მიჰქრის შორს, შორს... საით? თვითონაც არ იცის. ამის მინახველს შიშის ზარი იტანს. იგი თრთის, კანკალებს და ყოველ წუთს დაღუბვას მოკლის. დაღუბება კიდევ, რადგანაც გრიგალმა შესძრა ეინულთა სამეფო, ეინული სკდება, იტეხება, მთები საშინელის გრიალით ძიკს ეცემონ, უზარ-მაზარი ეინულები გაშმაგებულნი დასცურავენ აქეთ-იქით... სად წახვიდე? სად შეათარო თავი ამ ჯოჯოხეთში. უცებ შევნიშნეთ გემი ამ დაუსრულებელ ეონულის ზღვაში. ნამდვილი გემი ადამიანების მიერ გაკეთებული იაღქნებით, საკვამლეებით; იგი კაიუნა ეინულის მთების შუა და ადგილიდან ვეღარ დაძრულა. ის, უეტველია, მაშინ შევიდა ეინულში, როცა მათ შუა წყალი სჩანდა; შემდეგ წყალი კაიუნა და გემი დატევევებული იქმნა. ჩვენ ვხედავთ, რომ საკვამლედან ბოლი ამოდის: იაღქნათა შორის მისჩანს ქარის წისკვილი, რომელიც ქარისაგან ტრიალებს,—სჩანს იქ ხაფხია! ხაფხი ამ ეონულის უდაბნოში, ამ დაუსრულებელ, განუწყვეტელ ღამეში, ამ შემზარავ სიდივეში!

ჩვენ მივეშურებით გემისკენ. ავდივართ ხის ჰატარა კიბეზედ. უჰ! 20, 30 გარეული ძაღლი ყეფით გვინვდება, მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ ისინი გალიაში არიან დამწყვდეულნი. ჩვენ ვაღებთ რადენსამე კარებს და შევდივართ თბილ ოთახში, იქ ვხედავთ ადამიანებს, რომლებიც სტდილობენ მამაცათ გადაიტანონ ეს საშინელი ზამთრის ღამე. მამაც სახეებზედ სრულიად არ ეტყობათ, რომ ყოველ წუთს სიკვდილს ელიან. ისინი აქ სრულიად დამშვიდებული სტხოვრობენ და გამუდმებულ მუშაობაში ატარებენ თავიანთ ტყვეობას.

მაგრამ რა საქმე უნდა ჰქონდეთ ამ ეინულ-

თა უდაბნოში? ისინი ნადირობენ თეთრ ღათგებზედ, ვარჯიშობენ თხილამურებით სირბილში და სხვა. კიდევ ბევრი ათას ნაირი საქმე აქვთ. მეტადრე როდესაც იმათ გემს ეინული საგან გაჭყლეტა მოკლის; მაშინ ისინი საჩქაროდ ამენ ძაღლებს მარხილში, თან მიაქვთ სანოვაგე და მისროლიებენ ამ ეინულის ზღვაზედ. როგორ არ გაიჭყელიტება გემი, როცა უზარმაზარი ეინულები ეჯახებიან ერთმანეთს იმისთანა ძალით, რომ სქელი ტივის ხეებიც კი იმტვრევიან, როგორც ნაფოტები. ჯერ ისეუ თავიანთ სამშობლოში ყოფნის დროს ამ ორი წლის წინათ გრძნობდნენ ეს მამაცი შეზღვაურები, თუ რა განსაცდელი მოკლით მათ ჩრდილოეთის ზღვაზედ. სწორეთ ამიტომ გააკეთეს თავიანთ გემი მკვიდრი, მაგარი, ოპირი კედლებით და რკვალის, როგორც კაკლის ნაჭურჭი. თუ ეინულის მთები მოინდომებდნენ მის გაჭყლეტას, იგი არ დანებდებოდა, გაუსხლტებოდა ხელიდან, ავიდოდა მაღლა და თავს უშველიდა. მართლაც ესე მოხდა. ერთ ბნელ-უკუნათ ღამეში გაისმა გულ-შემზარავი გრგვინვა. ერთბაშად ეინული გასკდა და გამოჩნდა შავი წყალი; ეინულები ერთმანეთს აწვებოდნენ, უზარ-მაზარი ტალღა გაიმართა წელში და საშინელის გრიალით გადმოკუშო გემზედ. გემი კვნესოდა, იკრინებოდა, თავხეები ჭრიალებდნენ, იდგა ისეთი საშინელი კვნესა და ღრიალი, თითქოს ქვეყნიერების უბედურებას და სიმწარეს აქ მოყურთ თავიო. გემზედ მტხოვრებნი დაფაცურდნენ, მოემზადნენ: გადაიტანეს მაგარ ეინულზედ თავიანთი ტყავულობა, ნაგები, ძაღლები და განცვიფრებულნი ყურს უგდებდნენ ბუნების საშინელ დრტვინვას; ელოდნენ გაუძლებს გემი ამ ბრძოლას თუ დაიმსხვრევა. მართლაც ძიკს დახრილნი იაღქნები წელში გასწოვდნენ და ეს ჰირდაპირი დამამტკიცებელი იყო იმისი, რომ გემი ქვევიდგან განთავისუფლდა ეინულისაგან და თავს უშველია. რამდენ სიხს-

რულს განიცდიდნენ მეზღვაურნი, როცა კვლავ შეეძლოთ თავიანთ ერთგულ გემზედ ასვლა! ახლა იმათ აღარ ეშინიანთ, რადგანაც ამხედ დიდი გაჭირვება მოსალოდნელი არ არის, მხოლოდ ელოდებოდნენ იმ დროს, როდის განთავისუფლდებოდნენ ამ ტყვეობიდან.

ზაფხულიც დადგა ამ ყინულის უდაბნოში. მზე თითქოს სცდილობდა დაეჯივლა დაეხმებინა შრავალ-ტანჯუნელი მეზღვაურნი და განუწვევებოდა დადიოდა ცაზედ, შუაღამისაგან. თუმცა მზის სითბო იმდენად მხურვალე არ იყო, მაგრამ მაინც გემზედ და იაღქმებზედ დაკიდებულნი ღოღოები ცრემლათ იჭვნენ; ყინული დაიშრება, მხიარული გიჟივით სიო მიაქანებდა იმათ და იმათთან ერთად გემსაც. მისრიალებდა გემი ყინულთა შუა, რომელნიც გზას აძლევენ მას, გაიარა ყინულის მთები, ყინულის მინდვრები და, ერთ მშვენიერ დღეს პატარა ყინულებმა დაიწვეს ცეკვა ტალღებზედ; ეს ლურჯმა მოკამკამე ოკეანემ გადმოსტორონა საშველად ყინულის ზღვაში. მაშინ-კი თავისუფლად ამოისუნთქეს მეზღვაურებმა, გაშალეს იაღქმები და გაემურნენ ძვირფას საშობლესკენ. საყვარელ ქვეყანაში უვლათური ძველებურად დაუხვდათ: მხურვალე მზე აღმოსით დასცქეროდა ლურჯ ზღვას, ათასი ბაი-რადი ფრთალებდა ჭკერში, მთიდგან ზარბაზნები გრგვინავდნენ და უფლოცავდნენ მამაც მეზღვაურებს დაბრუნებას.

ავიღოთ ეხლა ერთი მაგალითი ფიზიკიდან უფროს კლასისათვის. თემა შემდეგია: „როგორ ინგრევიან ყველა ჩვენი ლამაზი ქუჩები. ნამდვილი შემთხვევა“.

ჩემი ოთახის ფანჯრები უერთმდინ დიანა. ქუჩიდან ჟრიალული ისმის: ბავშვები უვირიან, ცხენები ფეხებს ათქაფუნებენ, კვლეისის ზარებს რეკავენ, ხალხი მიდი-მოდის, იქ ვიღამაც კარები მიაჯახუნა, აქ დედა-მიწაზედ ტვირთი დაეცა—უვლათ ეს სიცოცხლე. აი სწორეთ ამისთანა ქუჩაზედ მიდის ოთხ გორგოლაჭი-

ნი ურემი საშინელის ხმაურით. მის გორგოლაჭების ჭრიალს უერთა სმენა მიაჭვს, კედლები ზანზარებენ. რა შეუძლიანთ მიაშობ ამ ჭრიალს გორგოლაჭებმა? ურემი ჭრიალებენ, რადგანაც იმით გორგოლაჭები წამ და უწუმ დაბრკოლებებს აწულებიან. თუ ქუჩა სწორკუა ხმაურება არ ისმის, ამიტომაც ჩუმათ დადიან ეტლები ახლად მოკირწყლულ ქუჩაზედ. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ზოგიერთა ქვა ძირს იწვეს, ზოგი არა, ალბათ იმიტომ რომ იმათ ქვეშ ქვიშა უფრო მეტად არის დაურლიო. როდესაც ეტლების მიმოსვლა დაიწყო, ზოგიერთა ქვამ დაიწია, ქვიშაში ჩაიფლო, ზოგი კი სწორედ სდგას, შეუძნრევლად. რა ხდება მაშინ, როცა ერთი ქვა ძირს იწვეს? გაქანებული გორგოლაჭი ჩაქანდება შიგ მადლა მდებარე ქვიდან, უფრო დრმად ჩაურჭობს მას მიწაში და შეჩერდება სამი მილლიმეტრით ამაღლებულ ქვასთან. აი ამ დაქანებულ კედლებზედ უნდა აცოცდეს გორგოლაჭი. განა ეს შესაძლებელია, თუ ცხენები ზირდაზირ ეწვეიან? ცხენებს რომ თავიანთი ტვირთი მიჭჭონდეთ მოურგვალეებელ ფერსობიან ბრტყელ მარხილით, მაშინ ან ფერსობი მთებებოდნენ მადლა ქვას და შეჩერდებოდნენ ან არა და ქვა ამოვარდებოდა ქვათენილიდგან. ურემი უფრო ადვილად მოუვლის ამ დაბრკოლებას, ვიდრე მოუხეშავი მარხილი. მაგრამ კითხვაა, თუ რა რიგით ხდება ეს?

დაბრკოლება რომ გორგოლაჭის ნახევრის რაოდენობას უდრიდეს, მაშინ ურემი გაჩერდებოდა ისევე, როგორც მარხილი, რადგანაც ღერძმა უნდა გაიაროს თანდათულ წერტილზედ: მაგრამ ეს არ მოხდება, იმიტომ რომ ისინი ერთი ზომისანი არიან. რასაკვირველია, ეს მოხდება მაშინ, თუ ურემს მარტო ორი გორგოლაჭი ექნებოდა და ცხენი მას მადლა ასწევდა. აბა შეხედეთ მუშას, რომელიც სცდილობს ქვათენილზე გამოიყვანოს ხელის ორ

გორგოლაჭიანი ურემი ასაშენებელ მასლით. ქუჩის ბიჭებმა სდღაც გადამაღეს დაქანებული ფინარი, რომელზედაც იმას მარდად აჭქანდა ზუგით თავისი ურემი, — ესლა კი რამდენიც უნდა ეჯავჯუროს, ადგილიდგან ვერ დასძრავს. მაგრამ იმან იცის როგორ უშველას თავის თავს: ის მიატრიალებს ურემს და ებმის შიგ; ესლა იგი ზირდაზირ მადლა ეწევა და გორგოლაჭებიც შირბიან დაქანებულ ქვაზედ. მაგრამ თუ ცოტა მაინც არ გაქანდა, მუშა ვერაფერს გააკეთებს. როგორც ჩვენ ნელ-ნელა ვეწევით ხელის ჰატარა ურემს ქვაფენილზედ ასაფანათ, მაშინ სწორეთ იმ წუთს, როცა გორგოლაჭები მიცოცხვენ დაქანებულზედ; ჩვენ მთელ ძალ-ღონეს ვიკრეფთ. ვცდილობთ ურემი ზუგით ავიტანათ, ამიტომ ისევ მალე ვჩერდებით ქვაფენილთან და ვედარაფერს ვაწეობთ. უნდა ძალიან გაუქანდეთ, რომ ურემს გადავცემთ ძალა; მხოლოდ ამ შემთხვევაში მიგორდება ურემი ქვა-ფენილის ნაპირთან, შესტება მადლა და როდესაც ასცილდება ნაპირს, მაშინ ჩვენ კვლავ ვაწევთ და ურემი სწრაფათ ასტება ქვაფენილზე. ამ დაჯახებისას ნაპირა ქვას ასცივია რამდენიმე ჰატარა ნატეხი. თუ ეს რამდენჯერმე განმეორდა, მაშინ ქვაფენილი ისეთივე დაქანებული გახდება, როგორც ხელაფურად გაკეთებული ალაფათის კარებში შესასვლელი ქვა. უფრო ადვილად ავალთ ტროტუარზედ თუ ურემს მადალი გორგოლაჭები ექნება, რადგანაც მადალი გორგოლაჭები უფრო მალე წამოვლენ, ვიდრე დაბლეთი, ესევე ხდება, როცა ეტლების გორგოლაჭები გადაუვლიან ქუჩის ქვა-ფენილის ჰატარა დაბრკოლებებს. ცხენები ჩვეულებრივის ნაბიჯით მიდიან და მხოლოდ ეტლის სრიალზედ გვესმის, რომ გორგოლაჭებს გზაში დაბრკოლებანი დახვდათ. წამლები (ცხოველით თუ ადამიანი) უფრო მალე ედლება ოდრო-ხოდრო ქვაფენილზედ, ვიდრე სწორზედ; უოველი მოძრაობა, მისვლა-მოსვლა განმანადგუ-

რებლად მოქმედობს ქვა-ფენილზედ. აქედან ცხადია, რომ ეტლები, ურემები ჯერ დაანათლებენ ქვა-ფენილს, ქვები დაინძრევიან, გვერდზედ იდრიცებიან და ბოლოს სულ ამოვარდებიან დედა-მიწიდან. ამით ქუჩა ირდევია, ფუჭდება, რასაც ხელს უწეობენ ეტლების და ურემების გორგოლაჭები. გორგოლაჭები, — ეს იარაღია შემაერთებელ გზების დარღვევისა. რამდენსაც მეტს იტანჯებიან გორგოლაჭები ოდრო-ხოდრო ქუჩისაგან, იმდენად მეტს მუშაობენ ისინი იმის დანგრევაზედ. ბოლოს ქვები ქვიშაში და ტალახში ითვლობა, იკარგება და ქუჩა თავის წინანდელ სახეს ებუღობს. სამწუხარო სურათია: ერთმანეთში არეული ქვიშა და ქვა; ისევ წახვალ სდამე ეტლით თუ თან მეხუთე გორგოლაჭი არ წაიდე, როგორც შუა სუკუნეში სხადიოდნენ.

მაშასადამე, ის ხმაურობა და გრიალი, რომელიც ქუჩიდან ისმის, — ეს ქუჩის ჩივილია მის განუწევებელ დანგრევაზედ. მაგრამ ხალხი დარაჯათ სდგას. ერთ მშენებელ დღეს სხვა და სხვა იარაღებით და მასალებით მოდიან მუშები და მაშინ ქუჩიდან გაისმის სულ სხვა სიმღერა, — სიმღერა განახლების!

მგონი რომ ეს მაგალითები საკმარისია. ყველა ეს ნათლად გვიჩვენებს, რომ ყოველ ნაბიჯზედ მასწავლებელს შეუძლიან იპოვოს სახელმძღვანელოს ტექსტში იმისთანა ადგილები, რომლების შემუშავებაც მართლაც რომ ღირს და საჭიროა. მაგრამ მე უფრო მეტს ვიტყვი: რომელი ადგილიც გინდათ აიღოთ სახელმძღვანელოში, ყველგან შეიძლება მოვნახოთ მშრალი სახელების მაგიერ, ცხოვრების მთელი ცოცხალი სურათი.

ამიტომ შორს ჩვენგან ეს საზეპირო მშრალი სახელმძღვანელოები, რომლებიც ცხოვრების ამისთანა სურათის შექმნისათვის არაფერს იძლევიან. ჩვენ უნდა მოვიძებნოთ სასაუბრო თემები სამეცნიერო

წიგნებში, რადგანაც ისინი გვიღვიძებენ ჩვენ აზრს, იწვევენ ჩვენში მხნეობას, გვაძლევენ მდიდარ მასალას და გვიჩვენებენ ნაყოფიერ მეთოდს. ჩვენ მოვალენი ვართ გზა გაუკვალოთ მოზარდ თაობას მეცნიერულ და ბრძნულ წიგნებისაკენ. ქრისტიანობის ფარგლები დიდი ხანია დავიწროვდნენ, იმის ადგილი სკოლის ბიბლიოთეკამ უნდა დაიკიროს; ჩვენ უფრო მხნედ უნდა შეუდგეთ ახალგაზრდობის ლიტერატურულ აღზრდას; წიგნი უნდა წინ გვიძღოდეს საგნებრივ სწავლებაში. თუ რომ ჩვენ შევძლებთ მუდამ დიდ კითხვების სფეროში ტრიალს, თუ რომ ჩვენ გაგვახარებს სიმდიდრე და სიმშვენიერე ქვეყნისა, რომელიც ჩვენ ჩვეულებრივ ცხოვრების უკან გადაჭიმულა, დაგვიანტერესებს ყველა ის, რაც გამოიგონეს, აღმოაჩინეს, შექმნეს დიდებულმა ადამიანებმა, მაშინ ყმაწვილი თაობაც შეფრთხილდება, გაისწორებს ნორჩ ფრთებს და თავის ძალ-ღონეს გააორკეცებს; და მაშინ მეცნიერების სული მათ პატარა საქმეებს გააკეთილშობილებს. რასაკვირველია, ჩვენ ვერ მოვთხოვთ მოწაფეებს ნაყოფიერ მუშაობას მეცნიერულის მხრივ. ამას ვერც კი აუხსნით მათ. ჩვენ, პირიქით, უნდა განვაგრძოთ თავისუფალ თხზულებებით თამაში, უნდა მივცეთ მათ თავისუფლება არჩევისა—გამოიგონონ თუ გინდ შემთხვევა, ან გამოიგონონ თავ-გადასავალი და სხვა და, მოსალოდნელია, რომ იმათი აზროვნება კვლავ დაუბრუნდება ნასწავლ მასალას, თუ ამ უკანასკნელმა მთლად დაიპყრო მათი აზრი და გრძნობა. იმის გამოსარკვევად, თუ როგორ მოხდება ეს მოვიყვან შემდეგ პატარა მაგალითებს. ავირჩევ ნაკლებ მნიშვნელოვან სიტყვებს წასაკითხ წიგნის რომელიმე ადგილიდან. გადავშლი „Aller neu macht der Mai“

(მაისი ყველაფერს აახლებს) და ვბოლოობ ამ პატარა ლექსში სამ თემას: „ახალი“, „ბწყინვა“ და „დახვევა“.

მოწაფეები, მიჩვეულნი რამდენსამე წლის განმავლობაში საფუძვლიან და კონკრეტულ აზროვნებას, შემდეგნაირად იმსჯელებენ:

„ახალი“. როცა ვინმე რასმე ახალს გვიამბობს, ყველანი ურს უგდებენ. მომეტებულს ახალ ამბებს გაზეთში ბეჭდვენ. რაც ქვეყნიერებაზედ მოხდება, იმას ფიცხლავ აცნობებენ გაზეთს. წერილით, ან ტელეგრაფით, ან ტელეფონით. მთელი ქვეყანა ხომ ერთი ქალაქია. მუდამ ესე იყო? ოჰ, არა! წინათ ხომ გაზეთები სრულიად არ იყო, მაშინ ხალხი ტუეში, დრეში ან პატარა ტბის ნაპირებთან სცხოვრობდა; ერთი დღე შეიკრეს წაგავდა: მხოლოდ ერთ დღეს წვიმა მოდიოდა, შეიკრე დღეს მზე ბრწყინავდა. ერთხელ ერთ ხეობაში მივიდა მგზავრი. ეტუობდა შორიდან მოდიოდა, რადგანაც ფესსაცმელი სრულიად დაკლეჯოდა; მხოლოდ ქელში ფრთა ჭჭონდა კარჭობილი, რომლისთანა ჩვენ მხარეში სრულიად არ მოიძებნებოდა. ცხადია, ეს კაცი შორიდან მოდიოდა. გლეხი დააკვირდა იმის სახეს, რომ გაეგო მტურია თუ მოყვარე და მიიპატიჟა ქონში ცეცხლთან, დააღვივნა რძე ჰურით და მოასვენა თივის საწოლზედ. სამაგეროთ უცხოს უნდა ეამბო თავის საშობოლოზედ—როგორ სცხოვრობენ იქ, როგორ იცოძენ და მეკე ის, რაც გზაში ნახა,—იქნებ ქარიშხალმა მოასწრო, იქნებ ყაჩაღები დახვდნენ, ან იქნებ ომში მოხვდა. ოჰ, რა საინტერესო იყო იმისი მოსმენა! მეკე რა შეუქმნეულად კარბოდა დრო, სწორედ ისე, როცა ჩვენ ვკითხულობთ ახალ ამბებს! ამისთანა უცხო ადამიანი ხომ გაზეთია, ცოცხალი გაზეთი! ყველაზედ უძველესი გაზეთი,—ეს გამჟღავნებელი მგზავრები იუვნენ.

„ბრწინვა“. ეს სიტყვა კარგ სიტყვებს ეკუთვნის, რადგანაც ვგელა ის რაც ბრწინავს, თვალს ახარებს, ატკობს, მაგალითებ მბრწინავს ავეჯი, ტანისამოსი, გაკრიალებული ფეხსაცმელი და სხვა და სხვა მორთულობა. ამიტომ სწიმენდენ და აკრიალებენ იატაკს, ფანჯრებს და სურათების შუშებს; აგრეთვე ამიტომ რთავენ შობის ხეს ბჭევრიალა ნივთებით: ამ ნივთებში ღამაზათ გამოსჭვივის შუქი. შუქი მხოლოდ თინათინებაა: შობის ხის ბურთები, ვაშლები, ვარსკვლავები და სხვები ხომ თვითონ არ აშუქებენ: იმათში მხოლოდ თინათინობს სანთლების შუქი. რცა შობის ხის სანთლები ქჭრებიან, მაშინ ბჭევრიალა ნივთებში მხოლოდ ღამიფის შუქიღა გამოსჭვივის და თუ ამასაც ჩაქრობ, მაშინ ვგელა ეს ნივთები ისეთივე შავები გახდებიან, რცეორც სხვები. წყალსაც შეუძლიან ბრწინვა. აგერ ბაღში ამართულა ვაშლის ხე, მისი ფოთლები ზოგიერთა ადგილას ბრწინავენ რცეორც მარგალიტები, რადგანაც ღამით წვიმა იყო. დახ, წყალიც ბრწინავს! რა ღამაზია წყალი, რცა ცელქი სიო შეათამაშებს მის ზირზედ ჰატარა ზვიართებს, რამლებიც ჩუმის ბურთბურთით ერთმანეთს ეჯახებიან; აგერ წამოფიდნენ ზვიართები, მაგრამ უცებ გაჭჭრენ, დაიმაღნენ, მაგრა ჩაეკრნენ გულში თავიანთ დედას. რადესაც ირგვლივ სრული სიწინარეა, რადესაც არც ერთი ფოთოლი არ ირხევა ხეზედ, ღამაზია მაშინ წყალი, მისი ჭამკამა გული ვერაფერს მაღავს, ვგელაფერი შიგა სჩანს, ვით სარკეში.

„დახვევა“. ზემოთ ასატან სიმძიმეებს მობამენ მორგვზედ: დახვევენ ჭანანს დიდ ბოჩკას, შემდეგ ხალხი დადგება ჭანანის მორგვთან და ეწვიან; ბოჩკაც ნელ-ნელა აღის ზევით, არ გადმოვარდება, რადგანაც ჭანანი ისე მაგრათ აქვს დახვეული, რამ შიგთითსაც ვერ შეჭეოთ. აი ბოჩკა კიდევ აცილდა დეღამიწას იმდენად, რამ ქვეშ გაძრომა

შეიძლება. მაგრამ ეს თავის დღეში არ უნდა ჩავიდინოთ, რადგანაც მისალოდნელია ჭანანი გაწედეს. აგერ ბოჩკა დაეჯახა სახლის სახურავს, შეინძრა და რამდენჯერმე თავის გარშემო შემოტრიალდა. ზემოთ მდგომი ხალხი კი ეწვეა ჭანანს რაც ძალი და ღონე აქვს. კიდევ დასცხათ. შუბლზე კუკურ-კუკურმა ოფელმა დაასხა. „შესდექ!“ გაისმის ზევიდან ვიღაცის ხმა. მუშაობა შესწევითეს, მხოლოდ მუშებს მაგრა უჭირავთ ჭანანი. თუ ჭანანი ხელიდან გაუშვეს, იგი გასაოცარის სისწრაფით დაეშვება ძირს და ხელებს დაუწამს მათ. ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთი ხსნაღა: რჩინის მაგარი ლურსმანი მორგვზედ, რამელზედაც მოსდებენ ჭანანს. ერთბაშად გაისმის ზემოდან რადცა ხმა და ვგელანი ხელებს უშვებენ ჭანანს, ბოჩკა ოდნავ ძირს იწევს და შემდეგ რამდენიმე მაგარი ხელი მას ადგილზედ სდებს. ეხლა ბოჩკა უკვე მზად არის. ერთი წუთად და ვგელანი გრძობენ, რამ ჭანანი თავისუფალია. საქმე გათავებულა და ხალხს შეუძლიან მეორე ბოჩკის ატანამდინ ცოტა შეისვენონ, ილამაკონ თავიანთ ჭირ-ვარამზედ *).

ამ რიგათ როგორც ჩვენთვის, ისე ბავშვებისათვის მასალა უბოლოოდ ფართოდდება, თუ რომ მას დაუკავშირებთ ბავშვების განცდებს. ამ შემთხვევაში, ჩვენდა უნებურად, რეალურ საგნების რეფორმა ვითარდება მთელ სკოლის რეფორმამდინ. ამიტომ თუ მივიღებთ მხედველობაში ტრა-

*) ჭანსბურკი მასწავლებლობს ბრესენში და მოყვანილი მაგალითები ადებულა ზღვის ზირას მდებარე ქალაქის ბავშვების გარემო ცხოვრებიდან. ჭანსბურკი აღნიშნავს, რამ მაგალითები უნდა ავიდოთ ბავშვის მახლობელ ცხოვრებიდან, რასაც ისინი უოკელ დღე ხელავენ, ამიტომ სოფლის სკოლისთვის საჭირის სულ სხვა მაგალითები, ვიდრე ქალაქის სკოლისათვის.

დიციონული მასალის სიმრავლეს და მათს დღევანდელს შემუშავებას, მაშინ ჩვენ უარი უნდა ვსთქვათ ყოველგვარ ტენიკურსა და პროფესიონალურ სწავლაზედ. მაშინ მოსპობილ უნდა იქმნას გამომეტყველებით კითხვა, წერა—როგორც სუფთა წერა, რადგანაც ეს სრულიად უაზროა. და თუ ჩვენ ამ ფორმალურს უკავშირებთ საგნებს, მაშინ ცხადია, რომ სწავლება აზროვანია, სწორე. მაშინ სკოლაში მოასწრობენ უფრო მეტს არა მარტო რეალურ საგნების კურსიდან, — რაც თავის თავად ცხადია, არამედ ფორმალურ ცოდნათა დარგიდან, რაც საკმარისად არ არის გამოკვეთილი.

რა გვიშლის სკოლის რეფორმის განხორციელებას ამ მხრივ? ჩვენ გვაკლია მაჩვენებელი წყაროები და ნიმუშები! გვაკლია სემინარიები მეცნიერების პოპულარიზაციისათვის და მის შეფარდებისათვის ბავშვის ფსიხიკასთან! განა უმთავრესი და საუკეთესო დანიშნულება სულიერ წინამძღოლებისა ის არ არის, რომ გაათავონ მეცნიერება, შეიტანონ ხალხში თავისუფალი აზრი? ისიც უნდა კარგათ გვახსოვდეს, რომ მეცნიერების მზა-მზარეულ შედეგების გადაცემა საკმარისი არ არის. ჩვენ ამაში ღრმად დავრწმუნდით მწარე გამოცდილების შემდეგ.

როგორც მოზრდილებისთვის, ისე ბავშვებისათვის საჭიროა: 1) ავილოთ მასალა, რომელიც მათთვის საინტერესო და მრავალმნიშვნელოვანია; 2) პრობლემები უბრალო ფორმებამდინ მივიყვანოთ; 3) შეუფარდოთ სასწავლო მასალა ყოველ დღიურ ცხოვრებას; 4) გავიაროთ მხოლოდ იმისთანა საგნები, რომლებიც თავიანთ თავზედ თვითონვე დალადებენ და 5) ერთი იდევით ან ერთი მოქმედებით გავაერთიანოთ გადმოცემა.

ამასთანავე უეჭველია ვკითხავთ, რომელმა პოეტებმა და მეცნიერებმა შეჰქმნეს ამ დარგში რაიმე სამაგალითო? რა გზით მიდიოდნენ ისინი? შესაძლებელია მათი მეთოდების მოხმარება სხვა საგნებთან?

აშკარაა, რეალურ საგნებზედ კითხვა ბუნებრივად გადადის ფორმალურ საგნების კითხვაზედ. მეცნიერება და ხელოვნება უნდა შეერთდნენ, დაკავშირდნენ; როცა ვმსჯელობთ სწავლების შინაარსზედ, მხედველობაში უნდა გვქონდეს **გადაცემის ფორმაც**. მხოლოდ მაშინ მოვიპოვებთ მეტ ნაყოფიერობას, მხოლოდ მაშინ მივალწევთ მიზანს.

კატო ბაქ—ძე.

„Русская школа“ 1914 г. № 2.



ლეგერდის განმარტება*)

6. დალიბაში.

ოსმალური სიტყვაა ნიშნავს დალიბების უფროსს ანუ ასისტავს. დალიბების ცხენოსანი ჯარი შესდგებოდა თავზე ხეჯადებულ, სისიკვდილოთ თავგანწირულ გულად ვაჟკაცებისგან. ეს ჯარი იკრიბებოდა უფრო აღბანელთა და ბოსნიელთაგან. დალიბები სხვა ჯარისგან განსხვავდებოდნენ მძაღლ წოწლოტინა წითელ მუდიან ფაფახებით; ცხენი ჭევიანდათ სუკეთესი და შეიარაღებულნი იუვნენ მაშინდელ დროის შესაფერად: შუბი, ნაჯახი, ხმალი, დამბახა, ოსმალური იათადი და სხვ. დალიბები მსახურებდნენ დიდ ვეზირის და აგრეთვე ფაშების კარზე—მათ მცველად და კარას დარაჯად. შეტადრე დიდ ვეზირს მთელი ასეული დალიბთა ამაღა ახლდა, როცა კი ეს დიდებული ეტლით საითმე გაემგზავრებოდა.

ომის დროს მხოლოდ მაშინ მიუსიებდნენ მტერს, როდესაც ბრძოლა წაგებულად მიანდათ. ამ დროს დალიბები გაჭენებულ ცხენებით დასცემდნენ ხოლმე გოჭურ კიჟინას და გაათურებულნი შეუტევდნენ მტერს. ხმალი და ხმალი ცხენ და ცხენ, გულ და გულ შეიჭრებოდნენ მტრის რაზმში და უველას სჩხედნენ ხმლით მარჯვნივ და მარცხნივ, არ ერიდებოდნენ აშკარა სიკვდილს, არც თოფს და არც შარბახანს. ეს წინდაუხედავი, ადრაცებული იერში გაიტაცებდა ხოლმე დანარჩენ ჯარსაც, ჯანჯარსაც კი მამაცად ხდიდა. ენგლიჩართა მაგალითით წაქეზებული, დადლილი თავგანწირული ეკვეთებოდნენ მტერს და ამ გვარი

*) იხ. „განათლება“ № 5 ლეგენდა „სამშობლოს სიყვარული“.

უცნარი ადფრთფანებით წასატეხელი ომი კვლავ გამარჯვებით თავდებოდა. ეს ხერხი ბრძოლისა იმ დროს იმარჯვებდა, მაგრამ ახლა კი სამხედრო ისტორიას ჩაჭბარდა. რუს-იაპონიის დროს ღენერალ ორბელიანის მეთაურობით 2000 დაღესტნელი ცხენოსანი ჯარი გაისტუმრეს იაპონელთა წინააღმდეგ, რომელთაც უნდა დალიბების როლი ეთამაშათ ბრძოლის ასპარეზზე, მაგრამ მანჯურებიდან ოციოდე კაციდა დაბრუნდა მოწამე თავანთ უბედურობისა: „ჩვენ არც ბრძოლა გვინახავს და არც იაპონელები, ცეცხლი ციდან ცვიოვდა და ცხვრებივით ვიჟლიტებოდით“. ესლანდელ განგითარებულ საბრძოლველ ოარადის და ტაქტიკის წყალობით ხელ-ჩართული ბრძოლა და ხმალი და ხმალი ცხენოსანთა იერიში იშვიათიდა არის.

ხოლო რა როლს თამაშობდნენ დელიბაშები მესხეთისა და ჯავახეთში, ამას გაიკებთ ზედათმოგველის ნამბობიდან:

„ჩვენ ზედა თმოგველები *) უწინ თათრობის დროს, მთელი სოფელი დელიბაშებს ვემსახურებოდით. რო ვეღარ გაუძლით, აუღეჭით და ნახევარი სოფელი მეღეჭიძეები ბაღანთაში გადავსახლდით ჯავახეთში. გვიკვებდნენ, ბატონო, რძალი არ შეგვარჩინეს ჯამა-

*) სარგის თმოგველის ციხე-ქალაქის თმოგვის ზემოდ მდებარეობს სოფ. ზედა თმოგვი. არსებობა ამ სოფლისა ბარე ათასი წელი უნდა იგულისხმებოდეს და აი რა საბუთით: სოფ. ზედა თმოგვიში აშენებულია მე-X საუკუნეში ეკლესია შემდგომის ზედწარწერით: „ქრისტე იესო, მეუფეო დიდებისაო აღიდგე ბაგრატ და მარიამ დედოფალი (ეს წარწერა კი იხსენიებს მეფე ბაგრატ მეოთხეს მ. ბროსსე).

ზი და ქალი. რა მოვიდოდნენ, ცხენს ბოძზე მადლად აუკრავდნენ თავს. აბა ჩქარა ფული მოიტათ, ცხენს აუხსენით ჰირომ. ავასრულეთ. ახლა რაღა დაბძინდებოდნენ ხალ მუთაქსზე: აბა ზური გვჭამეთ, უავაც მოიტათ. სახლის უფროსი კაცი ეახლებოდა. „შენ ჩემო ძმაო, ბრძენო კაცო, აბა რა შენი საქმეა ხელზე მოსამსახურება, სახლში ქალი აღარა გუავთ, რომ ქალაჩუნობას ეწევი“. ავასრულეთ. უავა მიაერთვა დედაბერმა. „გაი შენ ჩემო თავო, ქალი დაბერებულხარ და კიდევ ხელზე სამსახურს კისრულაბ. აბა რათ ირჯები დედი, შენ წადი მძიმეთ ტახტზე დაბძინდი და უბძინე შენს რძლებს... მაგრამ დედაშვილბობას მახინჯი არავინ შემოგზავნა“. —ვისაც აკულებდნენ ღამაზ ქალსა და რძალს მთელს სახლს, მთელ სოფელს გასჩრკდნენ მათ საზოგუნელად. დიასახლისი ეუთცება, რომ ამა და ამ სოფელში წავიდა ბებიასთან ან ძაღუსთანაო... ნამდვილად კი დამალული იყვნენ ხოლმე ზურის ორმოკბში, ქვევრებში და კლდე-ღრეში. მაინც არ მოასვენებდნენ. „მამ კარგი, თუ სახლში არავინ გუავთ, განა მეზობლის ქალები ვერ მოკვებმარებთან. დიად შენ ჩემო დედა უფლებსა გაქვს მოსვენებისა, დეე ახალგაზდები გაიასრჯონ...“

როცა დავაძლობდით ცხენებსაც და კაცებსაც, —რას ბრძანებ, ბატონო, ზოგჯერ მთელი სოფელი ვერ ასდიოდა ამათ დაძლობას, იმდენი კაცი და ცხენი ეგზეკუციასაებ გვედგასოფელში.—ახლა რა დაძლებოდნენ: აბა დიშქირასი ვერ, ბიჩალ-ქირასი ვერ“ ესე იგი გვამუნათებდნენ კიდევ კბილის ქირა მოკვეცით, რომ თქვენი ზური ვჭამეთო, დანის ქირაც მოკვეცით რომ კბილზედ მეტად დანას ჰირი მოუცვდაო. ახლა ღოგინი ბრძანეთ თუ ფარჩისა არ, იყო გამოკვირდნენ და ვაი მაშინ მასხინძლის ბრადი.

ზედა თმოგვიდან ერთს მიქელაძეს ღამაზი ქალი მოსტაცეს დაღობაშებმა და უარსის

ფაშას მიაერთვეს დიდი ბაიარმის ფეშქაშად. ერთხელ კიდევ გასათხროვად გამზადებულყო გოგო დადეშინანც მოიტაცეს. ერთი ჭიღელი ქალიც საბედო რუსობას მოიტაცეს და უარსში უკრეს თავი—ფაშა ინახავდა ჭარკმინახში. მერე და რუსის კონსულმა მარქაროვმა, მარტოროს აღამ, გამოიხსნა. ქალი რომ აქ სამშობლოში მოვიდა, საბაჟოს მოსამსახურე ნემცემა სალდათმა შეირთო—მაშინ საბაჟო აქ იყო ჯავახეთში უარზახის ტბის ჰირად. ელი-საბუდა დაქვრივდა და ახლა ი ქრმის ამხანაგმა რუსმა სალდათმა შეირთო. რას ბრძანებ, ბატონო, განა თუ აღამიანური ცხოვრება გქვინდა!? ჩვენ ვიყავით უმწვესო, უპატრონო ცხოვრის ფარა, ვისაც ქეიფი მოუვიდოდა, ყველა ჩვენა გგვლევავდა. ესლა ღმერთმა აღდეგრძელეს რუს ხელმწიფე! მზისა და წვიმის მეტი ჩვენს კარს არაფერი მოადგება, ვინ გაბუდავს ჩვენს აკლებას!...“

უნდა შევნიშნოთ, რომ მესხეთსა და ჯავახეთში ენგინრები იმდენად არ ახსოვსთ, დელიბაშების ოინებს კი ყველა მოხუცი დღესაც გაიმბობთ. ეს დაღისები თუ დაღობაშები (თავრეტიანები) ოსმაღას მთავრობას არ ეზუებოდნენ და არც თუ მთავრობა მათ სდევნიდა, რადგან მთავრობის წინააღმდეგნი არ იყვნენ და მაშინდელ მთავრობის თვალში ხალხი თუნდ წყალსაც წაუღიაო. ამოტომაც დელიბაშები თავის ქეიფზე დათარკებოდნენ სოფლებში და დაბებში, მეტადრე ქრისტიანებს უღმერთოდ სჩაკრავდნენ. ვის შესჩივლებდით! აღამიანის სიცოცხლე, მისი ჰიროვნება, ნამუსი ქონება და ცხოვრება მუსულმანთა ფეხქვეშ ძაღმომრეობით ითულებოდა.

ერთი რამ უცნაური მოვლენაც შემეფეთა. ერთს ქართულ ოჯახს ქრისტიანს გვარად მაისურაძეს, ეს მამა-მამის გვარი უკუ უგდაო და ახლა დელიბაშ დელიბაშოვი არის მათი გვარი. სჩანს საპატო, სასიქადულაო სახსოვრად დარჩენიათ, რომ ამ გვარს ატარებენ დე-

ღობაშების სამარადისო სხსნოვრად. „ჩვენი გვარის კაცი სტამბოლს წასულა, იქ დეღობაშად უოფილა და მერე რო სამშობლოში მოვიდა, ჩვენც დეღობაშები დაგვერქვაო“... ასე ამიხსნეს.

7. დაღესტნელი ლეკები.

სად დაღესტანი და სად სამცხე-საათაბაგო? რა უნდოდათ აქ ლეკებს? აი საკითხი. ნამდვილად კი არც ენგინრები და არც დეღობაშები ისე არ იკლებდნენ და აწიოკებდნენ აქ ქრისტიან ხალხს, როგორც ლეკები თავის უჩაღობით. ლეკების აქ გაძლიერება და აფაზაკობა ასე ამიხსნება: 1) ოსმალოს მთავრობა უოფილ წლივ ცოაწინა დაღესტანში (სოხუმის და აფხაზეთის გზით) თანატოკს მოღლეებს, რომელნიც გამწარებული უქადაგებდნენ ლეკებს სუნიტებს: „გასრისეთ გურჯები და შემოგვიერთდით თქვენს ერთ მერჯულე ოსმალოს და მის ფადიშახსო... 2) თვითონ დაღესტნის უნაყოფო ბუნება, შიმშილი ძალას ატანდა ლეკებს, შშიერ მგელივით ან თვითვეულს ცაღკე, ან მთელი ხროვა შემოსეოდნენ ტურეთა წაღკოტს კახეთს და შემდეგ ქართლსაც. 3) რადგან ქართლსა და კახეთში ბინას, თეხს ვერ მოაიღებდნენ, ამიტომ აქეთ ახალციხის საფაშოში (მესხეთსა და ჯავახეთში) გადმოდიოდნენ, აქ არღკენდნენ მთელს რაზმებს, ბრბოს, ჭყავდათ ბელადები და აქედან კი ეადვილებოდათ ქართლზე დაცემა, სოფლების აკლება.

თვითონ ჯავახეთში ხო ლეკების შიშით სძოროდა სქანელსაც ვერ გარეკდნენ, ქალი ვერ წავიდოდა მინდოროში და კაცი. ლეკთა ჯარი 5000-სამდე ახალციხის ფაშას ჭყავდა სამსახურში ჯამაგირით. როგორც ვიცით ამდენსავე ლეკის ჯარს მეფე ირაკლიც ინახავდა. ნამდვილ ჯარს ფაშისა ეშინოდათ, საუჩაღოთ არ თარეშობდნენ, მაგრამ სხვა ლეკები კი საუჩაღოთ გადმოფარდნილი, დაუს-

ჯელად დანავარდობდნენ, მთელ ხროვად, ქართველთა სოფლებში*).

მოგეხსენებათ რომ 1615—16 შაჰ-აბასმა კახეთიდან მთელი ივრის ხეობა სპარსეთს გადასახლა და იმათ მაგიერ მაჭმადიანები დასახლა. როდესაც აქ ჯავახელებმა ველარ გაუძლეს ლეკების ცარცვა-გლეჯას, ნახევარზე მეტი ჯავახეთიდან ივრის ხეობაში გადასახლდა მეფე ირაკლის დროს.

„ადამიანს რო ღმერთი გაუწერება, ჯერ ჭკუას წაართმევსო“... არაგვის და ქსნის ერისთავები რო ღმერთ გამოწერალები არ უოფილიოვნენ და თავის მოვალეობა ერთგულად ასრულებინათ, განა რა უნდოდათ ქართლში ლეკებს. უსვინიდიწოთ დაღატობდნენ სამშობლოს ეს ჩვენი დიდებულნი. ლეკები მიაერთებდნენ ხოლმე ერისთავებს ძვიროფას შალებს, შევერცხდილს ქამარ-ხანჯალს, მათრახსა და ხმაღს და ამაზედ ჭვიდდენ სქართველოს. აიღებდნენ თეშქაშებს, წაიურეებდნენ უურს მითომ და ლეკები გამომპარულან, და ლეკებიც თავისუფლად გადმოსთელავდნენ ხოლმე ქართლს რბევით და ცარცვა-გლეჯით. თეშქაშების საფასურს ერთს ასად აიზღაურებდნენ. მერე აქ ჯავახეთში იშენებდნენ ბუნაგს და აქედან ხო ქართლიც მათი იყო და ჯავახეთიც, რასაკვირველია არც ახალციხის ფაშას აკლებდნენ ლეკურ შალებს და თოფაირადს.

8. ლაბა.

ლაბა იზრდება გარეულად, ბუჩქად. კოწახურის ბუჩქზე მომცროს; მრგვაღს მოწითალო ხიღს ისხავს. ზაფხუღის ბოღოს მწითუღება, სჭამენ ისე ხიღად, გემოთი მარახოშია, ამზადებენ ლაბას მურაბასაც. ა. როლოღვის ლექსიკონით ლაბა არის Глухая Смо-

*) ჩემს წიგნში ბევრს რასმე საინტერესოს წაიკითხავთ ლეკების ონავრობის შესახებ (იხ. „ბუნება და ცხოვრება“).

родина, Ribes Alpinum L. ხუნწა დათვის მცხხარა (რატკაში).

მეორე ლეგენდაც ვიამბო ლუკა ნათენაძემ: სოფ. გუგათაოდან *) ქალი მოუტაცინათ და თურმე სტამბოლში ნატრულბდა:

„ახ რემა გუგათაო,

გორგოშო და ლაბაო“...

გორგოშოც ბუჩქია, ამის ხილი დღესაც ახალციხეს ჩააქვთ, სამურაბეთ ჭეიდიან.

საჭირთა შემოწმდეს: როდღოვის აზრით გორგოშო *Крыжовникъ*-ია *Ribes oxrossularia* L. მცხხარი, გორგოშა. რაფ. ერისთავის ლექსიკონით კი გორგოშო ანუ მცხხარი არის *Смородина*.

9. ასპინძა.

სოფ. ასპინძა ქართლს ისტორიაში კარგად არის ცნობილი. აქ მეფე ირაკლი მეორემ 1770 წ. აპრილის 20-ს გადასწევიტა ბედი ქართლისა. აქ დაამარცხა ირაკლიმ ოსმალთა ჯარი და ლუკთა აურებელი რაზმი, რომელსაც მოუკლა თავის ხელით კობია ბელადი. ამ გამარჯვებამ კვლავ ააღმარაკა ევროპა, კვლავ დიდი ზნეობრივი გავლენა იქონია საქართველოს მტრებსე და მეტადრე ეკატერინე მეორეს მინისტრებსე, რომელსაც ირაკლი მეფე განკებ ჩაითარეს; ჩაბეს ოსმალებთან ომში, რადგანაც თვითონ ეომებოდნენ ოსმალთს. ირაკლის საშველად გამოგზავნილმა დენერალმა ტოტლებინმა ბრძოლის წინა დღეს, როდესაც მტრის ჯარი მოზვავდა, მწრაფლ იბრუნა პირი რუსეთისკენ თავის ჯარით და ზარბაზნებით, იმ განზრახვით, რომ ირაკლი მეფე მტერს ზედ შეაკვდებოდა, რომელსაც დევიზად ჭქონდა „ან გამარჯვება ან სიკვდილი“.

*) მესხეთშია შალაშეთის გვერდზე, ტოლოში-ზემოდ. დღეს მანკა ბაიბურჩიანცის საკუთრებას შეადგენს ეს ნაონარი, ნასოფლარი.

ლი“... მაშინ ოსმალო ქართლს და კახეთს დაიჭერდა გაახრებდა, რუსეთიც მაშინ დაამუნათებდა ქართველებს—ხელიდან გამოჰკვლეჯდა ოსმალთს ქართლსა და კახეთს. ხოლო უნატრონოდ დარჩენილი ქართველთა ვრი, უფლად დამცირებული და შეურაცხყოფილი რადა ტრაქტატების მოთხოვნას შესძლებდა!?. მაგრამ ბედმა ერთხელ კიდევ გაუღიმა ქართველ ერს: ვერც ტოტლებინის დალატმა და ვერც საკუთარის შეიღის, ტახტის შემკვიდრის გიორგის სიმუხთლემ მიზანს ვერ მიაღწიეს, ეგვლანი გაწბილებული დარჩნენ.—

ახვინ იღის, იქნება რა ასე გაბრიყვებულდი, ასე ჩაგონებულდი იყო ეს ღმირი და უფლად უნიჭო ბატონიშვილი—გიორგი. რუსეთის პოლიტიკა მოითხოვდა ენერგიულ და ლეგენდალურ გმირის ირაკლის დაღუპვას.

იმ დროის რუსეთს განაკებდნენ ორი პატემკინი და ორი ზუბოვი. ერთ მერჯულე რუსეთზე მინდობილი საქართველოს ბედიც ამათს ხელში იყო. გრაფს გრიგოლ პოტემკინს, ეკატერინე მეორეს პირველ ფავორიტს, არ დასწადა ირაკლის და საქართველოს დამცირება († 1791 წ.). ხოლო ასპინძის ავანტიურამ რა ვერ განჭრა, ახლა 1783 წ. გრაფი პავლე პოტემკინი ჩანდივდა მეფე ირაკლის და დაიყოფია კიდევ, მეფე ირაკლიმ უწყებულ ტრაქტატით (პირაბით) მიიღო რუსეთის მფარველობა.

გამიგონია სანდო პირთაკან: ძმათა ზუბოგებმა (პლატონმა და ვალერიანმა) ერთხელ კიდევ სცადეს მეფე ირაკლის და საქართველოს დაღუპვა. 1795 წ. ალა-მაჭმად-ხანი წააქესეს და ქართლს მიუსიეს. ხოლო რა სიმხტეე ჩაიდინა ამ ყიზილბაშმა მტარვალმა საჭურისმა, ეს უგვლამ ვიცით.

თუმცა დასაჯერებელი არ არის, მაგრამ იმასაც მოგახსენებენ, ვითომ უწმიდაძინებულ ერთი მილიონი ოქრო მთართვა ალა-მაჭმად-ხანს:

„წადი და აღლახმა გაუშარჯოს შენს ხმალს გურჯისტანზედა“...

შეიძლება ესეც მართალი იყოს და აი რა მისაზრებით: ეკატერინე მეორე ფაფორიტს გრავ გრიგოლ ჰოტეშინს განზრახვა ჰქონდა სამხეთის სამეფო ტახტი ავღღებინა და მეფეთაც თვითონ დაბძანებულყო. თურმე სულ მზად იყო: გვირგვინი, სკიპტრა—პერობელობის ყველა ნიშანი.

ჰო და არაფინ იცის, რაც ჰოტეშინს არ დასცადა, იქნება იგივე ელანდებოდა ეკატერინეს ბოლონდელ ფაფორიტს გრავ ჰლატონ ზუბოვსო, სამეფო გვირგვინი ვისთვის არ არის სახარბიელო!.. ოცნებას დიდი ფრთები ასწია... მაშინ აზიაში მთლად საქრისტიანო ქვეყნები ერთს სკიპტრას ქვეშ ჰლატონ ზუბოვს ექნებოდა გაერთიანებული *).

10. სანჯახ დიასამიძე.

მეჩვიდმეტე საუკუნეში, როდესაც ოსმალეთი აქ საბოლოოდ დამკვიდრდა, მაშინ მთელი სამცხე-სათაბაგო, უწინდელი ზემო ქართლი ახალციხის ფაშალიკად გამოაცხადა, რომეფიც გაჭეო ოცდაათხ სანჯახათ და ნაიად.

*) 1796 წ. ამის ძმა ვალერიანი ზუბოვი დანიშნული იყო მთავარ სარდლად ყველა იმ ჯარისა, რომელიც რუსეთიდან კავკასიაში უნდა შეგროვილიყო, აქ დამყარებულიყო და აქედან უნდა ეომნათ და აელათ მთლად წინა აზია ვიდრე ტიბეტამდე. ეს ქიმერიული ფანტასტიური გეგმა უზარმაზარი საქმისა შეადგინა და ეკატერინე მეორეს დამტკიცებინა პლატონ ზუბოვმა.

სპარსეთთან ომმაც გარდა აუარებელ ხარჯისა არაფერი სარგებლობა არ მოუტანა რუსეთსა და ეკატერინეს სიკვდილით ყველაფერი მოისპო; ხოლო რა მალაზნეობის კაცი იყო ეს ვალერიან ზუბოვი და რა გვარ მოექცა დამარცხებულ პოლონელებს, ახასიათებენ ჰელბიგის სიტყვები: „Низкий, безтыдный и возмутительный въ обращении съ поляками и ихъ женами“.

სანჯახები (მაზრები):

- 1) ახალ-ქალაქი, 2) ართვინი, 3) არტანუჯი, 4) არტაანი, 5) აწყური, 6) აპარა (ქვემო), 7) აპარა (ზემო), 8) ბათომი, 9) გოლა (კოლა), 10) თაოსკარი, 11) იმირხევი, 12) კისკიმი, 13) ოლოთისი, 14) ფანაქი (ჭოროხის ხეობაში), 15) ფოცხოვი, 16) ქობულეთი, 17) ქობლიანი, 18) შავშეთი, 19) ჩილდირი და 20) ხერთვისი.

ნაია (საბოქაულო):

- 21) ასპინძა, 22) აბასთუმანი, 23) ბარდუსი (ოლთისის სანჯახში) და 24) ნარმანი (საზღვარია ოლთისისა—ერთი ნაწილი ესლაც ოსმალეთშია, ხოლო მეორე ნახევარი რუსეთის სამფლობელოს შეადგენს). ერთი ნაიც ბოლოს მიუმატეს ჯაჯარეკი, ახლციხეს ახლოს არის.

ახლციხეში იჯდა ფაშა და განაკებდა მთელ საფაშოს. სამხედრო წესისა და საქმის მხრივ ემორჩილებოდა პირდაპირ აზრუმის სერასკირს (მთავარ სარდალს), ხოლო სამოქალაქო საქმეში ემორჩილებოდა სტამბოლს. აწყურის სანჯახი ეკუთვნოდათ ფაშებს, ამიტომ ერქვა ფაშა-ხასი ე. ი. იყო სცნოვრებელი ფაშისა—ბადიდან და ბოსტნიდან მეთედს შემოსავლისა ფაშას უზიდავდნენ წელიწადი თორმეტი თვე. მაგალითად დილომი იყო მეფეთა ხელსახოცი ე. ი. ეოველდე დიდომიდან თბილისის ჩაქქნდათ მეფის კარზე ნობათი ხილი, მწვანელი და ეოველივე მიწის მოსავალი.

ამ გვარად თავად დიასამიძეებს ეკუთვნოდათ სოფ. ასპინძა, აქ ჰქონდა მათს საგვარეულოს ციხე და სამეოფელი. ოსმალოს მთავრობამ ყველას გამოეცხადა მესხეთის ქართველ თავად-აზნაურობას: ვისაც ცურხთ შეიჩინათ თქვენი მამაპაპეული ადგილ-მამული და ციხე დარბაზი, უნდა ყველამ მაჰმადიანობა მიიღოთ, ხოლო მიწა კი ოსმალოს კანონებით

სახელმწიფოს კუთვნილებას შეადგენს მთელს სახელმწიფოში. ხალხ ვისაც მაჰმადის რჯული არა სურს, მამულ დედულს უნდა დაეთხოვოს“.

ამ გვარად ვისაც ჭკუა ჭქონდა, მაჰმადიანობა მიიღო და ქონება და ცხოვრება შეირჩინა და ვინც ფანატიკოსი ქრისტიანი იყო, იმან ხელი აიღო აჭაურობაზე და ქართლს და იმერეთს მიაშურა. ამ გვარად დრჩენენ აქ ნახევარზე იქნება ნაკლები თავად-აზნაურობა. თავადებს ეწოდათ ბეგი და აზნაურებს აღალარი.

ასპინძის ბატონს და ჰატონს დასამიძეს (ბეგებს) მემკვიდრეობით მიანიჭეს ასპინძის ნაიას მართვა-გამკეობა. მაგრამ ხალხში წესად არი ჰატივისტების ნიშნად ერთი ხარისხით მეტად უნდა მოიხსენიონ, ამიტომაც დასამიძეებს სანჯახ-ბეგებად, სანჯახებად იხსენიებდნენ.—

დასამიძეთა გვარი აქ უკვე ამოვარდა. უკანასკნელი წარმომადგენელი დადი-ბეგი დასამიძე (ქიამილ ბეგი) ამ 30 წლის წინად გარდაიცვალა. ხალხი დადი-ბეგს (გიჟი-ბეგი) იმიტო ეძახოდა, რომ ქაჯი და გულთმისანი

კაცი იყო. შედიას და კურდღელს დაეწებოდა ცხენით და ისეთს დრანტეებში, კლდესა და ღელებში მიაჭენებდა რო კაცს თმა უაღსრუე უდგებოდა, მწვევრებზე წინ ის მიაჭენებდა და ცოცხალი თავით ხელცარიელი არ დაბრუნდებოდა, ხშირად კონდრაბანდისტებს შეეჯობებოდა: ვსთქვამთ აი ამ კახნებში, კლდედრეში დაგვიწინენ ტამოყნის სტრაჟნიკები, აბა მიჩვენეთ როგორ დასწევთ თავსაო. ისინი რო ადგილიდან არ იძროდნენ თვით აჩვენებდა მაგალითს—ცხენს მუცელზე მოქცევოდა და გიჟივით მიაჭენებდაო. გულთმისნობა კი იმაში გამოინატებოდა, რო წინათვე რაც უნდა მეფექრა იმის და იმის ცხენის საწინააღმდეგო, მაშინათვე შეტყოდაო.—

ძველი გვარები ქართველ თავად-აზნაურობისა აქ დღესაც ბევრია, ბეგები: თაღაჯანდიშვილი, ხიდიბეგიშვილი, მაჩაბელი, ვანხაძე, აბაშიძე, ერისთავი, ხიმშიაშვილი, ათაბეგიშვილი და სხვ. აზნაურები და აღაჯარები: მეღვინეთხუციშვილი, მუსხეჯაშვილი, ორბელიანი და სხვ.

ილ. ალხაზიშვილი.

(შემდგეი იქნება)

ცრემლთა წიაღში

I. რა შემოგწირო!

რა შემოგწირო მსხვერპლად შენს საკურთხეველს? სული ჩემი? ის ცხოვრების ზღვაზე დაღუპულ გემის იალქნებს დაჰკვნიეს. გული? უკვე დაიფერფლა მაცდურის სამსხვერპლოზე. ნაზი უმანკო პირველი კოცნა? იგი უკვე გაბრწნილ ქალის ვნებით მონამულ ტუჩებმა მომტაცა. იქნებ ჩემი სხეული გსურს დაიწვეს სამსხვერპლოზე? შემოგწირავედი, მაგრამ ვინ მომცემს

უფლებას? ჩემი სხეული მატლთა და ქვეწარმავალთ საზრდოა. ვინ მომცემს უფლებას ცეცხლის კოცონზე დაიფერფლოს ჩემი სხეული?

II. ალბომში.

ჩემო კარგო! ჰკითხე სიყვარულის ღმერთს გაუშლია თვისი ფრთები, რომ ცრემლის წვიმა არ მოევილინა. ყური დაუზღვე ფოთოლთა შრიალს, იმ ველურ

ჰანგში ჩემი ხმებია; როდესაც შენს ოთახში მზის შუქზე მტვერი ბრჭყვიალებს, ის ფერფლია ჩემ დანაცრებულ გულსა. როდესაც ღია ფანჯრიდან კანდელის შუქზე ღამის პეპელა შემოფრინდეს შენს ოთახში, იცოდე ის ჩემი სულის ოცნებაა, რომელსაც სწყურია დაიწვეს მხურვალე ალერსში. რად მეკითხები ვინა ვარ? იქნებ კლდე ვარ, რომელსაც მოსვენებას არ მაძლევს ჭაფ მორეული ტალღა დროთა უღმობელ ტრიალისა.

III. მიცქირე მხოლოდ.

არა! სიყვარულს არ გევედრები, რად მინდა სიყვარული წუთიერი და წარმავალი? გევედრები მიცქირე მხოლოდ. ბედკრულს, დავრდომილს ნუ მომაშორებ ღვათებრივ ღიმილს, და თუ ოდესმე გაიარო ჩემ მივიწყებულ სამარის ახლოს, შეჩერდი და გაიღიმე. ღიმილის მწველი სხივნი გააპობენ ბნელ წყვიდადს ღმტვრად ქცეული სხეული იგრძნობს შვებას.

IV. შენ გეძახოდი.

მეგობარო! ჟამსა მწუხრისას, როდესაც სევდა შავ ნისლად მოეფინა წალკოტის კალთებს, როდესაც აბობოქრებულ ზღვის ტალღებში უიალქანო ნავით ვეომებოდი უძლეველ სტიქიას, შენ გეძახოდა სული ობოლი, მაგრამ არას დროს არ მსმენია ინედის სხივის გამღვივებელი შენი ხმა მეგობარო! სული ჩემი ლოცვას ღაღადებს ცივ სამარის ორმოსთან. მეგობარო! აჰუ, მეგობარო, ეხლა მაინც გამოეხმაურე ჩემს უიმედო გამოძახილს, „სულთათანა“ მაინც უგალობე ჩემს სულს, მიწის წიაღში შთანთქმულს.

V. ნუ დაენდობი.

ხეხილთა ყვავილნი, ვით თოვლის მსუბუქი ნაკვეთები ფრიალებს ირგვლივ და

ნელ-ნელ ეფინება მიწას. ჩემი ცრემლებიც უერთდებიან ყვავილთა ფოთლებს. ნება მომეცი გკითხო, ნუ თუ იმოდენადვე ბედნიერია ის, ვინც შენს სარეცელზე სთვლემს, რამოდენათაც ღრმა არის ჩემი სევდა? ნუ დაენდობი წუთიერ თავდავიწყებას, სიყვარულის მორევში იმიტომ ირხევა ვნების ზვირთები, რომ სისხლით შეღებოს უმწიკვლო კოცნა.

VI. ხელოვნება.

ნუ მეკითხები რად არა ვსწერ. ხელოვნებაც ერთგვარი დარგია მრეწველობისა. ხელოვანსა და ხელოსანს ორთავეს მოედანზე გამოაქვს გასაყიდათ თვისი ნაწარმოები. მე კი ჩემს ნაწერებს ვარსკვლავთა ციმციმს, ნიავის ქროლვას, ტალღების ჩქეფას ვუმღერი მხოლოდ, და შემდეგ ნაფლეთად ქცეულს ზღვის მოუსვენარ ტალღებსა ვუძღვნი.

VII. სიბრძნე სიჩუმისა.

ვოხუნჯობდი, ვლაზღანდარობდი, ვსცრუობდი და „პატიოსან ადამიანს“ მიწოდებდენ. შევიგენე „სიბრძნე სიჩუმისა“ და ამაყი მიწოდეს. ვიდრე ვსცრუობდი, ჭეშმარიტებათ რაცხდენ ჩემს სიტყვებს. წარმოვსთქვი ჭეშმარიტება და აი რას გაიძახიან: უსირცხვოდ სცრუობს ეს თავხედო.

VIII. ბუნება.

ხშირად შევსცქეროდი მოკამკამე ცას, ღრუბლის ნაკვეთებიდან გამომკრთალ ვარსკვლავთა ხომლს, ტბის მკერდზე მთვარის მკრთალ სხივთა თრთოლას, მაგრამ არას დროს არ მიგრძენია უდიდესი მშვენება ბუნებისა. ეხლა როდესაც ბუნების მკერდს მოწყვეტილი ცივსა და ბნელ საპატიმროში ვიმყოფები და ფანჯარიდან ქურღულად გადავსცქერი ბუნების წიაღს, ვიგრძენ და შევიგენ მთელი სიტურფე ბუნებისა.

IX. ღემონი.

ზენაარო! გადმოხედე სამყაროს და დასტკბი შენი მოქმედებით. იქ ტურფა წალკატზე ზის მგოსანი და სიყვარულის აკკორდს უმღერს სიყვარულის ღმერთს. იქ ტყის სიღრმეში, ტევრით მოცულ გამოქვაბულში ზის ავაზაკი და ითვლის ნადავლ ოქრო-ვერცხლს, ჰსურს წაუღოს მეძვე ქალს, რომელიც თვის „სიყვარულის ღმერთად“ დაუსახავს. იქ კი მოედანზე მრეწველი, ოფლში გამონაკრთობ ლუკმას სტაცებს მშვიერს, დავრდომილს, რომ ძვირფასი ყელთსაბამი ჩამოჰკიდოს თვის ვნების დამცხრომს. შეიხედე წმიდა სამსხვერპლოზე ვის სწირავენ მსხვერპლს წმიდა ქურუმნი. ხა! ხა! ხა! შენ უფრო ძლიერი ხარ აქ ქვეყნად თუ კერპი სიყვარულისა? შესძახა შემომქმედს ღემონმა ველურ ღრიანცელით და დაუსრულებელ წყვდიადის სივრცეს ამოეფარა.

X. Lola.

არ ძაღუძს წყაღსა მრავაღსა დაშრეტად სიყვარულისა და მდინარე ვერ წარდგინს მას.

სოლომონი.

გაფიცებთ თქვენ ასულნო კოლხიდიისა-ნო! მითხარით სად არის სიყვარული ჩემი, სად ვეძიო ის. სახე მისი მხიბლავია, ვით მთის მწვერვალზე მოსხლეტილი სხივი, მისი თვალები შავწამწამთაგან მორცხვად გამოიციქირებიან, ვით „არ დამივიწყო“ ნაზად გამოკრთის მაღალ ბალახთა შორის. მისი ღიმილი იზიდავს სულს, ვით ცეცხლის კოცონი გაციებულს მგზავრს. სხეული მისი ნაზად ირხვევა, ვით ალვის ხე ცელქ ნიავეით შეთრთოლებული. მითხარით სად არის ის, ასულნო კოლხიდიისა-ნო, სად ვეძიო ის?

XI. მალლობის ნაცვლად.

გადავშალე ცხოვრების რვეული და სისხლით აღუბეჭდელი მხოლოდ შენი სახელი ვპოვე. ვინ უწყის რამოდენი ტკბილი წუთი გამიტარებია შენს ალერსის ბაღში, მრავალჯერ შევსევი ნეტარების ფიალა შენს მკერდზე აღმოცენებულ მტევანთაგან. ხშირად მივცემივარ მოსვენებას შენს თმისა და წამწამთა ჩრდილში, მაგრამ აწ უკვე ყოველივე დავიწყების უფსკრულს ამოეფარა. არ ვცდილვარ შენი სახე აღმებეჭდა გულის ფიცარზე. რისთვის? იმიტომ რომ არასოდეს არ მყვარებიხარ, იმიტომ რომ ტანჯვა არ მაგრძნობინე. მისი სახელი კი უკვდავ ვყავ, რომელმაც დაუსრულებელი მწუხარება მოჰფინა სულს. შენი სახელი შესაძლოა ან არასოდეს არ მომაგონდეს, მაგრამ უკანასკნელი სიტყვა, რომელიც ჩემს ტუჩებზე გაიყინება, იქნება მისი სახელი.

XII. სიყვარული.

ათრთოლდა ნამი მზის სხივზე და ამე-ტყველდა ფოთოლთა ჰანგი. ვნებით დაეკონა ყვავილს ანცი პეპელა. შენ მოეყრდნე ჩემს მკერდს და ერთხელ კიდევ შემომიფიცე ერთგულება.

— ვერ დავრწმუნდები, ვიდრე სიცოცხლეს მსხვერპლად არ შემომწირავ.

— სიცოცხლე შემოგწირო? ვიქცე მტვრად არარაობად?

— ოჰ! შემდეგ შევიყვარებ შენს მტვერს. მიჯობს მტვერი მიყვარდეს მაცდურ სხეულს.

ოხვრა აღმოგვხდა გულის სიღრმიდან და განვშორდით ერთურთს, რადგან შენ მხოლოდ ტრფობის წყურვილი გიშფოთებდა სულს და მე მხოლოდ სიყვარული.

მის. ბოჰორიშვილი.

ბნელა

ბნელა!..

მიდამოს მოუწყენია...

ცას გლოვის ძაძა გადაჰფენია...

შვების ვარსკვლავი აღარ ციმციმებს...

ქარი ზარს ამბობს... ხევი ქვითინებს...

მთვარე ვარდის ბუჩქს არ დასცივლივებს...

ნაკადი ტკბილად არ მოლიკლიკებს...

სუსხმა დააზრო ტურფა ენძელა,—

ცრემლს აფრქვევს ყველა...

ლამეა...—ბნელა!..

ბნელა!..

და ჭოტიც დაბურულს ხევში

ლამის სიჩუმეს ესაუბრება;

საზარი კვნესა ისმის იმ ხმებში

და კაეშანი სულის ეუფლებს!..

...ლამეა...—ბნელა...

ცრემლს აფრქვევს ყველა...

მუხთაღმა მტერმა

გააცამტვერა

მშობელი კერა...

გული დასერა

ელვამ და შიშმა...

შეიპყრო შიშმა

და თრთის ბულბული

სულგანაბული...

დაობლებული

ნაზი სუმბული

ცრემლს აფრქვევს ნელა!—

ლამეა...—ბნელა!..

ოხ! ბრძოლის ცეცხლი რისთვის განელდა!..

რისთვის დაბნელდა! რისთვის დაბნელდა?!..

მდულარე ცრემლთა

გულის დამწველმა

თვალთა ქუთუთო

მეც დამისველა

და ვსტირი, ვსტირი!..

ლამეა...—ბნელა!..

ილ. გოგია.

(დ. ონი)

სიყვარული

(დებენდა სკიტაჯეცისა)

საოცნებო ღამე იყო. ვარსკვლავებით გაჭედლილი ცა ღამაზად დაჰყურებდა ქვეყანას. საესე მთვარე ამაყურად მისრიალებდა ცის კაბადონზე და პირველობას ჩემობდა. ირგვლივ სიჩუმე იყო. მოუსვენარი ბუნება ტკბილ ძილს მისცემოდა, მხოლოდ ახლად მითვლემილი სიო სიზმარსავით დასრიალებდა და ზარმაცად ჰკოცნიდა ყვავილების ბუჩქებს. აზიყობით დამფვრალი ბუღბული ჯადოსნურად გაჰკიოდა, თითქო ციურ ჰიმნს უთხზავს მიძინებულ ბუნებას მის საიდუმლოების გამოსახატავად.

ბეთლემის გზაზე ფეხ-აკრფით მიდიოდა ორი მგზავრი; ერთ მათგანს ერქვა **ცოდნა**,—მეორეს—**ეჭვი**.

და იყვნენ ისინი მტერნი, რომელთაც არასოდეს არ შეეძლოთ ერთად ცხოვრება. მიუხედავად ამისა, ისინი წამითაც არ სცილდებოდნენ ერთმანეთს და ხელი-ხელ ჩაკიდებულნი მოგზაურობდნენ ცხოვრების გზაზე.

რასაც ცოდნა შეიძენდა,—ეჭვი ერეოდა.

— იუდეელთა სამეფო დაიღუპა!—ამოიკვნესა ცოდნამ და ჩვეულებისამებრ ეჭვს გადახედა.

მისი დაღუპვა საუკუნო ცხოვრებაა!

— ჩაერია ეჭვი.

— ამით რა გინდა სთქვა?—ჰკითხა პირველმა აღშფოთებით.

— გაიგებ, როცა იქნება გაიგებ!—ხარხმრებდა ეჭვი.

— საბერძნეთისა და რომის ღმერთები მტვერშია!

— განაგრძო ეჭვა.

— ეს მე ვქენი, მე მივეცი მათ გონება ჰემმარიტების შეგნებისა.—დასძინა ცოდნამ.

— შენზე წინად მე მოვწამლე მათი სიმშვიდე!—დაუმატა ეჭვმა.

II

პატარა ქოხის ახლო, საიდანაც მოისმოდა მხიარული სიმღერა, მგზავრებმა დაინახეს სამი მგზავრი.

და გამოჩნდა ღიდი ვარსკვლავი, რომელიც წინად არ იყო ცის კაბადონზე.

— აქ რა არის?—იკითხეს ორთავემ.

— აქ დაიბადა ღმერთი! უპასუხებდა ერთი.

— ღმერთი?—ეკითხებოდა ცოდნა, მე ბევრი ღმერთი ვიცოდი...

— მე ურიცხვი ღმერთი გამიცუდებია!—დასძინა ეჭვმა.

— რას ეძახიან ახალ ღმერთს?—იკითხეს.

— **სიყვარულს!**—მიუგეს ერთმად.

და ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე.

და ღუმლით მიაშურეს იმ ქოხს, რომელსაც აღმოსავლეთით ბრწყინვალე ვარსკვლავი დაქათქათებდა.

ცოდნამ მუხლები მოიყარა სიყვარულის წინ... ეჭვიც დადუმდა.

და უფრო ბრწყინვალეთ ქათქათებდა ვარსკვლავი, რომელიც წინათ არ იყო ცის კაბადონზე.

ლ. ძიძიგური.

გამარეთი.

მღვიმე...

მწაღდა, ფრიაღ მწაღდა ამესრულები-
ნა შენი მუღარა... სამუღამოდ გაღამე-
ვიწყენე... ამომეშალა შენი სახება ობოლ
გულიდან...

წალკოტ მივჰმართე...

მეგონა იგი მომეხმაროდა... ის იმო-
ნებდა ფიქრებს მარად შენსკენ მომსრობო-
ლავს...

წალკოტს მივჰმართე და სასოებით მი-
ვესვენე ყვავილთა ბუჩქში...

რითრაჟი იყო...

ცა ვარდის ფრად იღებებოდა...

ცისკრის ვარსკვლავი იცრიცებოდა...

ღამეს მთეველი ჯკანასკნელს მუხლებს
ჰგალობდა...

ცქვიტსა ტოროლოს აღმოსავლისთვის
მიეპყრო თვალი... ცხოველ გზისათვის
უნდა მიეძღვნა ტკბილი ზევსური...

აგერა იგიც ამოცქრიალდა...

ცა ააღმასდა...

აშარავანდა...

ცა დაისერა ტოროლის ხმებით...

ცა აჰკისკასდა ნარნარ სიცილით...

ცა აჰკისკისდა...

ახ, ის ხომ ჰგავდა შენს ხუჭუქს სი-
ცილს...

ცის სჰეკალ ცვრებმა ნარგიზთ გაუბეს
ნაზი კოკორი...

ცის ნამცვრევებმა გადაჰფურჩქნეს ყვა-
ვილთა თვალი...

ტურთა ნარგიზნი!..

ვიშ, ვიშ!.. იგინი რა რიგ ჰგვანან
შენს ლამაზს თვალებს...

მისტიურ თვალებს...

კის, კის, კის, კის, კის!.. აჰკისკისდა
მთის ნაკადული...

კის, კის, კის, კის, კის—მოჰხტის სწრა-
ფად კორდიდან კორდზე...

ახ, იგი ხომ შენს სულს მაგონებს...

ის ჰგავს... ღიახ ჰგავს შენს გიჟმაჟ
სულსა...

—

მსურდა, ფრიაღ მსურდა ამესრულებინა
შენი მუღარა... გაღამევიწყენე ვით სიზმა-
რი უღარდელ ყმობისა...

წალკოტს მივჰმართე...

ვიფიქრე მისი ფერადოვნება გაამქრქა-
ლებდა შენს ზღაპრულს სახეს...

ეჰ, სულ ამოდ...

ყველგან შენ ღამჰხვდი...

ყველგან მომესმა შენი კისკისი...

მომიტევე სულისდგამო, მომიტევე...
ვერ დაგივიწყე...

კვლავ შენ მჰყევხარ სალოცავ ხატად...

დ. თურდოსპირელი.

განვშორდი სოფელს

სოდვის სავანეს, ცრემლთ სამყაროს განვშორდი სოფელს,
ღაუემგობრდი ცის ვარსკვლავებს, ვესტუმრე მზესა;
ღაუფარდ ეთერში გავიჩინე მუღმივი ბინა
სულს აღარ აკრთობს ქვეყნიური მოთქმა და კვნესა.

ანგელოსთ გუნდი ყურსა უგდებს ჩემსა სიმღერას,
 ვაზსკვლავებს ვამცნე საიდუმლო წრფელი გულისა;
 მე მოვიპოვე მშფოთავ სულის მყუდრო სავანე
 და ცად ავინთე მე კანდელი სიყვარულისა.

სპეტაკ ღრუბლებზე უდარდელად ვეძლევი შვებას,
 სულს აცისკროვნებს სამოთხისა გალობა წყნარი;
 სერაბიმთ გუნდი ყურსა უგდებს ჩემს ჩანგის ჟღერას,
 შემოქმედს უმღერს ჩემი მუზა და ჩემი ქნარი.

განვზორდი სოფელს, ცრემლთ სათავეს, ტანჯვის სამყაროს
 და მოვიპოვე ოცნებისა მხარე აღთქმული;
 აქ არ იციან რაა ცრემლი, ტანჯვა-ვაება,
 აქ მარად მეფობს უკვდავება და სიხარული.

ა. გაფრინდაშვილი.

საფლავი

(სამგაღითო მსწავლეებულ ქალის ქსენია ოსიძის ასულის ხსენებას)

შაშლილ წალკოტად, სასაფლაოზე
 საფლავებ შორის ერთი საფლავი
 მოსჩანს ეული, შემოვლებია
 სამგლოვიარო გარს ზოლი შავი!

იქ ამოსულა თეთრი ყვავილი,
 თეთრი ყვავილი, ნაზად გაშლილი,
 და მის ფურცელზე აღმოებქდილა
 შავად ნაწერი რალაც წაშლილი!

მიველ, დავხედე და მოკრძალებით
 ამოვიკითხე გაუგებაზი,—

ყოველ ასოში მკრთალად მოსჩანდა
 იმისი სახე მშვიდი და წყნარი!

ასე ეწერა:—აქ დამარხულა
 ცხოვრების აზრის მაძიებელი,—
 აქ დამარხულა, ვისაც ცხოვრებამ
 მაგრად ჩასჭიდა მსახრავი ხელი!

ვინც დაეძებდა კაცს ადამიანს,
 ვინც დაეძებდა ნამდვილ მეგობარს,
 ვინც შეეჩეხა ნაცვლად ამისა
 არარაობას შავს და შესაზარს!

ფაქიზი გრძნობა, სათუთი გული და საზრიანი, ღრმა მეტყველება ვერ შეეგუა ღუხჭირ ცხოვრებას და მანაც დაჰგმო იგი ცხოვრება!

ღედის ზღვა ცრემლი რწყავს იმ ყვავილსა, მამის ქვითინი მიდამოს ჰზარავს და იადონი ტკბილ-მომღერალი უსაზღვრო სევდებს სევდის ღმერთს ჰპარავს!

გაშლილ წალკოტად სასაფლაოზე საფლავებ შორის ერთი საფლავი

მოსჩანს ეული, შემოვლებია სამგლოვიარო გარს ზოლი შავი! *)
ლალო გეგეჭკორი.
ფოთი.

*) ქსენია ოსიძე ახალგაზდა მასწავლებელი ქალი იყო, 23 წლისა, სამაკალით მასწავლებელი, ნიჭიერი და ღრმად მოაზროვნე, რომელმაც, ორი თვის წინად, ცხოვრების უკმაყოფილობის გამო, თავი დაიდრჩო ზღვაში. დასტოვა ღრმა შინაარსის წერილები ქართულად, რომელიც ზედმიწევნით ჰქონდა შესწავლილი. **ლ. გ.**

მ ი ე ბ ა!

ბანმარტოებით სცხოვრობდა მოხუცი თეო.

მან არ იცოდა, თუ რა ხდებოდა ამა ქვეყნად. სძულდა ეს გარყვნილების, შავ-ბნელ ხაოსით მსუნთქავი ქვეყანა.

მისი სული სადღაც შორს, რაღაც უცნობ მხარისკენ მიისწრაფოდა...

უცდიდა ახალ ცხოვრების სხივებს.

მოსწყინდა ყოველივე ძველი და ახლის კვლევა-ძიებაში ლევდა განაწამებ სიცოცხლეს.

იგი კვლავ სულით არ ეცემოდა, მუდამ მხნე იყო, მუდამ მმოძრავი და სიცოცხლით სავსე.

მას არ ესმოდა არც ტანჯვა, არც სევდის სავსე ამოკვნესა მიწის შვილთა.

— ერთხელ, განთიადისას, როდესაც პირველმა მზის ოქროს სხივებმა კდგმა მოსილებით ეამბორა მაღალ მთებს, მან იხილა შორს, ცის კაბადონზე მოკიაფე ახალ ცხოვრების ვარსკვლავი.

იგი შვება იყო, მომავლის პირველი საიმედო სიტყვა, რომელიც საუკუნეთა სრბოლაში, ქვეყნის ცრემლებში იქედებოდა.

იქ, მთის თავზე, აღმართული იყო თეთრ მარმარილოსაგან ჩამოსხმული ქანდაკება. იგი განხორციელება იყო პირველ ყოფილ ადამიანთა სიყვარულისა.

.

იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ ადამიანმა არ იცოდა რა იყო ტანჯვა, მწარე გულის ვარამი და მომხიბლავი იყო ვით გაზაფხულის პირველი ია, უზრუნველი ვით უდარდელობა—მაშინ ქვეყნის მწარე ღუმელში იშვა ყოფნა... ადამიანთა სულები ირდილებიან, მოწიწებით თავსა ხრიან მის ძლევა-მოსილ სიღიადის წინაშე.

— აი ის ქანდაკება... იგი ხომ კერპია სილამაზისა.

თვალთ გადმოდის სინანულის ცრემლები, ნაკადი ობოლ სიყვარულისა.

და როდესაც ამ ნაკადს, ამ ცრემლის ტბას ვინმე შეაშრობს, თავის გულს მიუშვევს, შესვამს მთლად ამ ფიალას, მაშინ ქვეყანა ხელახლა იშვება. ძველი ღმერთები გაცამტვერდება და მის ალაგს დაიჭერს ახალი, სულ სხვა ღმერთი. აღმოხდება ვარსკვლავი ყოფნისა, რომელსაც ერთხმად წაჰყვება ადამიანთა სულები.

მისი აჩრდილი ყოველთვის შუალამისას მოეფინება ქვეყანას. იგი ნელ-ნელა გამოცურდება თეთრ ღრუბლებიდან, იქ, მყუდრო მიდამოებში ამღერებს პირველყოფილ იმედის ჰიმნს.

და მაშინ გამოდის ისიც და ისმენს ამ ცხოვრების ხმებს. იგი ეძლევა ზეციურ ზემთაგონებას, შორდება ცოდვილ მიწას და ცის სივრცეში ღამის ფერად დაფრინავს.

მაგრამ უეცრად ყოველივე ეს ინთქება,

მის ადგილს იჭერს ძველი, დახვეწილი ღმერთი; ადამიანთა სულები ძრწიან...

შიშისაგან კანკალებენ...

აქ ბნელა...

სიცივეა...

სულს კი, სულს სწყურიან...

და ყველა ეს იცის მოხუცმა თეომ...

იცის...

ხშირად დამტკბარა მისი სტვენით...

და იგიც იჩრდილება.. შავ ღრუბლებში იმალება, უცდის კვლავად, ელის იმავე ცისკარს...

თუ ვინ შეაშრობს სილამაზის თეთრ ქანდაკებას იმა ცრემლებს.

იმავე ქანდაკებას კვლავ ცრემლები სდის...

ცრემლის ტბაში ინთქება არე-მარე...

და ეს იცის მოხუცმა თეომ...

იცის...

ს. ტაიფუნი.

მოხსენება

სკოლებში ხატვა-ხაზვის სწავლების შესახებ

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ საზოგადოებაში თანდათან ვრცელდება და ფეხს იკიდებს ის ჭეშმარიტი შეგნება, რომ ნორჩი ბავშვების სწავლა-აღზრდის საქმის თანამედროვე სადი ჰედაგოგიური შოთხონილების თანახმად სასურველ პირობებში ჩაყენება მთელი ერის კეთილდღეობის და წარმატების უტუარა თავდება. ბავშვები, ესენი ხომ მომამალი მოქალაქენი არიან და მომავალიც მათა!

ისინი შეადგენენ ჩვენს იმედსა და ნუგეშს და მათზე გონიერი ზრუნვა უნდა იყოს ჩვენი ცხოვრების უმთავრესი მიზანი! დღეს უკვე გაკდუვალ ჭეშმარიტებად არის აღსარებული ის აზრი, რომ რიგიანად მოწყობილ და სასურველ ნიადაგზე დაუენებული სახალხო სკოლას ვეგლახედ უფრო შეუძლია ესა თუ ის ერი სიკვდილს გადაარჩინოს და მისი საკუთარი სახე დაიცვას. ამიტომ უფველი მოქალაქე ვადებუღია სკოლის ცხოვრების ნორმალურ მსგეღობას და აქ ჰედაგოგების

*) წაკითხული ბაქოს ქართულ სასწავლებლის სასკოლო კომისიიში.

და მეცნიერების უკანასკნელი სიტუვის თანახმად შეძლებისდაგვარად საქმის მოწესობას ხელი მოუშობდა.

ამ უამად ხატვა-ხაზვა, სხვა საგნებთან ერთად, მოზარდ თაობის რიგინად აღზრდის ერთ გავლენიან ფაქტორად ითვლება. ხატვა უვითარებს ბავშვს წარმოდგენის, შემოქმედების, თვითმოქმედების და დაკვირვების ნიჭს, უმასწავლებს მხედველობას და ჩეხსიერებას, უღვიძებს და უმტკიცებს ესტეტიურ გრძობებს, უცხოველებს სიმშვენიერისა და სილამაზისადმი მისწრაფებას და მისი ზეწარმოტაცი და კეთილშობილურ აღფრთხილებას ასაზრდოვებს. ამიტომ დღეს ეს საკითხი უველას აინტერესებს: ჰედაგოგებს, აღმზრდელებს და შეგნებულ მშობლებსა. ახლა უველა იმის კვლევაძიებაშია თუ რა გზა, რა საშუალება და რამელი სწავლების სისტემა არის ამ შემთხვევაში უველასზე უფრო რაციონალური და მიზნის შესაფერი. ხოლო ჩვენ ვიცით, რომ მოწინავე ჰედაგოგებმა უვეე კარგი ხანია უარჰყვეს და დავშეს ძველი სქოლასტიური ხატვის სწავლების მეთოდი, როდესაც უმთავრესად ცდილობდენ ბავშვებისათვის შეეთვისებინათ და მათში განევითარებინათ ხატვის ტეხნიკური მხარეები, რომელიც მათ ამ საქმისადმი უფვეეგვარ ხალისს და სიუვარულს უკლავს. ცხოვრება შეუჩერებლად წინ მიისწრაფის და პრატერსიულად ვითარდება. მასთან ერთად ვითარდება და უმჯობესდება სწავლების წესი და საშუალებანი. დღეს უვეე არავის აკმაყოფილებს ძველი შაბლონიური სწავლების სისტემა და სხვა და სხვა მიზნის შესაფერი საშუალებებით და, სხვათა შორის, ექსპერიმენტალური ფსიხოლოგიის შემწეობით ცდილობენ სწავლა-აღზრდა გაადვილონ, გაანაყოფირონ და თითოეული ბავშვის ინდივიდუალურ ხასიათსა და თვისებებს შეძლებისდაგვარად შეუფარდონ.

ეს ერთი ხანია ჰედაგოგოკა შესამჩნევად

განვითარდა და სწავლა-აღზრდის წესებშიც თვალსაჩინო ცვლილება განიცადა. ამ საქმეში უველასზედ მეტ დამოუკიდებლობას და თავისუბურობას ამერიკა იჩენს. ხატვა-ხაზვის სწავლების ახალი სისტემის შემოღებაშიც უველასზე უწინ გაბედული ნაბიჯი ამერიკამ გადადგა, რომელსაც ახლა ევროპა და მთელი კულტურული კაცობრიობა ბაძავს. დღეს უველა დაკვირვებული ჰედაგოგი, ვისაც საზოგადოთ საქმის სიახლე არ აშინებს, ერთხმად აღიარებს, რომ ამერიკული ხატვის სისტემა, მისი დედა აზრი, პრინციპი საინტერესო და საუკეთესოა. ხოლო უნაკლულ ქვეყანასზედ არაფერია და, შეიძლება, ამერიკულ რიგინალურ სწავლების წესებსაც თან ახლავს ასეთი უმნიშვნელო ნაკლულევენებანიც და მათი უკრიტიკოდ, უცვლელად გადმონერგვა და ბრმათ ბაძვა შეუწინარებელია. უფვეედი ახალი სწავლების სისტემა შეთანხმებული უნდა იქნეს ადგილობრივ პირობებთან, ხალხის თავისუბურ ხასიათთან და თვისებებთან. ისე კი თითოეული ერი უნდა მოხერხებულად სარგებლობდეს მოწინავე ქვეყნების გამოცდილებით და კულტურით და ამგვარი უიმედო შეხედულება თითქო ჩვენ, როგორც ჩამოჩენილ ხალხს, გონივრული მიბაძვა და გადმოღება ხელს არ მოკვცტემს, შეუწინარებელია და ვერაფერს კარგს გვიქადის.

როგორც ვთქვით ამერიკაში უველასზედ წინად შეიგნეს ის მარტივი აზრი, რომ ზოგადი განათლების სკოლების მიზანი არ არის თავისი მოწაფეები პრატერსიონალ მხატვრებათ აღზარდონ. ზოგადი განათლების სკოლები, წინააღმდეგ სპეციალურ სასწავლებლებისა, ცდილობენ ხატვის შემწეობით ბავშვი საერთოდ განავითარონ. მათი სავსებით სამართლიანი შეხედულებით ბავშვის მიერ გამხატვლ თვით სურათს კი არა აქვს მნიშვნელობა, არამედ იმას, თუ რამდენად ამ სურათის შესრულების დროს იმან გაივარჯიშა

და განივითარა თავისი გონებრივი ძალა. ამის გამომავალი ხატების გაკვეთილებზე, მოწათმართების ტიპები, დაუსრულებელი და, ასე ვთქვათ, უსწორესი სურათების დახატვა მასწავლებელთ სრულებით არ აშინებთ და აშოთებთ. „ჩვენ აზრს ვეძებთ ბავშვის გარეგნულად ულამაზო და ულამაზო სურათში და უფლებანიანად ვცდილობთ წავახდინოთ იგი აზრის თან და თან მკათიოთ გამოხატვაში“, ამბობენ ხელმე ამერიკელები *). „დაე, ბავშვებმა ხატონ თავისუფლად დაფაზე და რვეულებში რასაც მოსურვებენ და როგორც მოსურვებენ“, ვკითხულობთ ჩვენ ბოსტონის სკოლების ანგარიშში. ამნიანად დამოუკიდებელი და თავისუფალი ხატვა მოწათმართების მიერ, როდესაც ისინი საკუთარ გემოზე გამოხატვენ ხელმე თავიანთ ნათქვამს და ნაზრევს—აი ის საფუძველი, რომელზედაც ამ საქმეში თანამედროვე პედაგოგების აზრით სახალხო სკოლა უნდა ემყარებოდეს. ნახატის ტექნიკურ მხარეს, მისი უნაკლებოდ და სუფთად შესრულებას კი მეორე ხარისხიან სწავლად თვლიან. ამერიკულ სკოლების პრაქტიკაში ხატვისათვის არის აღნიშნული, რომ თითოეულმა ბავშვმა ნახატში თავისი აზრი უნდა გამოთქვას. მათ ავალბებენ ნახატით გადმოგვცენ ამა თუ იმ ლიტერატურული ნაწარმოებისაგან მიღებული შთაბეჭდილებანი. ბავშვის მიერ პირველად დახატულ სურათის უფრო ულამაზო ხაზში, უსწორეს-მასწორეს ფორმებში აღმზრდელები ხედვენ მის სულიერ ცხოვრების განსახიერებას, მისი აზრსა და გრძობებს. აქ 6—7 წლის ბავშვებს ხელში აძლევენ ქაღალდს, ფანქარს, ან საღებავებს, რითაც უნდა გამოხატონ მტენარები, ვეფხვები, ცხოველები, შენობები, მანქანები და საზოგადოთ

მთელი გარესგარეული ცხოვრება. ასეთი სურათები, რასაკვირველია, მეტად სადა, მარტივი და, თუ გნებავთ, ულამაზოდ იქნება, მაგრამ, უნდა გვანსოდეს, რომ უფრო ახალი საქმე, რომელსაც აღამიანი პირველად მოუხვედრეს და გაუწვრთნელ ხელს ჰკიდებს ხელმე, აუცილებლად ნაკლებრავნებით და უსრულებით იქნება აღსავსე. ხელთ პრაქტიკა და ვარჯიშობა არის ის საშუალება, რომელიც უფროაფროს გამოასწორებს და სასურველ შედეგამდე მიგვიყვანს. სურათები საზოგადოთ ისე, როგორც წერა და ლაპარაკი, აღამიანის აზრისა და ფანტაზიის გამომსახველად ითვლება. სურათში პედაგოგები ხედვენ თავისუფალ ენას, ენას უფრო ადვილად გასაკებს, ვიდრე ის, რომელზედაც სწერენ და ლაპარაკობენ. ამერიკულ სკოლებში ჩვეულებად არის გადაჭრული, რომ მოწათმართ თავის ნაწერს რვეულში ილიუსტრაციას გაუკეთოს, სადაც უნდა აღნიშნოს ამა თუ იმ საუბრადღებო გვირის ცხოვრებიდან რომელიმე შემთხვევა, მომენტი და სხვა. ჩვენში კი, კოლალეგის თქმისა არ იყოს, მასწავლებლის საშინელ გულისწერამას დამსახურებს ის ბავშვი, რომელიც გაბედვს თავის რვეულში დაწერილის შინაარსის სურათითაც გამოხატვას, რაც ამერიკის სკოლებში ასე ბუნებრივ სწავლების თავისუფალი პრინციპი ამერიკის სკოლებში სწავლა-აღზრდის ქვაკუთხედით არის აღსარებული და სწავლების პირველ დღიდანვე გამოეხატული! თავისუფალი აღზრდა მის მოწინააღმდეგეებს ისე ესმით, თითქო ის გულისხმობდეს იმგვარ შეუსაბამო შეხედულებას, რომ ბავშვს მეორე სათუთიდან ფანჯარაში გადახტომის ნებას უნდა ვაძლევეთ და ცეცხლის შესების სურვილის დაკმაყოფილებასაც არ უნდა ვუშლიდეთ. მაგრამ ეს გაუგებრობის ნათქვამი და მეტი არაფერი...

* ამ მობსენების შედგენის დროს ვსარგებლობდით უმთავრესად შემდეგი წიგნით: „Американская школа“ Ек. Янжуль.

ამ ჟამად ამერიკული ხატვის სისტემა ევროპაში თანდათან მოქალაქობრივ უფლებას

პოულობს. აქ უკვე დარწმუნდენ, რომ წინან-
დელი ხატვის მეთოდი ძალიან ნაკლებათ ან
სრულებით არ ავითარებს მოზარდ თაობაში
ხატვის ნიჭს და სრულებით არ უდვიტებს
მათ ხატვის ინსტიქტებს, პირიქით ძირშივე
ჭკაფს და აქარწულებს მათ შემოქმედებას.
ესაა ევროპაშიც ცდილობენ უფრო სავსე
სწავლება ხატვას სინტეტიურად დაუკავშირონ.
აქაც ჩვეულებათ ხდება მოსწავლეების მიერ
ამა თუ იმ სტატიის, მოთხრობის, გეოგრა-
ფიის, ბუნებისმეტყველების, მათემატიკის და
სხვა საგნების გაკვეთილებზე განვლილი მას-
ლის დასურათება, რაც ბავშვებს თვითშექმე-
დებას აჩვენებს და შემოქმედებით ნიჭს უვითა-
რებს, მხატვრობითი გემოვნებას და შექმენ-
ბას უცხოელებს, საგნების ცნობიერათ, ნათ-
ლად და ცოცხლად შეთვისებას და შეგნებას
უდვიტებს. ცხადია ასეთი საღი მოსაზრებით
ხელმძღვანელობდა ჩვენი წ. - გ. ს. სოკო-
ლოვის მთავარი გამოცემა, როდესაც ამ ბო-
ლო წლებში გამოცემულ სანიმუშო პრეგრა-
მებს იმუშავებდა, სადაც ნათლად და გარკვე-
ვით თავისუფალ ხატვის მომხრეთ გამოდის.

ზემო ნათქვამიდან საკმაოდ სჩანს, თუ რა
ხასიათი უნდა მიეცეს და როგორი უნდა იყოს
ხატვა და მისი სწავლება სახალხო სკოლებში.
მოწოდებმა სურათების საშუალებით უნდა გა-
მოთქვამ თავიანთი აზრი და გრძობები; თავის
არჩევით და სურვილით უნდა გამოხატონ
ესა თუ ის საგანი, როდესაც მოსწავლეებელს
ნათლად შეუძლია თავისი მოწოდებების გულის
სწრაფვა და სულიერი მიდრეკილება დაინახოს
და გაიგოს.

ხატვის დროს ბავშვებმა უნდა შეიძინონ
საგნების სისწორით დანახვის, მათი თვალე-
ბით გაზომვის და აწონ-დაწონის უნარი. და-
ნახვის ნიჭი, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავისით
არ შეიძინება. აქ მოსწავლეებელის საქ-
მია ბავშვის განვითარებას ამ სფეროში შესა-
ფერო ხელმძღვანელობს გაუწიოს და წინ წას-

წიოს. მოწინავე ქვეყნების მოსწავლეებელნი
ამისთვის მშვენივრად არიან მომზადებულნი,
რაც მათ სხვა საგნების სწავლებასაც უდვი-
ტებს და მათ ნაყოფიერებასაც აათველებს.
ისინი ფართოდ სარგებლობენ თავისი ცოდნით
და უფროსების მოწოდებებს გარკვევით უმარ-
ტავენ და დათანხმებულად თვალსაჩინოდ უსურათებენ
შესასწავლ მასალას გეოგრაფიიდან და სხვა.
ჩვენებური მოსწავლეებელი კი, სამწუხაროთ
მოკლებულნი ვართ ასეთ დიქსებებს. ჩვენში
ხომ ამდენხანს უუურადღებოთ იყო დატოვ-
ბული ეს მნიშვნელოვანი საგანი და მხოლოდ
ეს ერთი ხანია აღიქვა მისდამი მცირედი ინ-
ტერესი. ჩვენ კი ამისთვის შესაფერი მომზა-
დება არ მიგვიღია. კულტურული ქვეყნების
სახალხო სკოლა და იქური მოსწავლეებელი
ჩვენთვის იღვალს წარმოდგენენ. ჩვენ უნდა
ვცდილობდეთ ამ იღვალის მიხლოებას, რა-
შიაც ჩვენი საზოგადოების მოწინავე ელემენ-
ტები ხელს უნდა გვიმართავდენ, უფრო გვარ
დახმარებას გვიწოდენ.

უკანასკნელი წლები რუსეთის საზოგადოე-
ბის გამოფხიზლებით და მათი სულიერი ძალ-
თა ამოძრავებით დახასიათდება. გამოფხიზლე-
ბის ტალღა უფროსად მძლავრათ ხალხის გა-
ნათლების საქმეს ესეთა და დამაფუძვლები
სამეფო შეარყია. გაიშა საყოველთაო სწავ-
ლების აუცილებელ საჭიროების სასარგებლოთ
გაბედული ხმა. საზოგადოების შეგნებული
მოსწავლეებელთა გასათვითცნობიერებლად და
მათი ღიადი პასუხსაგებ მოვალეობის შესაფერ
სიმადლეზე ასეუფანათ ზომებს დებულბენ და
მაცადინობას არ აკლებენ. ეს ერთი ხანია რუ-
სეთის ვრცელ ტერიტორიაზე, მიუხედავთ
ათასგვარ დაბრკოლებათა, მრავალ ადგილას
უმთავრესად ერობათა და ქალაქების თვითმარ-
თველობათ თაოსნობით იმართება მოსწავლე-
ბელთა კურსები, სიუზღები, ეკსკურსიები და
სხვა. ჩვენში კი გულის მომკვლელო ინდიფერ-
ენტობია გამოფხიზლები, თითქო უფროსად


უფრო და, წინაღ ჩვენებურ მასწავლებელთ არ გვესაჭიროებოდეს ესეთი გაწვრთნა და მომზადება. აი მაგალითად მოუმზადებლობისა და უცოდინარობის გამო სსშინელ უმწიკობასა და სინდისის ქენჯნას განვიხილოთ, როდესაც ვხედავთ და ვგრძნობთ, რომ ჩვენს ბავშვებს ხატვის დროს ვერ ვაკმაყოფილებთ. დაწმუნებული ვარ ჩვენსავით უხერხულ მდგომარეობაში გრძნობს თავს ჩვენებური მასწავლებელთა უმრავლესობა, რომელთაც თავიანთი მეტად მძიმე და სერიოზული პრფესიის მცირედი შეგნება მინც აქვთ.

ჩვენში ერთობის მაგიერობა წ.-გ. სსზოგადობის მთავარმა გამგებამ და მისმა თეოლოგურმა განყოფილებებმა უნდა გასწიონ. ჩვენის თეოლოგიის ბაქოელი ქართველობა და

აქაური წ.-გ. სსზ. განუ. დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენს ხალხს და მის მასწავლებელთ, თუ მთავარ გამგებობის, ჩვენი ქალაქების საბჭოების და ჭიათურის სიეზდის დახმარებით მასწავლებელთა კურსების მოწიკობას შეეცდება, სადაც, სხვათა შორის, ხატვის ჯეროვანი უურადდება უნდა მიექცეს.

ისე კი დღევანდელ პირობებშიც მე აუცილებელ საჭიროებად მიმაჩნია ჩვენებურ სკოლებში თავისუფალი ახალი სისტემით ხატვის წარმოება, რომელსაც, უოველ შემთხვევაში, მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია, რასაც ჩვენი მოწიკებების სურათებიც ცხადად ამტკიცებენ.

მ. კაკაბაძე.



ქალაქისა და სოფლის მასწავლებელთა საყურადღებოდ

მართალია, ბევრ სახალხო სკოლის მასწავლებელს ამ ბოლო დროს გამოფხიზლება დაეცო, რაც ნათლად დავინახეთ წარსულ ზაფხულს სახალხო სკოლების მასწავლებელთა კრებებიდან ქუთაისში და ხონში, მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენში ქალაქად და სოფლად ჯერ კიდევ საკმაო რიცხვი მოიპოვება მასწავლებლებისა, რომელნიც პირადის ინტერესებისათვის უფრო იღვწიან და წმინდა პედაგოგიურს საქმეს, ბავშვების კანონიერად სწავლა-აღზრდას ბიუროკრატი ბობოლაების გულის მოგებას და პირად დაწინაურებასა სწირავენ მსხვერპლად. ასეთი მასწავლებელი და სწავლა-

აღზრდის ხელმძღვანელი სასტიკად დასაგმობი არიან და ჩვენი საზოგადოება და შეგნებული მასწავლებლები მართლაც ჰგმობენ და არცხვენენ ასეთს მოღალატეებს. ფრიად საყურადღებოა ხონის კურსებზე დამსწრე მასწავლებელთა დადგენილება, რომელსაც ხელს აწერს 80 მასწავლებელი და რომელიც ამავე ნომერში ქვემოთ იბეჭდება. საყურადღებოა აგრეთვე ქუთაისის კურსების სამრევლო სკოლის მასწავლებელთა დადგენილება, რომლითაც ზურგი შეაქციეს „მუნჯურ“ მეთოდს, დაჰმეს. ბ-ნი კ. მკურნალის ოინბაზური საქციელი და საზოგადო საქიროებად აღიარეს დღევანდელს პირობებში დაიც-

ვან 1881 წლის სასწავლო გეგმა, რომელიც ამავე ნომერში იბეჭდება, თანახმად ქუთაისის კურსებზე დამსწრე მასწავლებელთა დადგენილებისა იმ მიზნით, რომ შეედლოს ყველა მასწავლებელს მისი გაცნობა და სახელმძღვანელოდ გამოყენება. „განათლების“ რედაქცია სიამოვნებით იზიარებს ამ მასწავლებლების აზრს და თავის მოვალეობად რაცხს დაუბრუნებლად გამოაქვეყნოს ყველა ქართველ მოღალატე მასწავლებელთა უგვანო საქციელი, როგორც სახელმძღვანელო წიგნების მხრით, ისე სწავლების მეთოდისა და მათი ქვემძრომობის შესახებ, რადგანაც „ფარვა სიავისა ქვეყანას არ მოუხდების“ და „უსირცხვილოს თუ არ არცხვენ ბაძვით მორცხვიც გაურცხვდებისა“. ამიტომ რედაქცია მიჰმართავს თანამშრომლებს, შეგნებულ პირებს მოგვაწოდონ უტყუარი ცნობები ამა თუ იმ სკოლისა და გადაგვარებულ მასწავლებელთა საქციელის შესახებ. ხონის კურსების მასწავლებელთა მოწოდებაზე ჯერჯერობით საწინააღმდეგო კინტი არავის დაუძრავს, მაშასადამე ყველა უნდა ეთანხმებოდეს 80 მასწავლებლის საერთო დადგენილებას და ვინც ამის წინააღმდეგ წავა, სამართლიანად იქ-

ნებიან იმ სახელით მონათლოლნი, რაც მასწავლებელთა კრებამ უწოდა მათ.—

შემდეგ ნომერში ჩვენ შევხებით ტფილისის ქალაქის დასაწყისს ქართულ სკოლებს და იქ მოღვაწე პირთ, რომელთაც ჯერ კიდევ ამ რამდენისამე წლის წინად თავი ისახელეს ყოვლად შეუფერებელი და უგვანო პროგრამების წარდგენით უფროსებთან, რომელთაც ეს პროგრამები კარგად გამოიყენეს და სოფლის სკოლებისათვისაც სავალდებულო გახადეს. თევზი თავიდან აყროლდებაო, ნათქვამია და სწორედ ასეც მოუვიდათ. ქალაქის მყრალი სუნი სოფლის სკოლებსაც მოედო და მოშხამა საწყალი ბავშვები. ტფილისის ქალაქის სკოლის მასწავლებლები და სკოლის გამგეები ბევრჯერ გამოგვიწვევია სპასუხობდ, თუ რა მოსაზრებით ხმარობენ სკოლებში ისეთს სახელმძღვანელოებს, რომლებიც სრულიად არ შეეფერება ქართული სკოლის სულსა და გულს, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა პასუხის მოცემა აშკარად ვერ გაბედა, რადგანაც კარგად იცოდნენ და იციან, რომ თავიანთი პასუხით უფრო შერცხვენილი, დასაგმობი გახდებიან და ამიტომ ისევ ჩუმად და ქვემძრომობით განაგრძობენ თავიანთ სასახლო საქმეს.



Учебный планъ

начальной школы въ средѣ туземнаго населенія Кавказскаго учебнаго округа,

одобренный Намѣстникомъ Кавказскимъ 13 января 1881 года.

I отдѣленіе.

Предметные уроки на родномъ языкѣ для ознакомленія дѣтей съ названіями окружающихъ предметовъ и отчасти съ тѣмъ матеріаломъ, который входитъ въ составъ первой книжки для чтенія на родномъ языкѣ.

Письмо самыхъ простыхъ элементовъ буквъ роднаго языка. Черченіе простыхъ фигуръ.

Счетъ палочекъ, косточекъ и другихъ мелкихъ предметовъ до 100. Задачи на этихъ предметахъ до 10, по всѣмъ четыремъ ариметическимъ дѣйствіямъ.

Такія занятія происходятъ на родномъ языкѣ въ теченіе мѣсяца, при пособіи преимущественно видимыхъ предметовъ, или въ рѣдкихъ случаяхъ при пособіи картинъ.

По истеченіи мѣсяца начинается обученіе чтенію на родномъ языкѣ по звуковому способу, и притомъ въ связи съ письмомъ названій тѣхъ предметовъ, которые дѣтьми усвоены на предметныхъ урокахъ. По ариметикѣ ученики рѣшаютъ письменныя задачи, сверхъ устныхъ, въ предѣлахъ отъ 1 до 20. Какъ чтеніе, такъ и письмо происходятъ по первой книжкѣ для чтенія и продолжаются до тѣхъ поръ, пока дѣти не усвоятъ умѣнія свободно, хоть и медленно, читать и писать на родномъ языкѣ. На все это потребуется не болѣе 4—5 мѣсяцевъ, такъ что, при сколько-нибудь умѣломъ учителѣ, учащіеся къ концу учебнаго года должны усвоить вполне какъ процессъ чтенія и письма, такъ и умѣніе отвѣчать полными отвѣтами на всѣ вопросы, относящіеся къ прочитанному.

Священную исторію учащіеся въ теченіе перваго года должны пріучиться рассказывать на родномъ языкѣ по картинамъ (въ христіанскихъ школахъ).

Когда ученики уже нѣсколько освоятся съ чтеніемъ и письмомъ на родномъ языкѣ, т. е. примѣрно въ началѣ втораго полугодія, они должны начать и изученіе устной русской рѣчи. Такое изученіе должно происходить ежедневно по $\frac{1}{2}$ ч. или $\frac{3}{4}$ ч. и продолжаться до конца учебнаго года. Оно должно состоять въ ознакомленіи дѣтей на русскомъ языкѣ съ тѣмъ матеріаломъ, кото-

рый уже они усвоили на родномъ языкѣ, т. е. съ названіями окружающихъ предметовъ, а также отчасти и съ матеріаломъ, входящимъ въ первую русскую книгу для чтенія, равно какъ съ русскимъ счетомъ.

Такимъ образомъ, дѣти, переходя во II отдѣленіе, должны будутъ:

- а) умѣть читать и писать на родномъ языкѣ;
- б) на родномъ и отчасти на русскомъ языкѣ знать счетъ до 100 и умѣть рѣшать простѣйшія ариѳметическія задачи въ предѣлахъ отъ 1 до 20;
- в) умѣть рассказывать главныя событія изъ священной исторіи на родномъ языкѣ по картинамъ;
- г) ознакомиться съ нѣкоторымъ количествомъ русскихъ словъ и выраженій.

II отдѣленіе.

Чтеніе, письмо, священная исторія (пространнѣе, чѣмъ въ первый годъ) и задачи до числа 100 ведутся на родномъ языкѣ, причемъ дѣти должны изучать наизусть произведенія родной литературы, доступныя дѣтскому пониманію, и умѣть писать ихъ безошибочно, а также рассказывать прочитанное.

По русскому языку чтеніе по звуковому способу, письмо и выучиваніе наизусть легчайшихъ и совершенно понятыхъ дѣтьми русскихъ статей по первой русской книгѣ для чтенія. По ариѳметикѣ дѣти должны пріучаться рѣшать легчайшія задачи съ объясненіемъ и по-русски. Священную исторію должны умѣть рассказывать на родномъ языкѣ.

При переходѣ же въ III отдѣленіе они должны:

- а) совершенно свободно читать, писать и умѣть рассказывать содержаніе прочитаннаго на родномъ языкѣ;
- б) умѣть рассказывать обстоятельно на родномъ языкѣ событія изъ священной исторіи;
- в) рѣшать несложныя ариѳметическія задачи до 100, съ объясненіемъ ихъ на родномъ языкѣ и, по возможности, по-русски;
- г) свободно читать и писать по-русски, съ объясненіемъ прочитаннаго на родномъ языкѣ.

III отдѣленіе.

Чтеніе и письмо русскою скорописью (по одной линейкѣ) разныхъ статей, съ переводомъ ихъ на родной языкъ. Устное и письменное изложеніе содержанія такихъ статей. Выучиваніе ихъ наизусть. Письменное изложеніе ихъ на родномъ языкѣ. Самостоятельное чтеніе книгъ на родномъ языкѣ и русскихъ, доступныхъ пониманію дѣтей.

Объясненіе главныхъ молитвъ, символа вѣры, 10 заповѣдей и молитвы Господней (въ православныхъ школахъ) на родномъ языкѣ. Выучиваніе всего этого наизусть. Объясненіе главныхъ частей литургіи на родномъ языкѣ.

Рѣшеніе различныхъ задачъ, относящихся къ простымъ и именованнымъ числамъ, съ объясненіемъ по-русски и на родномъ языкѣ. Понятіе о дробяхъ.

Къ концу курса дѣти должны:

а) свободно читать и писать на родномъ и русскомъ языкахъ, переводить дѣтскія статьи съ русскаго языка на родной и обратно; умѣть излагать прочитанное устно и письменно на обоихъ языкахъ;

б) знать наизусть молитвы, а также понимать значеніе литургіи и главныхъ катехитическихъ иѣтинъ и умѣть объяснить ихъ на родномъ языкѣ;

в) рѣшать и умѣть объяснить на обоихъ языкахъ задачи, относящіяся къ четыремъ ариметическимъ дѣйствіямъ, и имѣть понятіе о дробяхъ.



სახალხო მასწავლებელთა საყურადღებოდ

სონის მეთოდოლოგ კურსების ლექციებზე საკმაოდ ვრცლად იქმნა განხილული და განმარტებული, თუ რა მხარეებს უნდა მივაქციოთ უმთავრესი ყურადღება, როცა რომელიმე წიგნი პირველ-დაწყებით სკოლაში სახელმძღვანელოდ შემოტანას ვაპირებთ. მრავალი სახელმძღვანელო გააჩნია პატივცემულმა ლექტორმა ამ თვალსაზრისით და სხვათა შორის მოკლედ შევხვო იაკობ გოგებაშვილის წიგნებს „რუსსკოე სლოვო“ I და II ნაწ., შეადარა იგინი სხვა ამგვარსავე სახელმძღვანელოებს და აღნიშნა, რომ „რუსსკოე სლოვო“-ს ორივე ნაწილი საღ პედაგოგიურ პრინციპებზე არის აგებული და ჯერ-ჯერობით ქართული სკოლებისათვის უკეთესი სახელმძღვანელო არ მოიპოვება.

ჩვენ, კურსისტები, არ დავკმაყოფილდით ამ მოკლე განხილვით და, მოვიგონეთ-რა რომ ზოგიერთს სკოლიდან, მას-

წავლებელთა დაუფიქრებლობით თუ უვიცობით, ეს წიგნები განდევნილია, მოვისურვეთ ვრცლად გაგვეჩია ორივე წიგნი.

გარჩევის დროს ჩვენ ამ წიგნებს შევეხეთ სრულიად მიუდგომლად, ვხელმძღვანელობდით თავიანთი დაკვირვებით, გამოცდილებით და იმ პედაგოგიურ მოსაზრებით, რომელიც ლექციებზე მოვისმინეთ და მივედით იმ ზასკვნამდე, რომ ხსენებული წიგნების ქართულ სკოლიდან განდევნა და მათ ნაცვლად გრიგორიევ-ოლენის წიგნების შემოღება მიუტოვებელი დანაშაულია, გაუსწორებელი ბოროტ-მოქმედებაა. ყოვლად უვიცი, გონებით ბრმა, ან რაიმე ქვენა აზრით გაქვინთილი უნდა იყოს მასწავლებელი, რომ გოგებაშვილის წიგნების უპირატესობა ვერ დაინახოს სხვა მის მაგვარ წიგნებთან შედარებით. ყველა უპირატესობასთან ერ-

თად ამ წიგნების დიდი ღირსება არის ისა, რომ ჩვენს ცხოვრებასთან ბუნებრივი კავშირი აქვს და შეთანხმებულია 1881 წლის გევმასთან, რომლის დაცვა ყოველი მასწავლებლის მოვალეობას შეადგენს.

ამიტომ ჩვენ გამოვსთქვით **საერთო სურვილი**: მომავალ ენკენისთვიდან უსათუოდ შემოღებულ იქმნას ი. გოგებაშვილის წიგნები იმ სკოლებში, რომლებშიაც ამ ჟამად არ არიან ისინი ხმარებაში, უკეთეს რომელიმე მასწავლებელი, რომელი უწყებისაც უნდა იყოს იგი, რაიმე მოსაზ-

რებით ი. გოგებაშვილის რუსული ენის სახელმძღვანელოების წინააღმდეგია, მოვითხოვთ მისგან ამ ზაფხულშივე პრესის საშუალებით გვაცნობონ თავისი მოსაზრებანი და ის უპირატესობანი, რომელიც, მათის აზრით, სხვა სახელმძღვანელოებში ჰპოვეს მათ. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი უგვანო საქციელი სასტიკად დაგმობილი იქნება ჩვენგან.

ვსთხოვთ სხვა გაზეთებსაც, ეს წერილი გადაბეჭდონ. („სახ. ფურ.“)

ხელს აწერს 80 მასწავლებელი.

ხმა ქართლიდან

„სახალხო ფურცლის“ 19 ივლისის მე-42 №-ში სახალხო მასწავლებელთა საყურადღებოდ იყო მოთავსებული წერილი, რომელზედაც ხელს აწერდა იმერეთის 80 მასწავლებელი. წერილის ავტორები ეხებოდნენ სახალხო სკოლებში სხვა და სხვა სახელმძღვანელოების ხმარებას და სრულიად მიუდგომლად განმარტავდნენ, რომ ქართული სახალხო სკოლებისათვის „რუს-სკოე სლოვო“-ს I და II ნაწილებზე უკეთესი სახელმძღვანელოები ჯერ-ჯერობით არ მოიპოვება. ყველა უპირატესობასთან ერთად ამ წიგნების დიდი ღირსება ის არისო, რომ ჩვენს ცხოვრებასთან ბუნებ-

რივი კავშირი აქვს და შეთანხმებულია 1881 წლის გევმასთანაო, რომლის დაცვა ყოველი მასწავლებლის მოვალეობას შეადგენსო. ვეთანხმები იმერეთის მასწავლებელთა საერთო აზრს, გამოვსთქვამ მათთან ერთად სურვილს, რომ უსათუოდ ჩვენ სკოლებში საჭიროა ეხლავე შემოვიღოთ გოგებაშვილის წიგნები, სადაც კი დღემდისინ არ იყო ხმარებაში. საჭიროა ქართლის მასწავლებლებმაც ამოიღონ ხმა და ყველამ ერთად გავასწოროთ ის შეცდომა, რაიც არა ერთს და ორს ჩვენგანს მიგვიძღვის ხალხის წინაშე.

მასწავლებელი **ლაზარე შვილი.**



უპატიოსნო პედაგოგები

ყოველ გვარ სამსახურში მოიპოვებიან მოხელენი, რომელნიც ცდილობენ ამხანაგებზე მალლა გამოჩნდნენ უფროსის თვალში; ამისათვის იგინი არა რა გზას არ უარჰყოფენ თავიანთ მიზნის მისაღწევად.

სხვა ყველა ასპარეზის მოხელეთ რაც უნდა ჰქმნან, ხოლო როდესაც პედაგოგია ამ გვარი საქმის მომქმედი, მაშინ იგი დასაგმობია და ყველა ღონისძიებით გაძევებულ უნდა იქმნეს საპედაგოგო ასპარეზიდან, ვინაიდან ეს უკანასკნელი უნდა ემსახურებოდეს წმინდა საქმეს—უმანკო ბავშვთა სწავლა-აღზრდას, და აბა ვით შესწევს ეს ფლიდობით გამსჭვალულ პიროვნებას?!

მე მოგახსენებთ აქ განსაკუთრებით იმ პედაგოგებზე, რომელნიც პირველ-დაწყებით სკოლებში მსახურებენ.

ზოგი მათგანნი პირველ წელს განსაკუთრებით ქართულ წერა-კითხვის მკოდნე ბავშვებს იღებენ სასწავლებელში. სექტემბერს ანდომებენ ლექსიურ გაკვეთილებს რუსულ ენისას და ოქტომბრიდან რუსულ ანბანს იწყებენ უკვე.

წლის დამლევს ესტუმრება ასეთ სკოლას ზედამხედველი და საუცხოვო ნაყოფს ხედავს ცხრა თვის შრომისას: ბავშვებს სამოსწავლო წელში შეუსწავლიათ ღირსეულად ორი ანბანი.

ახლა მეორე სკოლაში მიდის ზედამხედველი, სადაც ბავშვები სრულიად უცოდინარნი იყვნენ მიღებულნი.

აქ ბავშვებს თურმე მარტო ქართული წერა-კითხვა შეუსწავლიათ.

დაუპირდაპირებს ზედამხედველი ამ ორ სკოლას ერთმანეთს და საშინელ უფსკრულს ხედავს პირველი სკოლის მასწავ-

ლებელი მის თვალში სინიდისიერი მუშაკი, ხოლო მეორისა—მიწასთან გასწორებული, როგორც პედაგოგი.

რად ხდება ეს ასე?

ჩემის აზრით აქ მიზეზი ისაა, გარდა პირველ პედაგოგის უპატიოსნებისა, (უპატიოსნება მაშია, რომ ზედამხედველს ატყუებს, ცხრა თვეში გავიარე ორივე ანბანი) რომ ზედამხედველები მომეტებულად ინიშნებიან არა სახალხო სკოლის მასწავლებლად ნამყოფნი პირნი, არამედ საშუალო სასწავლებელში მომუშავენი, რომელთათვისაც პირველ-დაწყებითი სკოლის მასწავლებლის შრომა და ტანჯვა სრულიად უცნობია, გაუგებარი.

რამდენად ძნელია ნორჩი გონებისათვის ცხრა თვის განმავლობაში ორი ანბანის ღირსეულად შესწავლა-შეთვისება, ეს მხოლოდ მშობლისთვის და ჰემმარიტ პედაგოგისათვის არის გასაგებარი. ბავშვი, რომელიც პირველ წელს მხოლოდ ქართულ წერა-კითხვას სწავლობს და მხოლოდ მეორე წელს იწყებს რუსულს, ისიც კი ძლიერ ხშირად თავისუფალ წერის დროს ურევს რუსულ-ქართულ ანბანს ერთმანეთში.


ჩემ წინ ბავშვის წიგნია შემდეგი წარწერით: ელენა ხინჩაკაიშვილი; და რაღა უნდა დაემართოს იმ უსუსურ რვა წლის ბაღანას, რომელსაც ერთ წელიწადში ჩააყრიან ორსავე ანბანს?!

ეს კი სრულიად ვერ შეუგნიათ ზედამხედველებს; მასწავლებლები კი—მასწავლებლები, რომელნიც პირველ შეგირდობას თამაშობენ,—ცდილობენ ამხანაგებს გაუსწრონ ტყუილით, ფლიდობით.

ესეც თქვენი წმინდა ასპარეზი!

ამათაც პედაგოგებს ვეძახით!..


ნოშრევანი.



ალექსი ბესარიონის ძე ჭიჭინაძე

ჩვენში კარგად ცნობილია პედაგოგმა ალექსი ბესარიონის ძე ჭიჭინაძემ თავი დაანება სახელმწიფო სამსახურს ამა წლის ენკენისთვის პირველიდან და მიწვეული იქმნა ტფილისის ქართული გიმნაზიის დირექტორად. „განათლების“ მკითხველებმა კარგად უწყიან ალექსი ჭიჭინაძის საზო-

გადო მოღვაწეობის ამბავი საპედაგოგო ასპარეზზე*). მაგრამ მისი ღვაწლი ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე უფრო ნაყოფიერი ამ ცხრა წლის განმავლობაში იყო, როცა ეს დაუღალავი მოღვაწე სათავეში ედგა ისეთს სასწავლებელს, საიდანაც გამოდი-
ოდნენ სახალხო მასწავლებლები. ყოველ



ალექსი ჭიჭინაძე.

წლიურად ოც-ოცი კარგად მომზადებუ-
ლი, თავისი სამშობლო ქვეყნის და საქ-
მის მოყვარული მასწავლებელი მაინც გა-
მოდიოდა ხონის საოსტატო სემინარიიდან
უკანასკნელ წლებში. და თუ მათ ეროვნ-
ული საქმის გაკეთების რაიმე უნარი გა-
მოჰყვათ, ეს იყო ალექსი ჭიჭინაძის მო-
ღვაწეობის ერთი საუკეთესო შედეგი. სა-
ზოგადოთ ამ მხრით ბ-ნი ალექსის მოღვა-

წეობა მართლა ღირს შესანიშნავია და
მის ღვაწლს ღიღის მოწიწებითა და პა-
ტივისცემით მოიგონებს ყველა მისი ყო-
ფილი მოწაფეები ამ ჟამად სახალხო სკო-
ლების მასწავლებლები.

ალექსი ჭიჭინაძის წყალობით განსვენე-

*) იხილეთ ამის შესახებ ვრცელი წერილი
„განათლება“ № 1 1911 წ.

ბული იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებმა მკვიდრად მოიკიდა ფეხი ქუთაისის გუბერნიაში, რადგანაც თვითონ ალექსი ყოველთვის იცავდა ამ სახელმძღვანელოებს. მისი გავლენით უნდა აფხსნათ ის გარემოება, რომ ხონის სემინარიის ერთმა რუსული ენის მასწავლებელმა ჩინებული მოხსენება დასწერა გოგებაშვილის სახელმძღვანელოებზე, შეადარა იგი სხვა სახელმძღვანელოებს და ყველაზე მაღლა დააყენა. ეს მოხსენება სასწავლო ოლქის 1912 წლის ცირკულიარის მეორე ნომერში იქმნა დაბეჭდილი.

წელს ხონში გამართულ საპედაგოგიო კურსებს საზოგადოთ ემადლიერებოდნენ. ჩვენ გვჯერა, რომ თუ ხონის პედაგოგიური კურსები მართლა პედაგოგიურად იყო მოწყობილი, ამაში ჩვენს ქართველ პედა-

გოგსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის. არ ვიცით ვის დანიშნავენ ალექსის აღგილას ხონში, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ ხონის სემინარიისათვის ისეთი პედაგოგი, როგორც ალექსი ჭიჭინაძეა, დიდი დანაკლისი იქნება.

ხონის სემინარიის მოწაფეებთან და მისს ყოფილ მოწაფეების მიმართ გამოსალმების სიტყვას, რომლიდანაც ნათლად სჩანს მსცოვანი პედაგოგის ნამდვილი მამაშვილური, ადამიანური ღირსება, ამასთანავე ვბეჭდავთ.

ახლა-კი ვულოცავთ მსცოვან პედაგოგს ისევ ძველს ადგილზე დაბრუნებას და მხნე მოღვაწეობას იმ რთულსა და ძნელს საქმეში, რომელიც წინ ეშლება ტფილისის ქართულ გიმნაზიაში.

გამოსალმება*)

ძვირფასო ჩემო მოწაფეებო! ესტოვებ რა მოღვაწეობას ქუთაისის სამასწავლებლო სემინარიაში, სადაც ცხრა წლის განმავლობაში მუდამ თქვენთვის ვზრუნავდი და ვშრომობდი, მსურს გამოსალმების დროს გითხრათ ყველა ჩემს მოწაფეებს, გაფანტულთ ჩვენი სამშობლოს სხვა და სხვა კუთხეში, «მშვიდობით, კარგადყოფნით» და განგიმეოროთ მოკლედ ის, რაც არა ერთხელ მითქვამს თქვენთვის სხვა და სხვა შემთხვევაში, როდესაც დამირიგებიხართ, თუ როგორ უნდა მოქცეული-

ყავით სწავლის დროს სემინარიაში და შემდგომ ცხოვრებაშიაც. რასაკვირველია, ჩემი თქვენდამი მშვიდობისა და კარგადყოფნის სურვილი იმას როდი ნიშნავს, ვითომ მე თქვენთვის ვნატრობდე მუდამ მოსვენებით ყოფნას, უხვებას, უღარდელობას, აღუშფოთებლობას; არა, ღმერთმა დაგვიფაროს ჩვენ ამისთანა სანატრელისაგან! ამგვარს მშვიდობას ცუდი ნაყოფი მოაქვს და დიდი ვნებაც მოუტანია ჩვენთვის წარსულში. მაშ, შორს ჩვენგან ამისთანა მშვიდობა!

თქვენ კარგად იცით, ყმაწვილებო, რომ დილიდან საღამომდის თქვენ შორის ვტრიალებდი და ღმერთია მოწამე, რომ მართა ამით არ თავდებოდა ჩემი შრომა. თქვენ რომ მოგშორდებოდით ხოლმე,

*) რეგარც ჩვენმა მკითხველებმა უკვე იცნან ჰატიცეპული ალ. ჭიჭინაძე მიწვეულ იქმნა ტფილისის ქართულ გიმნაზიის დირექტორად.

ჩედ.

როდესაც დასაძინებლად წახვიდოდით, მას შემდგომაც თავს არ მანებებდენ ფიქრები, რომელთა საგანი ისევ თქვენ იყავით: ვარკვევდი, რა გამეკეთებია თქვენთვის ხვალ, რა მეჩვენებია, რომ სწორს გზაზე გველოთ, უფრო ღრმად შეგვეგნოთ წამდვილი თქვენი მიზანი და გაწვრთნილი ყოფილიყავით მომავალი თქვენი წმინდა საქმისათვის.

და თუ ამასთანავე გავლილი დღე ზოგჯერ მოწმე იყო რომლისამე თქვენგანის იმისთანა საქციელისა, რომელიც არ ეთანხმებოდა ჩემს დარიგებას და აბრკოლებდა სწორს გზაზე მსვლელობას წმინდა მიზნისაკენ, მაშინ ფიქრთა გროვა დიდი ხნით დამიპყრობდა ხოლმე, მირღვევდა მოსვენებას და მხოლოდ გვიან, ძალიან გვიან ნაშუადღევს დაქანცული თვალს მივდებდი. მაგრამ მოუსვენარი იყო ჩემთვის ეს ძილი. რა მაწუხებდა, რა მიფრთხობდა ძილს? ფიქრი შემცდარის შთაგონებისათვის, მისის გასწორებისათვის. თითოეულს თქვენგანში ვხედავდი მე მომავალს მშრომელს სკოლისათვის, მოღვაწეს ჩვენის ერის განათლებისათვის და ვცდილობდი, რომ ერთიც თქვენგანი არ ჩამორჩენოდა უკან ამხანაგებს და მით არ შემცირებულიყო მშრომელთა გუნდი მომავლისათვის. გახსოვდეთ ეს! თქვენც თქვენს ალაგას მუდამ მოცულნი უნდა იყოთ ფიქრით, მუდამ შრომობდეთ ხალხის განათლებისათვის განუწყვეტლივ თვალყურს ადევნებდეთ ჩვენი ცხოვრების ნაკლს და ცდილობდეთ მის შევსებას.

თუ ამ გზით ივლით და ამ ტვირთის ტარებას იკისრებთ, მხოლოდ მაშინ ითქმის თქვენთვის, რომ წმიდა მოვალეობას ასრულებთ ერის წინაშე. — რომ საქმე კეთდება და თქვენს შორის სუფევს მშვიდობა და კარგად ყოფნა. აი ამას გინატრით მე თქვენ, ამისთანა მშვიდობას, მუ-

დამ შრომას, ბოროტისაგან აღშფოთებას, მასთან ბრძოლას, ბრძოლაში მარჯვე ნაბიჯების გადადგმას და ამის გამო სიამოვნების განცდას. უმეტესობა ერისა, რომლის მოძღვრებისათვისაც ემზადებოდით, თქვენი შემყურია. თქვენზე უფრო დაახლოებული მოამაგე მას არაფინა ჰყავს; სხვანი ყველანი უფრო დაშორებულნი არიან მასზე. თქვენზეა ბევრად დამოკიდებული მისი ცხოვრების ავი და კარგი. თუ თქვენ ფხიზლად იქნებით, ენერგიულად იშრომებთ, არ შესწყვეტთ საკუთარი ძალღონის განვითარებას და განკარგებას, მაშინ ჩვენი ერიც ამაღლდება გონებით და ეცდება, ისიც სათვალავში იყოს, ისიც ერად იხსენებოდეს რუსეთის სახელმწიფოში, მასაც საკმაო ეროვნული უფლება ჰქონდეს სხვა ერთა შორის, თითონაც კეთილდღეობაში იყოს და საერთო მამულის საქმეშიაც თავისებური წვლილი შეჰქონდეს.

ხედავთ, რა ამბავია ევროპაში! განურჩევლად წოდებათა და კლასთა, განურჩევლად პოლიტიკურ მოძღვრებათა როგორ აღტყინებულან სამშობლოს სიყვარულით! თქვენცა გაქვსთ სამშობლო, ეს კეკლუცი საქართველო, რომლის ბედნიერებისთვისაც უნდა იღვწოდეთ. ერთ წუთსაც არ დაივიწყოთ, რომ თქვენ გაბარიათ აკვანი ძვირფასის ყრმითურთ. გაუფრთხილდით ამ აკვანს, — ალერსით ურწევდეთ მას, ყრმას ნანას უმღეროდეთ გულმხურვალეთ და ულოლიავებდეთ, რომ აღიზარდოს იგი და შეიქმნეს ვაჟკაცი ჯანითა და ჭკუით საღი, უკეთესი მომავლის მაძიებელი და შემქმნელი, თავის თვით არსებობის დამცველი და საერთო მამულისათვის სასარგებლო.

მაშ მშვიდობითა და კარგადყოფნით.

ალექსი ჭიჭინაძე.

სახალხო განათლების მოღვაწენი

III

იასონ კაპანაძე

სახალხო მასწავლებელთა შორის, რომელთაც ღირსეულად და შეუზღალავად უტარებიათ ჩვენი ხალხის განათლების დროშა, თვალსაჩინო ადგილი უჭირავს იასონ კაპანაძესაც. მისი ცხოვრების აღწერა მთელი ისტორიაა ჩვენი ხალხის განათლებისა და მისდამი უნაგარო და თავგამოდებულ სამსახურისა. ამიტომაც საჭიროა ასეთი მოღვაწის ცხოვრება რამდენადმე მაინც გავაცნოთ უურნალ „განათლების“ მკითხველეს.



იასონ კაპანაძე.

იასონ ლუკას ძე კაპანაძე, იგივე თავბერა, დაიბადა ზემო იმერეთში სოფელ ბოსლევში, 7 ქრისტეშობისთვეს 1857 წ.

მამა მისი ამავე სოფელში იყო მღვდლად. იასონი სულ პატარა იყო, როცა მამა გარდაეცვალა. მამის სიკვდილის შემდეგ სწეული დედაც მალე გარდაიცვალა და იასონი თავისი ორის დით მთლად დაობლდა. მართალია იასონს ბიძებიც ჰყავდა, მაგრამ ისინი ობლების ქონებას დაეპატრონენ მხოლოდ და ობლების აღზრდაზე კი თავს სრულიად არ იწუხებდნენ.

ეს ობლები ერთგულად შრომობდნენ სხვის ოჯახში და ყველასთან ხათრიანად იყვნენ. იასონი თერთმეტი წლისა გახდა, მაგრამ სასწავლებელში მიცემას კი არავინ ჰფიქრობდა; ამას სწუხდა მარტოკა ბებია მისი თათია სახუაძისა ბაზღაძის ასული, რომელსაც დიდ საცოდაობად მიაჩნდა, რომ ოჯახში მღვდლის შთამომავლობა მოსპობილიყო. ამ მოხუცს დედა-კაცსაც აღარავინ გააჩნდა, აღარც ქმარი და აღარც შვილები, ყველა აღრევე დაჰხოცოდა და ისიც დიდ სიღარიბეში ცხოვრობდა მარტოკა მახლობელს სოფელში უბისაში. ის მალ-მალ მოდიოდა ფეხით ამ ობლებთან და ტყობილობდა მათ ამბავს.

ერთხელ ობლების ბებიას გაეგო, რომ მის სოფელში ცხონებული გაბრიელ ეპისკოპოზი მოდიოდა ეკლესიების სარევიზიოდ, გაეგო ისიც თუ ვისთან დარჩებოდა იგი სადილად, მაშინვე მივარდნილიყო საწყალი მასთან, მოხვევოდა მუხლზე და ეთხოვნა, ეშუამდგომლა ეპისკოპოსთან მისი შვილი-შვილის სახელმწიფო ხარჯით აღზრდის შესახებ. ეს მაღლიანი თავადიც (ნიკოლოზ ფინეიშვილი), რომელთანაც

გაბრიელი უნდა მისულიყო სადილად, დაპირებოდა დახმარებას და ეთქვა, რომ ბავშვი მასთან მიეყვანა იმ დროს, როცა ეპისკოპოზი მის სახლში იქნებოდა. ეს მოხუცი ქვრივი მაშინვე გადმოიჭრა ფეხით ობლებთან, დაავლო ხელო თავის შვილი-შვილს იასონს და წამოიყვანა შინისაკენ. იმ ღამეს დალილები და მეტად მოქანცულები ბებიის ქოხში იყვნენ ცივი მჭადის ამარა, მხოლოდ მეორე დღეს იმ დროს მიატანეს თავადიშვილთან, როცა ცხონებული გაბრიელი კიდევ სადილობდა. თავადი ფინეიშვილი თავს დასტრიალებდა ეპისკოპოზს და მიჰქონდა მასთან სხვა და სხვა საკმელები. ეს ქვრივი შვილის შვილიანებ მაშინ ჩავიდა თავადის ეზოში, როცა იგი გამოვარდა აივანზე და მზარეულს შიძახა; „მალე, მალე გუფთა მოიტანე“-ო. შეხვდა თუ არა თავადმა მოხუც დედა-კაცს და მასთან პატარა ბავშვს, მაშინვე მიხვდა, თუ რისთვის იყვნენ ისინი მისულნი მასთან და შებრუნებისათნავე, სადილზე მოახსენა ცხონებულს გაბრიელს მოხუცი დედაკაცის ხვეწნა-ვედრება. ღვთისნიერმა ეპისკოპოსმაც მაშინვე აღუთქვა თავადს თხოვნის შესრულება.

გაბრიელ ეპისკოპოსმა აცნობა თურმე ობლის საქმე დეკ. დავით ღამბაშიძეს, რომელიც ის იყო ახლად ეკურთხებინა და ბლალაოჩინობაც მისთვის მიენდო. ღამბაშიძე მაშინვე გულსმოდგინებით შეუდგა საქმის შესრულებას. ჯერ პატარა იასონი მიაბარა მის მიერ დაარსებულს სოფ. წევის საეკლესიო სკოლაში, რომლის მეტი სასწავლებელი იმ დროს მთელ შორაპნის მაზრაში არც კი იყო. ორი-სამი თვის შემდეგ პატარა იასონი ჩაიყვანეს ქუთაისში სასულიერო სასწავლებელში მისაბარებლად. ღამბაშიძეს ობლის მიღებინება სას-

წავლებელში მეტად გაუჭირდა, იმიტომ რომ ობოლი უკვე თორმეტი წლისა იყო და ცოდნით კი არა იცოდა-რა, გარდა ცოტაოდენი ქართული წერა-კითხვისა. ვინც გამოდიოდა სასწავლებლიდგან, ყველა კითხულობდა, თუ ვინ არის ეს კაპანაძე, რომ დავით ღამბაშიძე მისთვის ასე თავს იკლავსო და თითქმის კრივ-ჟუსტებზედაც ადგიაო. ღამბაშიძეს გადაჭრით ეთქვა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველისთვის და სასწავლებლის საბჭოს ყველა წევრისთვისაც, რომ მე ჩემი საბლალაოჩინოდგან ერთ კაპიკსაც არ შევიტან სასწავლებელთან დაარსებულ პანსიონის შესანახად, თუ ამ ობოლ კაპანაძეს არ შიიღებთო... ბოლოს როგორც იქნა დაეთანხმებია ზედამხედველიც და საბჭოს წევრებიც, მაგრამ მიღება ორკვირამდის მაინც არ მოხდა, და ეს ორი კვირა დ. ღამბაშიძეს თავის ხარჯით ჰყავდა ეს ობოლი შენახული თავის ძმასთან ესტატე ღამბაშიძესთან, რომელიც იმ დროს იქ სწავლობდა გასათავებელ კლასში.

ასე მიღებულ იქნა ობოლი სასწავლებელში დიდის გაჭირვებით ენკენისთვის შუა რიცხვებში 1869 წ., და გაათავა იგი პირველი ხარისხის მოწაფეებში 1876 წ., მაგრამ სემინარიაში აღარ მოუხდა მიღება სახელმწიფო ხარჯით და თავის ხარჯით კი თბილისში ერთ თვესაც არ შეეძლო თავი შეენახა სიღარიბისა გამო.

იასონ კაპანაძემ სკოლის სკამებზედვე შეიყვარა მასწავლებელი და მასწავლებლობა. და მართლაც დაამთავრა თუ არა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი, მაშინვე მიჰმართა ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორს ბ. ტრაფეს, რომელსაც მხოლოდ ორი-სამი დღის წინად მიე-

ლო დირექტორობა, მანამდის-კი (1876 წლამდე) ქუთაისის გუბერნია მხოლოდ საინსპექციოდ ითვლებოდა და ინსპექტორადაც ეს ბ. ტროე იყო დანიშნული. ბ. ტროემ კაპანაძესთან ერთად ორი სხვა გამოცადა და ესენიც ორნივე ქუთაისის სასულიერო სასწავლებლიდან იყვნენ, მაგრამ ერთი ჩაიჭრა და უარი უთხრა მასწავლებლის მოწმობის მიცემაზე. ი. კაპანაძეს მაშინვე მისცა მოწმობა მასწავლებლობისა და უთხრა—ხონში მასწავლებლების კრებას დასწრებოდა და სანიმუშო გაკვეთილები მიეცა. კაპანაძეც დიდის სიამოვნებით დათანხმდა, წავიდა ხონში და კრების ყოველ გვარ საქმეში, შეძლებისდაგვარად, მხურვალე მონაწილეობას იღებდა, რასაც ამოწმებს დირექტორი ტროე.

შემდეგ თხუთმეტ თავისუფალ სკოლაში კაპანაძემ აიჩრია დ. საჩხერის სკოლა, სადაც კიდევ დანიშნა იგი დირექტორმა, მაგრამ საჩხერეში წასვლა მას აღარ დასჭირვებია, რადგან ერთი მღვდლის რჩევით ის იქმნა დანიშნული კაცხის სკოლაში. აქაც მას სწავლება არ დაუწყია იმის გამო, რომ ამ სკოლაში კაპანაძის მისვლამდის ხალხს ვიღაც გაქართველებული, მწერლად ნამყოფი, რუსი დაენიშნათ. შემდეგ ამისა კაპანაძე დაინიშნა მარნის ახლად გაკეთებულ სკოლაში, დ. სამტრედიის მახლობლად, სოფ. საჭილაოში, სადაც მოღვაწეობდა სრული 22 წელიწადი.

ბევრი სიმწარე და გაჭირვება გამოიარა იასონმა ობლობაში, მაგრამ ასჯერ მეტი სიმწარე, ტანჯვა და მწუხარება ნახა მან სოფლის მასწავლებლობაში.

აი რას სწერდა იგი თავად ამ 32 წლის წინად გაზ. „კავკაზში“ ამ სათაურით: „ხმა სოფლის მასწავლებლისა ქუთაისის გუბერნიიდან“.

„ცოტა არ უწერიათ და უჯანაჯანადათ სოფლის სკოლაზე, მის მდგომარეობაზე, სასურველს გაემჯობესობაზე და სხვ., მაგრამ ამავე დროს უურადლებას აქტუებს უმეტესად სწავლა-აღმზრდელობით საქმეს, და მდგომარეობა სკოლის თავისა, სოფლის მასწავლებლისა, რომელზედაც დამოკიდებულია სკოლის ბედობადაც, წარმატება და მიმართულება, ყოველთვის უურადლებოდ რჩებოდა, მასზე ღანჯანაკი თითქმის მეტად მიანხდათ. მაშინ, როცა სოფლის მასწავლებლის მდგომარეობა, განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნიაში, სწორედ რომ საშუალოა. ერთი რომ ძვირად თუ ის თავის მცირე ჯამაგირს თავის დროზე მიიღებს, ხშირად ორ-ორ, სამ-სამ თვეებით და მეტიც მოუხდება ხოლმე მას ხვეწნა-ვედრება და მუდარა მამასხლისთან, რომ კეთილ ინებოს, მოწყალის თვალით გადმოხედოს და წარსული თვეების ჯამაგირი მისცეს, და ისიც არა ისე, როგორც დამსახურებულთ ჯილდოს, არამედ ისე, როგორც მოწყალეობას. ან შემოხედეთ როგორც ზირობებში უხდება ამ საწყად მოღვაწე—მასწავლებელს შრომა და მცადინობა თავის საუყარელ ბავშვებთან: მას აქვს ორი ჰატარა იატაკ და ტერ დიდრეჯილი ოთახი, რომლის კარები კარგად არც კი იკეტება; ეს კარები ზამთრობით მთლად იუნიება; ქარი ჭქრის ყოველი მხრით; იატაკზე ხშირად ტბა დგას კედლებიდან და კარებიდან ჩამომდნარ თოფლისა, ძლივს მოძებნი ისეთ ადგილს, რომ შენი ჰატარა ტახტი მიდგა სადმე.

შეშას ძლიერ იშვიათად იძლევიან და მასაც მაშინ, თუ მამასხლისის მოწყალეობა იქნება. საწყალი მასწავლებელი კანკალებს სიცივისაგან და ცივებისაგან. ღითონ სიტყვებით რომ არ ჩამომართვან ესა, მივითითებთ მაკალითზე ჩემისავე საკუთარ ცხორებებიდან. 1880 წ., როცა სასტიკი ზამთარი ჰეტებურგის სიცივეებსაც კი არ ჩამოუვარდებოდა, ამ სტრუქტურ-

ნების დამწერი დარჩა სრულებით უშეშოდ, თუმცა ის ბევრჯერ ეხვეწა მამასახლისს. იმ დროს, როცა ბატონი მამასახლისი და ბევრი სხვაც სტუმრებთან მშვენიერი სითბოთი თავის სახლებში, მასწავლებელი და მისი მოწაფეები თბებოდნენ სკოლაში ხელებზე სულის ბერვით და ფეხებზე მადლა შესტომით. ვეველაფერი გათავდა იმით, რომ მასწავლებელი ძლიერ ავად შეიქნა გაცივებით და უსათუოდ გაემგზავრებოდა იქ, „საცა არ არს არც ტმუნვა და არც მწუნარება, არც ოხვრვა და არც გოდება“, თუ რომ არ გაჩენოდა მას კეთილი კაცი ა. კ., რომელმაც შეიბრალა მასწავლებელი და ერთი საყენი შეშა გამოუგზავნა და მეორე ლ. ხ., რომელიც გაეგზავნა მას ქუთაისში წამლის მოსატანად. ესეთივე გაჭირვება და სიცივე იყო ქუთაისის გუბერნიის დანარჩენ სკოლებშიც, მაგრამ სხვაგან მასწავლებლებმა მეტი პრაქტიკული ნიჭი გამოიჩინეს და საზამთროდ ბავშვები მთლად დაითხოვეს სკოლიდან. გეკითხებით ეხლა, მკითხველო, ასეთ პირობებში მეოთხე მასწავლებელმა ნუ თუ არ უნდა ეცადოს და არ მოინდომოს კიდევ განთავისუფლდეს ასეთის მდგომარეობისაგან?

ყოფილად შეუძლებელია ამ გვარს პირობებში, ესე იგი შიმშილსა და სიცივეში აღმანამა ასე თუ ისე კეთილ სინდისიერად წაიყვანოს ისეთი დიდი და მძიმე საქმე, როგორც არის ბავშვების აღზრდა-სწავლება. „ГДѢ-ЖЕ Выходъ изъ таково, по истинѣ грустнаго положенія?“ გულ ამოკენით და გოდებით წამოიძახებს ბოლოს ი. კაპანაძე.

სოფ. მასწ. ი. თავბერა. 11 თქ. 1881 წ.

სოფ. საჭილათ“.

ი. კაპანაძე, როგორ ზევით არა ვსთქვით 22 წელიწადს მასწავლებლობდა სოფ. საჭილაოში, სადაც მისის მაცადინებობით ერთკლასიანი სასწავლებელი მალე ორ

კლასიანად იქნა გადაკეთებული და თან შენობაც გადიდებული.

სკოლასთანავე დაარსა მან იმ დროს სრული ქართული ბიბლიოთეკა. კაპანაძე დადიოდა კარდაკარ და თითო ოროლა გროშს აგროვებდა ბიბლიოთეკის დასაარსებლად. მხნე მასწავლებელს თანამგრობიცი ბლომად აღმოუჩნდა; მოკლე ხანში შეაგროვა ასი მანეთი ბიბლიოთეკისათვის. ფულის მოგროვების შემდეგ კაპანაძემ სთხოვა განსვენებულს ი. გოგებაშვილს დახმარება გაეწია კარგი წიგნების არჩევაში. ბ. გოგებაშვილმაც დიდის სიამოვნებით შეუსრულა მას ეს წადილი და მალე დაკაზმული, ყველანაირი ხეირიანი ქართული წიგნი, რაც კი მაშინ მოიპოვებოდა (1884 წ.) გაუგზავნა კაპანაძეს ბიბლიოთეკისათვის. აქვე მოგვყავს განსვენებულის ი. გოგებაშვილის მიწერ-მოწერა კაპანაძისადმი. მეორე წერილიდან მკითხველი ნათლად დაინახავს თუ რა ავლადიდებას შეადგენდა ჩვენი მწერლობა 30 წლის წინად და მისი ღირებულება. და თუ დღეს ჩვენი ლიტერატურა შედარებით წიგნებით და ჟურნალ-გაზეთებით მდიდარია, ამაში უეჭველად სოფლის მასწავლებლებსაც მიუძღვით ღვაწლი.

ბატონო იასონ ლუკას ძევ! ეს არის ეხლა მივიღე თქვენი წერილი და ვჩქარობ ზასუხის მოცემას. ჩინებული საქმე განვიძრავთ. ბიბლიოთეკის დაარსება სასოფლო სკოლასთან მეტად სასარგებლო რამეა ვეველასათვის: სოფლისა, მოწაფეებისა და თვით მასწავლებლისათვის. უბიბლიოთეკოდ სასოფლო სკოლა, რაც უნდა მარჯვედ და ნაყოფიერად მიდიოდეს, მეტ-ნაკლებობით უძღურია და თავის მიზანს ვერ მიეწევა. თუ სკოლაში ნასწავლს ბავშვებს საკითხავი წიგნები არა აქვთ და მათით გურსის გათავების შემდეგ არ სარგებ-

ლობენ, სამს-ოთხს წელიწადს უკან ისევ და-
 ავიწელებათ, რაც სკოლაში უსწავლიათ და
 მადლობის მაგიერად სკოლას ცუდი სიტუციით
 მოიხსენიებენ, როგორც დაწესებულებას, რო-
 შელმაც ტუუილ-უბრალოდ სამი ოთხი წელი-
 წადი მოაგდინა და შრომის ფასი დაუკარგა.
 შე, რასაკვირველია დიდის საიმოვნებით მივი-
 დებ ამ მეტად კეთილ საქმეში მონაწილეობას
 და თქვენს თხოვნას ავასრულებ. მხოლოდ სა-
 ჭიროსა დანამდვილებით შემატყობინოთ, რა
 გვარი ბიბლიოთეკა გსურთ დაარსოთ, მარტო
 ქართული წიგნებისა, თუ გსურთ იმისთანა
 ზოგიერთა რუსული წიგნებიც ჩაურთოთ,
 რომელნიც საჭირონი და სასარგებლონი არიან
 მასწავლებლისათვის, აგრეთვე საჭიროა ვიცო-
 დე, სახალხო წიგნები უფრო სჭირთა თქვენი
 ბიბლიოთეკისათვის, თუ სუმაწვილო. ჩემის
 აზრით უკველი ხეირიანი წიგნი სუმაწვილო
 და სახალხო უნდა იყოს თქვენ ბიბლიოთეკაში
 ზოგი თითო-თითო ეგზემპლარი, ზოგი კი,
 უფრო საუკეთესო, ორ-ორი ეგზემპლარი;
 მასწავლებლისათვისაც რომ რამდენიმე საუკე-
 თესო რუსული ჰელაგოგური წიგნი იქნას
 მოზოგებული—ესეც კარგი იქნება. შემატყო-
 ბინეთ თქვენი აზრი დაწვრილებით და აგრე-
 თვე შეადგინეთ სია იმ წიგნებისა, რომელთაც
 თქვენ საჭიროდ რაცხთ თქვენი ბიბლიოთეკი-
 სათვის, ამითან ეგზემპლარების როდენო-
 ბაც უნდა დაასახელოთ. რაც თქვენ სიას აკლ-
 დება, იმას აქ შევავსებთ. წიგნები გაურჩევე-
 ლად არ უნდა იქმნას გამოწერილნი; ბიბლიო-
 თეკაში უნდა ადგილი მიეცეს მხოლოდ ჭაზ-
 რფანს, გონიერს და სასარგებლო წიგნებსა
 და ქართულსა და მავნებელი წიგნები, რა სა-
 კვირველია, შიგ არ უნდა შეიშვას. ფულის
 გამოგზავნაც შეიძლება ჩემს სახელზედ. სხვა
 და სხვა მდაზიებში ვიუილით წიგნებსა და
 გამოგზავნით დაუფიქრებლავ.

თქვენი კეთილის მეოფელი
იაკობ გოგებაშვილი.

17 მარტს. 1884 წელსა.

მეორე წერილი

მიღებულია 10 მაისს 1884 წ.

ბატონო იასონ ლუკას ძეგ! შევადგინეთ სია
 საბიბლიოთეკო წიგნებისა და აღმოჩნდა, რომ
მთელი ჩვენი სალიტერატურო სიმდიდ-
რის ფასი ყოფილა შვიდიოდე თუმანი.
 ასე, რომ სამი თუმანი ან ოცდა ხუთი მანე-
 თი ძირს დარჩება. წიგნების გამოგზავნას უკვე
 ვაპირებდით, როდესაც აზრით მოგვივიდა, რომ
 უედოთ გამოგზავნა მოუხერხებელია და მავნებე-
 ლი. უედო წიგნები მადე გაფუჭდება და სახ-
 მარებლად აღარ ევარგება. მაგრამ შეიძლება
 თქვენ თვითონ იცოდეთ უდის გადაკვრა და
 მანდ შეგეძლოთ წიგნების დაკაზმა. შეგვატყო-
 ბინეთ თქვენი აზრი და მამინ ან აქვე დავა-
 კაზმინებთ წიგნებსა და ან მანდ გამოგვიგზავ-
 ნით დაუკაზმებებსა. ცოტა გვიანდება; მაგრამ
 ბევრით ისა სჯობიან ერთი ორი კვირით გვიან
 გაკეთდეს საქმე, მაგრამ საფუძვლიანად, სა-
 შვილიშვილოთ, ვიდრე აჩქარებით და ქარა-
 ფშუტულად. თქვენს წერილს მოველი ჰირვე-
 ლივე ფოჩტით.

თქვენი კეთილის მოსურნე
იაკობ გოგებაშვილი.

თუმცა ი. კაპანაძე ასე გულმოდგინეთ
 ეკიდა აქ თავის საქმეს, მაგრამ ის ძლიე-
 რა სწუხდა, რომ მისი სამშობლო სოფელი
 უსკოლოდა რჩებოდა; აქ მასზე არავინა
 ზრუნავდა და ყოველთვის ეძებდა საუკე-
 თესო დროს, რომ მისი წადილი როგორ-
 მე განებორციელებინა.

საქილაოს დამპალიმა ცივებ-ცხელებამ
 ის იძულებული გახდა, განსვენებული
 ექიმის ს. თოფურისა რჩევით, რაჭაში,
 ნიკორწმინდის სასწავლებელში გადასუ-
 ლიყო. თუმცა მას აქ დიდხანს დარჩენა
 არ ეხერხებოდა, რადგან ერთი შვილი
 მისი ამ დროს ქუთაისში სწავლობდა და
 იქიდან ხელს ვერ აწვდენდა.

არც ნიკორწმინდაში დარჩენილა კაპა-

ნაძე საქმეზე გულგრილად, მისვლისათ-
ნავე თბილისის გამოფენაზე მიიღო მონა-
წილეობა, გამოუგზავნა იქიდგან სხვა და
სხვა ბოსტნეული, რომელიც სკოლის
ეზოში დახვდა, ბ. აგრონომი ჩხაიძის
მეოხებით გამზადებული. გამოფენამ სკო-
ლას ქებითი ფურცელი უძღვნა. პირველად
ნიკორწმინდაში კაპანაძემ აბრუნა მიწა
ნამყენ ვენახის საშინჯავათ.

გაზაფხულზე კაპანაძე შორაპნის მაზრა-
ში კიცხის სასწავლებელში გადმოვიდა,
თავის სოფლის მახლობლად.

კიცხში იმ დროს მოვიდა, როცა იქ
გლახობა აჯანყებოდა საუკეთესო მასწავ-
ლებელს შ. ტრ. ღამბაშიძეს ზოგიერთა
მღვდლის მეოხებით. ღამბაშიძეს ძლიერ-
ძლივობით გაესწრო და დაეხწია თავი
მღვდლების მიერ ამხედრებულ გლახები-
საგან.

სწავლება კაპანაძემ დაიწყო სოფლის
კანცელარიის ერთს ბნელს, ნესტიანსა და
ვიწრო ოთახში. მოწაფეების რიცხვი ჯერ
მარტო თორმეტამდე აღიოდა. ორ-სამ
თვეში მათი რიცხვი 70-დე ავიდა და კა-
პანაძემ მეორე მასწავლებელი მოითხოვა.
მალე ახალი სკოლის შენობაც დაამთავ-
რებინა და მოწაფეების რიცხვმა ერთი
ორად იმატა.

ი. კაპანაძემ აქაც მისვლისათნავე ყუ-
რადღება მიაქცია იმას, რომ ფილოქსე-
რისაგან მოსპობილი ვენახები ხელ-ახლა
აღედგინა ამერიკული ვაზის საშუალებით,
აშიტომ მან მიმართა თხოვნით საქარის
სანერგოს გამგეს ბ. სტაროსელსკის, რო-
მელიც შემდეგ ქუთაისის გუბერნატორად
იყო და სთხოვა დახმარებოდა სკოლასთან
ამერიკულ ვაზზე ნამყენი ვენახის გაშენე-
ბაში. მანაც აღუთქვა დახმარება. კაპანა-
ძემ მალე ნახევარ ქცევაზე მეტი მიწა გა-
დააბრუნა სკოლის ეზოში მოწაფეებისა და

დაქირავებული მუშების საშუალებით და
გაზაფხულზე სკოლასთან უკვე გაშენებუ-
ლი იყო მშენებელად ნახევარ ქცევაზე მე-
ტი ნამყენი ვენახი, რომელიც თვითონ
ბ. სტაროსელსკიმ ინახულა და ძლიერ
მოიწონა. მხოლოდ, როცა სტაროსელს-
კიმ სკოლის შენობა დაათვალიერა, კედ-
ლებისა და ჭერის ფარღალალოები დაი-
ნახა, დიდათ განცდიფრდა და სკოლის
ზედამხედველს ი. კაპანაძეს გაკვირვებით
შეეკითხა: „ნუ თუ ზამთარშიდაც აქ მე-
ცადინეობდი ბავშვებთანო? როგორ გა-
დაურჩით ზამთრის ყინვებსო?“..

ი. კაპანაძემ კიცხში როგორ კი მოაგ-
ვარა სკოლის საქმე და უშიშარი გახდა
მისი არსებობა საეკლესიო სკოლის გამგე
მღვდლებისაგან, მაშინვე გულმოდგინეთ
შეუდგა თავის სოფელშიც სკოლის გახ-
სნასა, თუმცა მან კარგად იცოდა, თუ
რა სიძნელე და გაჭირვება მოელოდა მას
აქ ამ საქმის კეთილად დაგვირგვინებისა-
თვის: თავად სოფელს არავინ მოეძეო-
და ისეთი გულშემატკივარი, რომ ამაზე
ეფიქრა და ეზრუნვა, მღვდლებიც და
სოფლის მწერალიც კი სულ გარეშე სოფ-
ლებიდგან იყვნენ მოსულნი, რადგან შიგ
სოფელში არავინ იყო ისეთი ნასწავლიც
კი, რომ მათი ადგილების დაჭერა შეძლე-
ბოდათ, და ეს მოსულებიც იმდენათ გა-
ნათლებული არ იყვნენ, რომ საზოგადო
საქმეზე ეღვაწნათ.

ერთხელ დირექციამაც კი სცადა გაეხ-
სნა აქ თავისი სკოლა, რისთვისაც კიდევ
გაგზავნა ყვირილის ორ-კლასიანი სასწავ-
ლებლის ზედამხედველი ბ. ო. იოსელიანი,
ყვირილის ბოქაულად ნამყოფი ბ. ა. წე-
რეთელი, ეხლანდელი მომრიგებელ-შუა-
მავალი, მაზრის მარშლითურთ, მაგრამ
ვერაფერი ვერ გააწყეს: სოფელს უარი

ათქმევინეს მღვდლებმა სამინისტრო სკოლის გახსნაზე.

ი. კაპანაძემ მიჰმართა ახლად დანიშნულს პოლიციის ბოქაულს ბ. ლ. ჩარკვიანს და სთხოვა გლეხების ყრილობა მოეხდინა ბოსლევის საზოგადოებაში შესახებ სამინისტრო სკოლის დაარსებისა. მასაც უარი არ უთქვამს. ყრილობა მოხდა სამი-ოთხი თვის შემდეგ საეკლესიო სკოლების გამგეების, ჩვენი სულიერი „მამების“ მოულოდნელად. მათგანი ყრილობას დაესწრო მხოლოდ ერთად ერთი მღვდელი ვ. ფერაძე, რომელიც ძლიერ გაეჯავრებიათ საეკლესიო სასწავლებლების საბჭოს განყოფილებაში, და ამიტომ არაფერს არ ზოგავდა, რომ მათთვის სამაგიერო მიეწყო. ამ მღვდლის დახმარებით და ბოქაულის ხანაგარბობით გლეხებმა ი. კაპანაძის წინადადებაზე ერთბაშად გამოიტანეს განაჩენი ორ-კლასიანი სამინისტრო სკოლის დაარსებისა აგრონომიულის განყოფილებით, სადაც მეტი ყურადღება ექნებოდა მიქცეული მევენახეობას, მეაბრეშუმეობასა და მეფუტკრეობას.

განაჩენი წარედგინა მაზრის უფროსს, რომელსაც უნდა წარედგინა დასამტკიცებლად გუბერნატორის წინაშე.

ეს გაიგეს თუ არა ზოგიერთა ჩვენმა სულიერმა მამებმა, ასტეხეს ერთი აურზაური. იმათ დაარწმუნეს გლეხები, რომ ი. კაპანაძეს ისინი მოუტყუებია და სრულებით დაუღუპავს, რადგან სამინისტრო სკოლის შენახვას ვერ შესძლებენ და ისედაც გალატაკებულნი ვითომდა მთლად გალატაკდებოდნენ ამ სკოლის დაარსებით. მაშინვე თავთავის მრევლში გლეხების კრება მოახდინეს და ხელ-ახალი განაჩენი გამოატანინეს იმის შესახებ, რომ გლეხები, ვითომ სრული კმაყოფილნი არიან თავთავის სამრევლო სკოლებისა, და ამიტომ

თხოულობდნენ სამინისტრო სკოლა აღარ გაეხსნათ მათთვის... ამ გვარი განაჩენი ორმა მღვდელმა მაშინვე აფრინა მაზრის საეკლესიო სკოლების მეთვალყურესთან და სთხოვეს შუამდგომლობა მაზრის უფროსთან, რომ მას ბოსლევში სამინისტრო სკოლის გახსნაზე აღარ ეზრუნა—მეთვალყურემაც დაუყოვნებლივ შეადგინა ამაზე თავის მხრივაც ერთი დიდი ეპისტოლე და მუხლ-მოდრეკით მიართვა მაზრის უფროსს, რომელსაც პირადადაც ძლიერ ემუდარებოდა, რომ ბოსლევში საეკლესიო სკოლები არ დაედუბნა სამინისტრო სკოლის გახსნით.

მაზრის უფროსმა შეიწყნარა მეთვალყურეს ხვეწნა-ვედრება და პირველი განაჩენი გლეხებისა უყურადღებოდ მიაგდო კანცელარიაში.

მთელი სამი წელიწადი სდია ი. კაპანაძემ ამ განაჩენის დამტკიცებას. სამი წლის შემდეგ როგორც იქნა დაამტკიცებინა გუბერნატორს, მაგრამ მხოლოდ ერთმა ღმერთმა უწყის რამდენი გაჭირვება, ზნეობრივი დამცირება გამოიარა მან ამ განაჩენის დამტკიცებისათვის.

მართალია სკოლის განაჩენი გუბერნატორმა დაამტკიცა, მაგრამ ნუ გგონიათ რომ მით ჩვენი საეკლესიო სკოლების გამგენი დაწყნარებულიყვნენ და შეეწყვიტოსთ ქვემძრიობა და მეძებრობა. ერთმა მათგანმა უსახელო „დანოსი“ აფრინა გუბერნატორთან ვითომ ი. კაპანაძე სახელმწიფოს დამქცევი იყოს, პირველი მოლატე სარწმუნოებისა, დამგმობი თვით ღმერთისაც და სხვა... დანიშნეს ჩუმი გამოძიება, მაგრამ ვერას გახდენ.

ი. კაპანაძეს არ უნდოდა ბოსლევში დანიშნულიყო მასწავლებლად, რომ არ ჰგონებოდათ, კაპანაძე თავისთვის ცდილობდა ბოსლევში სკოლის გახსნასო. მაგრამ

დირექციამ მესამეთ მისწერა კაპანაძეს, რომ ის გადასულიყო თავის სოფელში, ბოსლევში, რადგან აქ სხვა ვერაფერს გააკეთებდა... 1901 წელს ენკენისთვის 15 კაპანაძემ უკვე დაიჭირავა სკოლისთვის სახლი. მამასახლისის დახმარებით შეუკვეთა დ. ზესტაფონში ღურგალს მოწაფეების სტოლები, იწყო მოწაფეების მიღება და თვის ბოლოს სწავლაც გააჩაღა. მოწაფეების რიცხვი მალე 80-მდე ავიდა, რისთვისაც ი. კაპანაძემ მეორე მასწავლებელი მოითხოვა; საეკლესიო სკოლებში მოწაფეების რიცხვმა შესამჩნევად იკლო და ერთმა მთლად განუტევა სული. ამ გარემოებამ კიდევ ისე გააბრაზა ჩვენი სულიერმაშენებელი და იმდენად გადაამტერა ი. კაპანაძეს ზოგიერთა გლეხები, რომ მან და მისმა ცოლ-შვილმაც არ იცოდნენ ნაკლისებს დაბრუნდებოდა თუ არა იასონი შინ კოცხალი.

მაზრის უფროსმა ბ. ლაზარენკომაც კარგად იცოდა ეს ამბავი და ხშირად ეუბნებოდა სახალხო სკოლების ინსპექტორს: „კაპანაძე რომ მოჰკლან ბოსლევში—მე ხელდაბანილი ვიქნებო“ და თხოულობდა მის იქიდგან გადაყვანას. ინსპექტორმა კიდევ სცადა მისი გადაყვანა, მაგრამ ვერაფერ ვერ დაითანხმა ბოსლევის სასწავლებელში გადმოსვლაზე.

ერთად ერთი ნუგეში ი. კაპანაძისა ის იყო, რომ იგი მეტად შეიყვარეს მოწაფეებმა, რომლებიც ვერაფრით ვერ მოაშორეს მას, თუმცა ესეც კი ბევრი სცადეს. ერთხელ თურმე ერთი დედაკაცი გამოვარდა გარეთ, როცა დაინახა სკოლაში მიმავალი ბავშვები, მოიხსნა თავსაფარი, დაიჩოქა და ისე დაუწყო წყევლა მათ და მათ მასწავლებელს ი. კაპანაძეს, რომელიც ვითომდა აუტანელ ხარჯებში ავდებდა სკოლის გახსნით სოფლის გლეხებს. მო-

წაფეებმა უთხრეს ამ ქალს: „თუ შენ მეორეთ გაგიბედია კიდევ ჩვენი წყევლა, რევიოლვერით მოგკლავით“. მეორე დღეს თურმე მართლა ისევ დახვდა ბავშვებს ეს დედაკაცი და მასთან კიდევ ერთი სხვა და დაუწყო ბავშვებს წყევლა. ერთ მოზრდილ მოწაფეს სადღაც ცარიელ ბერდანის ტყვიის ბუდე ეშოვნა. მოეწყო ის ხეში პატარა დამბახისავით და გაეტენა თოფის წამლით. ქალმა დაიწყო თუ არა წყევლა, ბავშვმა უცებ ამოიღო თურმე მისი პატარა დამბახა, გაპკრა ასანთი და დაადო ფალიაზე, წამალმიფეთქა ხმამაღლა და აუშვა კომლი თოფივით. ქალს თურმე მართლა რევიოლვერი ეგონა, კვილით შევარდა მალე სახლში წყევლა-კრულივით, მაგრამ ამის შემდეგ აღარ დახვედრია ბავშვებს გზაში წყევლითა და გინებით... რასაკვირველია ეხლანდელ მასწავლებელს ამგვარი არაფერი შეხვდება, და ღმერთმაც ნუ შეახვედროს.

მიუხედავად იმისა, რომ ი. კაპანაძე აუტანელ პირობებში იყო ჩავარდნილი, ის მაინც არ ივიწყებდა სოფელს და სულ მის კეთილდღეობაზე ჰფიქრობდა და ზრუნავდა. სოფელს შუაზე სჭრიდა შავი ქვის რკინის გზა, შუაგულ სოფელში იყო სადგურიც აშენებული, მაგრამ ამ სადგურიდან ის საქონელს ვერ გაგზავნიდა და ვერც მიიღებდა, მაშინ როცა გლეხების ოფლით გაკეთებული სასოფლო გზა რკინის გზას გადაეყლაპა. (მზა-მზარეულ გზაზე გააგეს რელსები და ისე გაიყვანეს გზა თურმე). ი. კაპანაძემ აღძრა შუამდგომლობა ვისთანაც ჯერ იყო, პრესასაც მიაკცევია ყურადღება ამ უსამართლობაზე და სადგური გახსნეს ყოველგვარ საქონლის მისაღებად. რკინის გზას სოფელში ჰქონდა სადგური, იღვა სადგურზე ტელეგრაფის აპპარატიც, მაგრამ სოფელს ტელეგრაფის გაგზავნა რომ დაჭირებოდა,

ვერსად გაგზავნიდა და ვერც ვერავისაგან მიიღებდა. ი. კაპანაძემ ესეც მოახერხა და მალე დეპეშების მიღება და გადაცემა იწყეს; სხვა სადგურებზე, გარდა ქიატურისა და შორაპანისა, თუმცა დღესაც არ შეიძლება ესა. სადგურს შემნახველი კასსაც მოუპოვა და ურჩევდა ყველას, თუ ვისმეს ექნებოდა ფული, ცოტაც, იქ მიეზარებია და შეენახა შავი დღისათვის, რადგან ფული შინ ადვილად იხარჯება და იკარგებაო. ყველაზე მეტი სამსახური გაუწია მან სოფელს სადგურზე ფოსტის გახსნით, საიდგანაც ახლა ყველას შეუძლია ფულის გაგზავნა და მიღება, აგრეთვე შეკვეთილი ბარათების გაგზავნაცა, რისთვისაც წინად გლენს 20—15 ვერსის მანძილი უნდა გაეგლო, ქიატურაში ან ზესტაფონში უნდა ჩასულიყო, და ხშირად მას ორი დღე უნდა დაეკარგა.

სამი-ოთხი წლის შემდეგ ბოსლევში სასწავლებლის გახსნისა რამდენიმე გლე-

ხის შვილებმაც დაამთავრეს ორი კლასის კურსი და ორმა მათგანმა რკინის გზაში ამოჰყო თავი ტელეგრაფისტებად და დღეს ისინი ი. კაპანაძეზე ზეემეტ ჯამაგირს ლებულობენ ბევრად, ბევრად მასზედ უკეთესად, უკეთეს პირობებში სცხოვრობენ; ორმაც ამ ხუთი ექვსი წლის წინად სამოქალაქო სასწავლებელი გაათავა, მასწავლებლის ეგზამენები მისცეს და ისინიც დღეს ი. კაპანაძესავით მასწავლებლობენ; ერთი თავად მასთან არის და ერთიც ქიატურაში შავი ქვის სამრეწველო სკოლაში მსახურებს, კიდევ უკეთესს პირობებში, ვიდრე თვითონ ი. კაპანაძე. ზოგიც მისის რჩევით საშუალო სასწავლებლებში გადავიდა და მშვენიერ მოწაფეებად ითვლებიან, ზოგმა კიდევ დაამთავრა საშუალო სასწავლებელი და ახლა უნივერსიტეტში იმყოფებიან.

მეგობარი.

(დასასრულა იქნება)

ს ი ტ ყ ვ ა,

თქმული ტფილისის სათავად-აზნაურო ქართულს კერძო გიმნაზიაში სწავლის დაწყების წინ, 1914 წლის სექტემბრის 1.

ქმაწვილებო! დღეს თქვენ შეჰკრებილხართ აქა ღვთის კურთხევის გამოსათხოვად სწავლის დაწყების წინ. ღვთის კურთხევას მით უფრო ჰსაჭიროებთ, რომ ბევრი რამ გაქვსთ შესასწავლი და შესათვისებელი.

მართლაც, თქვენ უნდა შეისწავლოთ სჯული უფლისა, გარდმოცემული ღვთის მხილველ მამათმთავართა, წინასწარმეტყველთა და მოციქულთა მიერ.

ამასთან ერთად უნდა შეითვისოთ სჯული უფლისა—იგი, რომელიც შემოქმედმა წესად დაუდვა ბუნებას და რომლის ძა-

ლითაც მილიონობით ცის კამარაში მოციმციმე ვარსკვლავ-მნათობნი განაგრძობენ თავისებურ ცხოვრებას და არ ივიწყებენ, დაუმორჩილონ თავის გავლენას ხნიერი დედამიწაც.

მეტის დაკვირვებით უნდა შეისწავლოთ თავგადასავალი ამ ჩვენის სამკვიდრო დედამიწისა, მისი აწმყო და წარსული, მისი ადგილი ღვთის ქმნილებათა შორის და და წესები მისის არსებობისა, მინერალები და მეტალები, მცენარეები და ცხოველები, მწერები დაფრინველები, რომელიც ბიცი მოიპოებიან დედამიწის ზურგზედ და

მის გულში, ზღვის სიღრმეში და ჰაერთა სივრცეში.

განსაკუთრებით ყურადღებით უნდა შეისწავლოთ გვირგვინი ქმნილებისა—აღამიანი და მის მიერ აღბეჭდილი კვალი ცხოვრებისა: როგორ და რანაირად მოახერხა მან, ღვთის მიერ სამოთხით განდევნის შემდეგ, განეთავისუფლებინა თავი ბუნების მოვლენათა და მხეტიაე შიშისაგან, შეეცადა, პირიქით, მათ დამორჩილებას, სძლია ზღვა და ჰაერი, და დაადგა გზას, რათა ღვთის მიერ დანიშნულს მიზანს მოსწეოდა—გამხდარიყო უფლად და ბატონად ქვეყანასა ზედა.

თუ მიიღებთ მხედველობაში, რომ აღნიშნულის გარდა, კიდევ ბევრი რამ უნდა შეისწავლოთ, დამეთანხმებით, დიდი შრომა და მეცადინეობა გმართებს მომავალს სასწავლო წელში.

მერმე, ვინ უნდა შეგაძლებინოსთ ამოდენა შრომის ატანა და შეგიმსუბუქოთ მძიმე ტვირთი? ყველაზედ უწინ თქვენი მშველელი უნდა იყვნენ და არიან კიდევაც—მშობელი და მასწავლებელი,—თქვენს საკეთილდღეოდ ისინი არაფერს დაიშურებენ. მაგრამ არ უნდა დაივიწყოთ, რომ ჩვენც აღამიანები ვართ და ვსაქირობთ შეწვევასა და ძალის მოღებას ყოველთა მშობელისა, შემოქმედისა და მასწავლებელისაგან...

მაშ, საყვარელო, შევევედრნეთ ყოველნი მას, ტბილსა და სახიერს, მოგვანიჭოს ძალი და სიმხნე, ზაფხულის გამო შეწყვეტილის, სწავლის განგრძობისა და უმეტესის ცოდნის შეძენისა. ამინ.

დოქ. კ. ცინცაძე.

მიმართვა

ტფილისის ქართული გიმნაზიის მოსწავლეებისადმი

(ნათქვამი 9 ენკენისთვის)

შეწავილება! შე ვსთხოვე ჩემს თანაშემწეს, რომ შეეკრიბა აქ ვეკლას უფროსი კლასების მოსწავლეები. ჩემი განზრახვაა ვეკლას ერთად გაკეცნოთ და გაგაცნოთ ჩემი შესედელება იმ საქმეზე, რომელსაც ვემსახურებოდი აქ ერთს დროს და რომლის სამსახური ხელახლა ვიტვირთე.

თქვენ სწავლობთ გიმნაზიაში, სადაც ტარდა ქართულის ენისა, რომელიც აქ ერთი უმთავრეს საგანთაგანია, ვეკლას საგნები რუსულს ენაზე ისწავლება, და ჩვენც, თქვენი ხელმძღვანელები და აღმზრდელები, ხშირად უნდა გელაპარაკოთ რუსულს ენაზე, რომ იგივე ერთად ჩვენს დვიძეს ენასთან საფუძვლიანად შევასწავლოთ და შევიძლოთ შემდგომ სწავლის გაგრძობა წარმატებით რუსეთის მაღალ

სასწავლებლებში. მაგრამ მიუხედავად ამისა, რადგანაც ეს ქართული გიმნაზიაა და ამას გარდა მინდა გადმოგცეთ ჩემი აზრი ჩვენს საერთო დიდმნიშვნელოვანს საგანზე, არ შემოძლიან ამ შემთხვევაში სამშობლო ენაზე არ გამოგელაპარაკოთ. ეს აუცილებელი სულიერი მოთხოვნილება არის ჩემი, როგორც ქართველის კაცისა, მით უმეტეს, რომ დღეს ზირველი ნახაა თქვენი. სამშობლო ენა არის ის წმინდა, მეტად ნაზი ძაფები სულისა. რომელიც მასზე მოლაპარაკეთ ბუნებრივად აკავშირებს ერთმანეთთან, უხილავად აერთებს. სამშობლო ენაზე ნათქვამი დროად სწავლება მოსაუბრეთა გულს და იწვევს თანაგრძობას და აზრთა თანხმობას. მეც დარწმუნებული ვარ ვიპოვი თქვენს გულში კუნჭულს, რომელიც

ბანს მეტუვის და დამენმარება უმთავრესი საკითხის გარკვევაში.

რა საკითხია ეს საკითხი, რა საგანია, რომელსაც დიდს მნიშვნელობას ვაძლევთ და რომლისთვისაც ჩვენ ერთი გრძნობითა და ერთი აზრით უნდა ვიმოქმედოთ?

ეს არის სწავლა-აღზრდა ქართველ ყრმათა, რომელიც სწარმოებს ამ ჩინებულს შენობაში. მე, რომელსაც ბევრი სასწავლებელი მინახავს და უფრო დიდი ძვირფასი შენობანიც, კრძალვით შემოვლოდი ფეხი აქ. და, რასაკვირველია, კრძალვით ესე გამოაწვია არა შენობის სიდიდემ, არამედ იმ დანიშნულებამ, რა დანიშნულებაც აქვს ამ შენობას. ეს არის ტაძარი, სადაც მოზრდილი თაობა ემზადება მეცნიერებისათვის, სადაც იგი იარაღს იძენს ცხოვრების განკარგებისათვის. ეს არის ერთადერთი დიდი სასწავლებელი აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც უნდა იზრდებოდნენ ქართველნი იმ გრძნობითა და იმ მიმართულებით, რომელიც ეთანხმება ქართველი ერის საჭიროებათა. გიმნაზიები სხვებიც არის საქართველოს მიწაწვიაზე, მაგრამ მათ სულ სხვა წყობილობა აქვთ სწავლა-აღზრდისა, რადგან იქ იზრდებიან სხვა და სხვა ეროვნებათა შვილნი. იქ ყოველივე საერთო კალაპოტსკა მორგებული; ეროვნულ ინტერესებთან თანშეწონილობას მოსწავლეთა შემადგენელ ნაწილთათვის იმდენი ალაგი არა აქვს: ქართველი, რუსი, სომეხი, თათარი და სხვანი უგულვანი ერთს ჰროგრამას ემორჩილებიან, უგულვანი ერთსა და იმავე ჰედაგოგიურს ზომებს განიცდიან. ამგვარი მდგომარეობა უფრო ხელსაყრელია იმ ნაწილისათვის, რომელიც პატარაობიდანვე თავის სამშობლო ენაზე სწავლობს, სხვებისათვის კი ძნელია, რადგან ბუნებრივს განვითარებას, სულიერს ზრდას მათისას დაბრკალება ელბება წინ და ეკარგება ის სიმახვილე, რომელიც შესაძლებელია უფრო მაშინ, როდესაც მოსწავლე ეროვნულს

ინდივიდუალობას მოკლებული არ არის სწავლების დროს. აი ეს იყო მიზეზი, რომ ქართველობამ ორი თავისი საკუთარი გიმნაზია გაიჩინა — ერთი აღმოსავლეთის საქართველოში და მეორე დასავლეთში, და რამდენიმე სასწავლებელი სხვა ტიპისაც. აი აქ იწყება თვითმოქმედობა ქართველებისა განათლების საქმეში. ამ სასწავლებლებმა უნდა აღგვიზარდონ შთამომავლობა ჯანით სადი, გამოზრდილებული შრომაში, გონებით განვითარებული, საუკეთესო კაცობრიული გრძნობით აღძრულნი, სულითა და გულით ნამდვილი შვილნი ქართველის ერისა, სამშობლოს ერთგულნი თავგანწირულობადის და სასარგებლო საერთო მამულისათვის, რომლის შემადგენელ ერთა შორის ჩვენც შესაფერი საპატიო ადგილი უნდა გვეჭირვოს.

ამ დიხსებით უნდა აღჭურვოს ჩვენმა სკოლამ ქართველი, რომ მან ცხოვრების ასპარეზზე ბრძოლა არ წააცოს და გზა ცხოვრებისა სხვას არ დაუთმოს, არ დაკარგოს თავისი კეკლეუცი სამშობლო, რომლის დაცვისათვის ორი ათას წელიზე მეტია მუდამ სისხლის ღვრაში და წამებული იყო ქართველი ერი. დიად, უნდა აღჭურვოს ამ დიხსებით და ამისათვის აუცილებლად საჭიროა სწორი აღზრდა, ნამდვილი განათლება, ტექნიკური გამდიდრება გონების მეცნიერულის ცოდნით და გაწრთვნა საქმიანობაში, შრომაში; ოფლით მოპოება საჭირო ყოველის ცოდნისა და ამასთანავე შეძენილის ცოდნის გამოყენებისა. ერთად ერთი გზა ადამიანის სწორი განვითარებისთვისა სთქვა ცნობილმა ევროპეულმა ჰედაგოგმა ფრებელმა, არის მოქმედება, საქმიანობა, რომლის ნიჭი ბუნებამ თან ჩააქსოვა ადამიანს გაჩენის დროსა; საქმიანობა კანონია ადამიანის ბუნების განვითარებისა. ეს ბუნებრივი ნიჭი ჩვენ უნდა ვავარჯიშოთ, ვამუშაოთ და განვავითაროთ. განვითარება ადამიანისა, გვასწავლის მეორე გამოჩენილი ევ-

რობიელი ჰეაგოკი დისტრეგეკი, თვინიერ მისის თვითმკაქმედებისა შეუძლებელიაო, რაც უნდა შრომა გასწიოთ მონაფისათვის, როგორც გინდა აუხსნა და განუმარტო საკითხი, თუ მას თითონ შინაგანი ინტერესები არა აქვს, თუ თითონაც მონდომებული არ არის და თავის ნდომას არ ახორციელებს საკუთარის თვითმკაქმედებით, პირადის შრომით, მისი განვიტარება, მისი წინსვლა უოვლად შეუძლებელიაო.


ნათქვამიდან ცხადია, ყმაწვილებო, რა არის საჭირო, რომ განვითარდეთ, აღიჭურვოთ გულტურული ძალებით და იქნეთ გამოსადეგნი სამშობლოსათვის: პირველია გულისათადო ნდობა, ძლიერი წადილი განვითარებისა, ცოდნის შეძენისა და მეორე, ურთმლისოდ პირველი უნაყოფია, თვითმკაქმედება არის, განხორციელება გულისათადის სურვილისა, რისთვისაც საჭიროა დაუზარებელი უოვლადღიური ენერგიული შრომა, შრომა და კიდევ შრომა. სხვით ნურათვით ნუ ვინუგეშებთ თავს: ამას შევეხვეწებო, ეს დამიწერს რასმე, იმას- ვსთხოვ, რომ დამეხმაროს და სხვა ამგვარი საშუალება ამოა, ფუჭია. მაშ სხვისი იმედით ნუ ვიქნებით. საკადრისი არ არის ამ გზით რომელი-სამე უფლებების ხელში ჩაგდება, ეს არ შეეფერება ვარგის ზნეობის ადამიანს; ეს მათხოვრობაა, დამცირებაა თავის ღირსებისა. დმერთს ნიჭი მოუცია ჩვენთვის, ჯანი გვაქვს და სხვას არ უნდა ვეხვეწებოდეთ მიშველეთ. რად ვარგა სამშობლოსათვის ის, ვინც თან არ შეიზარდა, არ შეიხორცა შრომა და ცოდნაც ოფლით არ მოიპოვა? ის ხომ ცნობრებაშიაც ვერ გამოიჩენს თვითმკაქმედებას და ენერგიას? რას არგებს ქვეყანას მირტო ქადალდი, რომელსაც ატესტატსა და დიპლომს ეძახიან? რა მადამოს დასდებს ჩვენი სამშობლოს წუღუნებს უსულო ქადალდი? ნუ თუ ისურვებს ვინმე ამისთანა უაღბი იარადით ემსახუროს სამშობლოს? იმედი მაქვს, უოველი თქვენგანი დაჭ-

გმობს ამგვარს იარადს, როგორც ადამიანის ღირსების დამცირებულს და საბოლოოდ დამღუპულს.

ვიქნითთ ყმაწვილებო, ფაქიზი თავმოყვარეობა! ნუ გვინდა, ნუ ვიგუებთ ნურათვრს, რაც სახელს გაუტეხს ქართული გიმნაზიის მოსწავლეს, რაც ცუდს რასმე ათქმევინებს ვისმე ქართველობაზე! თვალნი უოველთან თქვენდამი არიან მოპურობილნი და ნუ შეგრცხვებით! დაე საღმერთო ვაჟად ითვლებოდეს ჩვენი გიმნაზიის უოველი მოწაფისათვის, რომ მისმა უსაქმიანობამ, მისმა რომელიმე შეუფერებელმა საქციელმა გიმნაზიაში თუ გიმნაზიას გარეშე, სადაც კი არსებულის წესით ნება ეძლევა უოფნისა, არ შეარცხვინოს მისი დედა სასწავლებელი, ეს გიმნაზია. „ავი შვილი დედ-მამის მაგინებელიაო“, თქმულა ქართულად. სრული საფუძვლი მქვს ეს თქმულება გავაგრცვლო ჩვენს გიმნაზიაზე და ვსთქვა: „ავი მოსწავლე ქართველი დედ-მამის მაგინებელიც იქნება და სამშობლოს ორგულიც“. მაგრამ აკეთობა თქვენ და თქვენს უმცროს ამხანაგებს დმერთმა გამოაროსთ! შესახებ უმცროსი ამხანაგებისა კი უნდა გითხრათ, რომ მათს ზნეობრივს აღზრდაში თქვენც მონაწილეობა უნდა შიიღოთ და დავგვზმაროთ თქვენის სამაგალითო უოფა-ქცევით, რაშიაც იგინი უაჭველად წაგბაძვენ.

ეცადეთ, ძვირფასნო, იხელმძღვანელო ჩვენის მამობრივის დარიგებით, ჩვენის რჩევით! გულის ფიცარზე წაუშლელად იქნით, რაც გითხარით. იმედი მაქვს არ შეუარცხუოთ თქვენს ქართველურს თავმოყვარეობას და სხვა სასწავლებელთა მოწაფეთ არ ჩამოჩებით უკან. მაშინ აღიზრდებით მშობელთა სანუგეშოდ, სანუგეშოდ ძვირფასის ჩვენის სამშობლოსა და სასარგებლო მოქალაქეებად მამულისათვის.

ალ. ჭიჭინაძე.



დიდებული საქმე

(ქართველ მასწავლებელთა საგულისხმოდ)*

ვედაგოგიურ ჟურნალ „განათლებაში“ ამა წლის ივნისის ნომერში მოთავსებულია პატარა, მაგრამ ფრიად საყურადღებო წერილი პატივცემული მასწავლებლის ი. გომელაურისა, სათაურით: „დიდი ადამიანის შესაფერი ძეგლი“. ავტორი თავის წერილში იხსენიებს რა თავდადებული იაკობ გოგებაშვილის ქართული სკოლისათვის მზრუნველობასა და ღვაწლს, ეხება განსვენებულის ძეგლის საკითხს და გამოსთქვამს აზრსა და სურვილს, რომ იმის წიგნებზე აღზრდილმა ქართველობამ და განსაკუთრებით მასწავლებლობამ ასეთ ღირებულ ადამიანს უნდა დაუდგას ღირსეული ძეგლი, რომელიც გამოიხატება


*) ვუჭდავთ ამ პატარა, მაგრამ საყურადღებო შენიშვნას. „განათლების“ რედაქცია სიამოვნებით მიიღებს ამ საქმისათვის შეწირულობას განსვენებულის ჰედავგის იაკობ გოგებაშვილის სხენების პატივისცემულად, გადასცემს ქ. შ. წერა-კითხ. გამ. სასოგადოებას დასახულის მიზნისთვის და შემომწირველთა სიასაც უოგულ ნომერში გამადაცხადებს. ამას წინადა რედაქციამ 7 მან. და ათი შაური მიიღო ჩონატორის რაონის მასწავლებელთაგან იმ მიზნით, რომ ეს ფული რედაქციის შენეღულობით რაიმე საქმეზე მოგვეხმარა. ჩვენის აზრით ამაზე უკეთესს საქმეს იმ ფულს სხვას ვერ მოვახმართ და ამიტომ გადავცემთ გოგებაშვილის სხენელის სამასწავლებლო სახლის ფონდს.

რედ.

შემდეგში: ტფილისში სააზნაურო გიმნაზიის მახლობლად განსვენებული იაკობის მიერ დატოვებულ ადგილზე იმის სახსოვრად უნდა აშენდეს ისეთი სამასწავლებლო სახლი, როგორც არის მოსკოვში და როგორის აშენებასაც აპირებენ პედროგორადში უშინსკის სახელზე. ჩემის მზრით აღტაცებით ვეგებები ავტორის აზრს და სასურველია, რომ მომავალში საშუალო, დაბალი და სახალხო სასწავლებელთა ქართველი მასწავლებლები წერა-კითხვის გამეგობის თაონონობით შეუდგებოდნენ ამ აზრის განხორციელებას, რაც იქნება დიდებული საქმე. ფული უნდა შეიკრიბოს შეწირულობით; თვითეულმა მასწავლებელმა უნდა გამოიღოს მაინც არა ნაკლებ სამი მანეთისა ერთ დროულად, ვისაც შეძლება და სურვილი ექნება, რასაც კვირველია, მეტს შესწირავს. აგრეთვე გამოჩნდებიან ქართველი ქველმოქმედნი, რომელნიც არ დაიშურებენ ჩვეულებრივ თავიანთ წვლილს ასეთი კეთილი საქმისათვის.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქართველი მასწავლებლები, როგორც სამინისტრო, ისე სასულიერო უწყებათა სიამოვნებით და თანაგრძნობით შეეგებებიან ამ აზრს თანახმად ავტორის სიტყვებისა შესაფერისს ძეგლს დაუდგამენ ღირსეულ ადამიანს. („სახ. ფ.“).

ლალო ბზვანელი.



ქვედა-დიმის სკოლის ექსკურსია

ღღეს საზოგადოება დიდს ყურადღებას აქცევს ჩვენი ქვეყნის შესასწავლათ მოწყობილ სხვა და სხვა ექსკურსიებს, მეტი ხალისით ეკიდება მას, მაგრამ ეს საქმე ჯერ-ჯერობით ისე არ არის დაყენებული, როგორც ამას საჭიროება მოითხოვს; სულ ცოტა ყურადღება აქვს მიქცეული სოფლის სკოლების ექსკურსიას და ეს კი, ჩემის ფიქრით დიდი შეცდომა არის, რადგანაც საჭიროა ბავშვს, მომავალ მოქალაქეს, ახლავე ჩაუნერგოთ სიყვარული ამ დიადი საქმისათვის.

ერთ ამნაირ ექსკურსიაზე, რომელიც მოაწყო ქვედა-დიმის სასწავლებელმა, მინდა მივაქციო საზოგადოების ყურადღება. ექსკურსია, რომელიც შესდგებოდა 30 კაცისაგან: 3 ხელმძღვანელი მასწავლებ-

ლის: თორნიკე გეგეშიძის, გოგუცა ნიჟარაძის ქალის და სეფე გოცაძისაგან და 27 მოსწავლე ქალ-ვაჟისაგან, გამოვიდა დიმიდგან 8 ივნისს, დილის 6 საათზე. ეს ექსკურსია იყო პირველი მაგალითი ჩვენი სკოლის ცხოვრებიდან, ამიტომ ხელმძღვანელნი მეტის ყურადღებით ეკიდებოდნენ მას და სოფლელნიც მეტი განცვიფრებით შესცქეროდნენ მას. ექსკურსიას სადგურ რიონამდის 11 ვერსი უნდა გაეარათ ფეხით, მაგრამ, რადგანაც ამინდმა პირი იცვალა ბავშვებს დილაზე დახვდათ ერთი დიდი დელეჟანი, რომელიც გაჰყვლილია ჩვენი ბავშვებით, დიდებულ სურათს წარმოადგენდა, მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდათ და მათი მხიარული გზგუნი არემარეს აღვიძებდა. ექსკურსია სად. რიონ-



ქვედა-დიმის სკოლის ექსკურსია.

ნიდგან პირდაპირ ტყიბულისაკენ უნდა გამგზავრებულიყო იქაური ქვანახშირის წარმოების დასათვალისწინებლათ, მაგრამ, რადგანაც მატარებლის გასვლამდის ქუთაისიდან დრო ბევრი იყო, მან შეუხზია ქუთაისში და დაათვალიერა არქიელის გორა, დიდებული ნაშთი ბაგრატიის ტაძრის, ციხის ნანგრევები, არ შეუშინდა წვიმას, ჩამოიარა ძველი გვირაბი, დაათვალიერა სამეურნეო სასწავლებლის ბაღი, გადაიღო სურათი და გაუდგა საღამოს ტყიბულისაკენ გზას; ყოველივე ნახულით ბავშვები განცვიფრებულნი იყვნენ, ხედავდნენ ეხლა უფრო ცხადად, რომ ისინი ტყვილა დროს გასატარებლად არ იყვნენ წამოსულნი და მეტი ხალისით ათვალიერებდნენ გზა და გზა შესანიშნავ ადგილებს: მოწამეთისა და გელათის მონასტრებს, წყალ-წითელას, რომელიც სწორეთ მაშინ ამღვრეულიყო და მართლა წითლად გამოიყურებოდა, და სხვ... ღამე ტყიბულის სასწავლებელში გავათიეთ, ბავშვები, როგორც თავის სახლში ისე გრძნობდნენ თავს და კარგი დასვენების შემდეგ 9 ივნისს შეუდგეთ ქვანახშირის წარმოების დათვალიერებას, მაგრამ აქ ბევრი დაბრკოლება გადაგველობა წინ, რომელთაგანაც ერთი ის არის, რომ „ნახშირა“, სადაც წარმოებაა, დაშორებულია სადგურზე 5 ვერსის მანძილით და ამდენი გზის გავლა ფეხით შეუძლებელი შეიქმნა, რადგანაც კოკის პირული წვიმა იყო, ვაგონი კი მხოლოდ ტყიბულის სადგურამდის გვექონდა დათმობილი, მეორე დაბრკოლება იყო ის, რომ ბავშვების ექსკურსიებს მაღაროების დასათვალიერებლად არ უშვებდნენ, ამას გვეუბნებოდნენ ხელცარიელი დაბრუნებული ბავშვების ექსკურსიე-

ბი: როკითის, კვახჭირის და სხვა, მაგრამ ადგილობრივი სადგურის უფროსის, მაღაროების კანტორის გამგის თავე. სიმონ ნიჭარაძის და ადგილობრივ სკოლის მასწავლებლის აკაკი ცერცვაძის კეთილშობილური დახმარებით—ექსკურსიამ თავის საწიდელს მიადწია: ჩვენ დიგვითმეს ნახშირამდის საქონლის ვაგონი და ბ. სიმონ ნიჭარაძე ყველგან თავისი ფეხით დაგვეყვებოდა და გვაძლევდა შესაფერისს განმარტებას და დარიგებას; სწორეთ ეს ზემო აღნიშნულნი პირნი არიან იმის მიზეზი, რომ ჩვენ სხვებივით მიზანს მიუღწევდნენ არ დავბრუნდით უკან, რისთვისაც ისინი დიდი მადლობის ღირსნი არიან.

9 ივნისს საღამოს ქუთაისში ვიყავით სასტუმრო „ლონდონ“-ში და რამდენადაც შეიძლებოდა ათ ივნისს შეუდგეთ ქუთაისის დათვალიერებას. დავათვალიერეთ ყველა ტაძარი, თეატრები, სტამბა, ბაღები და სხვა შესანიშნავი ადგილები. თუმცა გადაწყვეტილი გვექონდა ექსკურსია გათავებულიყო 11 ივნისს ანანოვის წარმოების დათვალიერებით აჯამეთში, მაგრამ ხელმძღვანელებმა საჭიროდ დაინახეს ექსკურსია დაბრუნებულიყო უკან 10 ივნისს საღამოს 10 სათზე; ამ ნაირათ ექსკურსია გაგრძელდა 3 დღეს, თვითეულს დაუჯდა ექვსი აბაზი და დასტოვა მათ გულში იმისთანა შთაბეჭდილება, რომელიც არ აღმოიფხვრება მათ გულიდან, ვიდრე ისინი ცოცხალნი იქნებიან. აღფრთოვანება სხვა და სხვა სანახავებით ავიწყებდათ მათ ყოველ გასაჭირს; თუმცა ხშირად ამინდი ხელს არ გვიწყობდა, მაგრამ ექსკურსია მაინც გაბედულათ მიიწვედა წინ თავისი მიზნის მისაღწევათ და თამამად შემოძლია ვთქვა, რომ ექსკურ-

სია მეტათ ნაყოფიერი გამოდგა, ბავშვებიც მომზადებულნი დახედნენ მას და დაბრუნებისას, როგორც ისინი ისე მათი მშობლები დიდი მადლობით აჯილდოებ-

დენ მის ხელმძღვანელ — მასწავლებლებს, რომელთაც არ დაიზარეს და ეს ექსკურსია მოაწყვეს.

თ. ჯყონდიდელი.



ბიბლიოგრაფია

Петръ Миріанишвили. Практическій курсъ грузинскаго языка. მეორე გამოცემა გასწორებული და შევსებული. ტფილისი 1914 წ. ფასი 15 შაური.

მთხზენილება ისეთის წიგნისა, რომელიდანაც ქართული ენის შესწავლა შეეძლოს უკეთეს უცხოელს, დღითი დღე იზრდება და ასეთი წიგნის საჭიროებაც დიდი ხანია აღსარებულია, მაგრამ, უეჭველია, ზოგიერთი ასეთი წიგნის შედგენას იმ აზრითაც ურიდება, რომ წიგნზე დასარჯულს ფუფუნს დროზე ვერ აინაზღაურებს და შეიძლება ნივთიერად დაზარალებს კიდევ. ასეთი წიგნი ჩვენს მწერლობაში პირველად ბ-ნი მ. ნასიძემ შეადგინა, მაგრამ მისი წიგნი დღეს გასაყიდად არ მოიძებნება და უნდა მოკახსენოთ უნაკლულად არც ის იყო. ბ-ნი ნასიძეს მიჭვევა ბ-ნი ჰეტრე მირიანიშვილი, რომელმაც პირველად მოზრდილი წიგნი დაჭბეჭდა, რომლის მეორე გამოცემა უფრო შევსებული და, როგორც თვითონ ბ-ნი ჰეტრე ბრძანებს, „შესწორებული“ გამოსცა წელს. ბ-ნი ჰეტრეს ნაშრომი საუურადღებოა მრავალის მხრით, რადგანაც შიგადა შიგ მრავალი ორიგინალობა გამოსჭვივის, რომელსაც მკითხველი შეიძლება არც-კი დაეთანხმოს.

პირადად ამ ნაშრომის გადაშინჯვამ ჩვენზე ასეთი შთაბეჭდილება მოახდინა: ბ-ნი ჰეტრეს ორიგინალური მეთოდი, რომელიც ცნობილ

მარგოს მეთოდს უფრო მოკავშირებს, დღევანდელ ენათა შესწავლაში დაწინაურებულია. ბ. ჰეტრეს პრაქტიკულ კურსით ვინც ქართულის შესწავლას მოიწადინებს, თავდაპირველად უნდა გაიზიაროს თავიდან ბოლომდე უკეთეს ქართული ასო და შემდეგ შეუდგეს კითხვას, ეს-კი ძველის ძველი მამაპაპური მეთოდია, მეხსიერების მომქანცველი და ხაღის მკალებული. უკეთესი იქნებოდა ანბანი შეესწავლებინათ თვით საკითხავ მასალაში, პირველად ადგილზე მოექცია საზოგადო საერთო ხმები და ბოლოში ის ხმები, რომელიც ქართული ენის დამახასიათებელია, მაშინ ასეთს უაზრო მარცვლებს, რაკარიცაა **თა, თე, თი, თო, თუ, ფა, ფე, ფი, ფო, ფუ** ან **ყა, ყე, ყი, ყო, ყუ** და სხვა ადგილი არ ექნებოდა და ამ ასოების შესათვარი საკითხავი მასალაც უფრო აზრიანს სიტყვებში და წინადადებებში მოექცეოდა.

ბ-ნი ჰეტრეს ზმნები **ყოფა-ДѢЛАТЬ**, (**БЫТЬ-ვჭყოფ, ჰყოფ, ჰყოფს, ვჭყოფთ, ჰყოფთ, ჰყოფენ** უსათუოდ გაყოფასაც ნიშნავს), **ქმნა-ДѢЛАТЬ**, **ქმნა-ИМѢТЬ**, **ყოფა-ИМѢТЬ** შემწეობითი ზმნებად მოუნათლავს. ქართულს გრამატიკაში-კი დღემდის ერთად ერთი ზმნა **ვარ** იყო ცნობილი შემწეობითად, რადგანაც სწორედ ეს ზმნა თითქმის ყოველ ზმნას ეხმარება მიმოხრაში; ზმნებიც **ვჭყოფ, ვყოფ, ვყოფინებ, ვყოფინებინებ** და სხვა შემწეობითი

ფშინისკან არიან შემდგარი. ფშნები მავს (ნივთი) და მუავს (სუღდგმული) სრულიად განცალკევებულნი არიან და მათი შემწეობით ფშნად მონათვლა ეწინააღმდეგება შემწეობითი ფშნის ცნებას.

ფშნების მიმოხრის დროს ბ-ნ ჰეტრეს ნა-ჩვენები აქვს, რომ წყობა, კერვა, უვარვა, აესვა, წურვა, თმენა, წოვა, სვმა, რტმა, დგმა, სმა და სხვა და სხვა ფშნის განუსაზღვრელი კილოთა (неопределенное наклонение); სხვა ქართული გრამატიკისებო ამას სახელფშნას უძახიან, ე. ი. არ უნდათ მოიმდურონ არც სახელი და არც ფშნა და ამობენ, როგორც სახელი იბრუნვის, როგორც ფშნა მიმოხრის, მაგრამ ჩვენის აზრით უველანი შემდგარნი არიან და არც ჰეტრეა მართალი. ქართულ ენას არ აქვს ისეთი კილო, რომლითაც საგნის მოქმედება ან მდგომარეობა დროისა, რიცხვისა და პირის გარეშე, დაუსახლებლად წარმოითქმოდეს, იგი ყოველთვის მოქმედებას ვისმე მათუჩენს ხელმე. თუ მოქმედება ანუ ვითარება საგანს გარეშე წარმოადგინების, მაშინ იგი არც მოქმედებაა და არც ვითარება, არამედ განუებულა საგანია. ქართულ ხალხს საგნის მოქმედებაც-კი საგნის გარეშე, განუებულად წარმოადგინია და ამ წარმოდგენისათვის განუებული სახელი უწოდებია: მუშაობა, წერა, ხვნა. სიწითლე, დურგლობა, ვაჭრობა და სხ. ქართული ენის სიმდიდრე სხვათა. შორის იმაშიც გამოიხატება, რომ თვითეული სახელი შეიძლება ფშნად გადაიქცეს და ფშნა არსებით სახელად. ამიტომ ფშნიდან წარმომდგარი სახელფშნები უფრო განუებული საგნებია და არა სახელფშნა და არც განუსაზღვრელი კილო ფშნისა, როგორც ამას ბ-ნი ჰეტრე უწოდებს.

ამ წიგნში მოთავსებული საუბრები, მოთხრობები, არაკები და ღექსები შინაარსის მხრით მშვენიერ საქრისტიმობითა მასალას შეიცავს. წიგნის ბოლოში ჩართულია ხუცური ანბანი,

საკითხავი მასალა ხუცური კითხვის შესასწავლი და ქართული ქრონიკონის განმარტება; ერთიც და მეორეც ფრად საჭიროა ჩვენი წარსული ისტორიისა და ლიტერატურის მკვლევართათვის, რომელთა რიცხვი უცხო ერებშიაც დღითი დღე მატულობს.

მიუხედავად ზემოაღნიშნულის მდიროვანი ნაკლისა ბ-ნი პ. მირიანიშვილის ნაშრომი მაინც სარგებლობას მოუტანს იმას, ვისთვისაც დანიშნულია.



Отто Липманъ. Очеркъ психологiи для педагоговъ, изд. журн. „Обновленiе школы“.

რუსული ჟურნალი „Обновление школы“ დიდს უურადლებას აქცევს აწინდელ ჰედაგოგიკისა და სასკოლო ჰიგიენის საკითხებს. ეს წიგნაკი, რომლის სათაურიც ზემოთ ამოვწერეთ, შეადგენს გერმანულიდან თარგმანს ა. ზანინიაციის რედაქციით. წიგნაკში მარტივად გაკვეთულია ბავშვის ფსიხოლოგია, რომელიც შეადგენს ჰედაგოგიკის საფუძველს, შედეგები ფსიხოლოგიურის ექსპერიმენტებისა. როგორც სათაურიდანაა სჩანს, წიგნაკი ჰედაგოგებისათვის არის დანიშნული და მართლაც მისი წაკითხვით მასწავლებელი ბევრს ახალს და საჭირო ცნობებს შეიძენს ბავშვის სულიერის ცხოვრებიდან. წიგნაკი, რომელიც 100-ზე მეტს გვერდს შეიცავს, ცხრა ჰურად ღირს.



Н. Е. Румянцевъ. Проблема полового воспитанiя съ психологической точки зрѣнiя. Изданiе журн. „Обновленiе школы“.

ამ წიგნში დალაგებით და მეცნიერულად არის განხილული სქესობრივი საკითხი ფსიხოლოგიურის თვალსაზრისით. ავტორს ბევრი უწერია ამ საკითხის შესახებ სხვა და სხვა

ჟურნალებში და ბეჭდვან უკითხავს საჯარო
 ლექციებიც. ბ-ნი რუმინდელი მომხრეა აუსხნან
 ბავშვებს სქესობრივი საკითხი, ნაცვლად სი-
 ჩუმისა ამ საკნის შესახებ, რასაც დღემდის
 სჩადიდენ, მაგრამ ამსთანავე ბავშვებთან
 საუბარი სქესობრივი საკითხის შესახებ არც
 ადვილ საქმედ მიაჩნია, როგორც ბეგრს სხეებს
 და მასთან საკითხი ისეთი რთული და სერიო-
 ზულია, რომ მარტო საუბრებით არა რა გა-
 მოდინება. წიგნში მოყვანილია ვეულა გამო-
 ჩინილი მეცნიერების აზრი სქესობრივი აღზრ-
 დის შესახებ რომელთა უმრავლესობა უჩვენებს
 საუბრის გამართვას მცენარეთა გამრავლების
 შესახებ, შემდეგ ცხოველებზე და ბოლოს
 ადამიანზე. წიგნში ნაჩვენებია აგრეთვე მთელი
 საუკეთესო ლიტერატურა, რომელიც ამავე
 საკითხს არკვევს. წიგნი დირს ექვსი შურნი.



**Ц. Балталонъ. Хрестоматическая сис-
 тема и новые методы. Изд. журн.
 „Обновление школы“.**


ცეზარ ჰავლეს ძე ბალტალონი, რომელიც
 კარდაიცვალა შარშან 27 იანვარს ერთი წარ-
 ჩინებული მებრძოლი იყო აწინდელი სკოლის
 განახლებისათვის. მისმა ექსპერიმენტალურმა გა-
 მოკვლევამ ბავშვების კითხვების შესახებ მთლად
 მოსპო სწავლების ქრესტომატიული სისტემა.
 უშინსკისა და ტოლსტოის შემდეგ რუსების
 ჰედაგოგთა შორის ისეთი სერიოზული და
 მეცნიერულად დასაბუთებული ნაშრომი იშვია-
 თია, როგორც განსვენებული ც. ბალტალონის
 „საადამიანური კითხვა“, „საკლასო კითხვუ-
 ბის მოწყობა“, „კოლექტიური კითხვების მე-

თლი“ და „თხზულებანი სურათებზე“. ვეუ-
 ლა ეს წერილები მოთავსებულია ამ წიგნში.
 ბალტალონის აზრს იზიარებს ამ ჟამად მთე-
 ლი შკენებელი მასწავლებლობა. ქალაქის სკო-
 ლების მასწავლებელთა პირველმა კრებამ და
 საზოგადო ერთობათა სკოლების მასწავლებელ-
 თა ურილობამ დაადგინა ქრესტომატიის სწავ-
 ლებიდან გადავიდნენ პირდაპირ სიტუვის ცოც-
 ხალ წყაროს შესწავლაზე, საბავშვო მხატვრულ
 ლიტერატურის ნაწარმებზე „მთელი ოთხი
 წლის სწავლების განმავლობაში, დასაწყისს
 სკოლებში ბავშვი დედა-ენის ტაკეთილებზე
 უნდა სწავლობდნენ შერჩეულს სამეცნიერო-
 პოპულარულს და მხატვრულს საბავშვო მთლიან
 ნაწარმებს, რომელიც მისაწვდენი იქნება
 ბავშვების გონებისათვის“.

მართლაც ქრესტომატია ბავშვებს არ უე-
 ვასთ, კადგანაც იგი უკლავს მათ ცხოველ-
 ხლის წიგნების კითხვისას და შინაარსითაც
 არ ეგუება ბავშვების სულის მოთხოვნილე-
 ბას.

საზოგადოთ ვეულა მასწავლებელი, რომე-
 ლიც-კი ზრუნავს ახალი სული და მიმართუ-
 ლება შეიტანოს სწავლების სისტემაში, მოვა-
 ლეა დაკვირვებით გაიცნოს შესანიშნავი ჰედა-
 გოგის ბალტალონის აზრები. წიგნში ჩართუ-
 ლია სურათი ამ მებრძოლ მოწინავე მეცნიერ
 ჰედაგოგისა და მისი ბიოგრაფია, დაწერილია
 აღექვსანდრე ზანინიავის მიერ.

რედაქტორ-გამომცემელი
 ლ. გ. ბოცვაძე.



სნობები

ქ. შ. წერს-პითხვის გამავრსელებ. საზოგადოების მოქმედებისა.

ქ. შ. წ.კ. .კამ. საზ. 1914 წლის შემოსავალ-გასავლის
სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა

შემოსავალი:

1. საწევრო გადასახადი	1200—
2. ეულაბებით შეკრფილი	70—
3. სეიანობიდან	1000—
4. კონტერტით	400—
5. განყოფილებათა შემოსავლის 20%	1200—
6. დ. შ. სარაჯიშვილის კანტორიდან საგურამოს სკოლისათვის	180—
თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობისაგან:	
7. ა) ბინის დასაქირავებლად	1000—
8. ბ) მუზეუმის შესანახად	2000—
9. გ) სკოლების შესანახად	2000—
10. დ) ილიას ძეგლის ხარჯისთვის	1300—
11. თბილისის ქალაქის გამგეობისაგან ნავთლუდის სკოლისთვის	500—
12. სოფ. წინარქის საზოგადოებისაგან ადგილობრივი სკოლისათვის	80—
13. სასწავლო ფული ნავთლუდის სკოლის მოწაფეთაგან	60—
14. სხვა და სხვა შემოწირულება	1000—
15. თავნი ფულის სარკებელი	4576—77

16. წიგნის მაღაზიის შემოსავალი	5000—
17. წიგნების გამომცემლობიდან	9000—
18. აკაკის საბუნების თანხიდან	846—69
19. სისტემატიკა (ზუბალაშვილის) 5091-70	5066—70
20. უძრავი ქონების შემოსავალი	3224—
21. წარსული წლის შემოსავლის ნაშთი	6703—76
	ს უ ლ . . 46407—92

ზ ა ნ ა ვ ა ლ ი:

1. კანტელარის ბინის ქირა	600—
2. საკანტელარო წიგნები, განათება, გათბობა და სხვა წვრილ. ხარ.	400—
3. წლიური ანგარიშის დაბეჭვდა	200—
4. ინვენტარის შესაძენად	300—
5. საკვებთან და მამკვებთან ბილ. დაზღვ. და შენ.	150—
6. ჟურნალ „განათლებას“ დამატებისათვის	200—
7. ჯამაგირი: საქმისმწარმოებელს	1500—
8. „ ბუხგალტერს	840—
9. „ გადაწყვეტს	300—
10. „ მსახურს	300—
11. „ მაღაზიის გამგეს	720—
12. „ მაღაზიის გამგის თანაშემწეს	480—
13. მაღაზიის ბინის ქირა	600—
14. მაღაზიის ჰატენტი და სამრეწველო ბაჟი	150—
15. გათბობა, განათება და წვრილმანი ხარჯი	170—
16. იაკობ ს. გოგებაშვილის ანდერძის დავალებით:	
ა) ქართულ საბავშვო ბაღს	120—
ბ) განათლების საზოგადოების სკოლას	120—
გ) ქალთა საზ. ჭრა-კერვის სკოლას	120—
დ) ჟურნალ „განათლებას“	300—
ე) აკაკი წერეთელს	100—
ვ) ეფემია ინაურს	120—
ზ) კონსტანტინე კასრაძეს	480—
თ) ი. ს. გოგებაშვილის სახელ. თანხის სასაძ—ად	830—

17. სენაკის სკოლის გრ. დადიანის ნაანდერძევი თანხის სარკებელი	70—
18. სკოლებისა და ბიბლიოთეკების ხელმძღვანელ-მეთვალყურეს .	1200—
19. გურიანთის სკოლას დიმიტრო ნაკაშიძის ნაან. ფულის სარ.	117—29
20. სკოლებისა და ბიბლიოთეკების მეთვალყურეს გზის ხარჯათ	600—
21. კნ. ოლღა თადეოსის ასულის ჭავჭავაძის ბინის დასაქირ.	300—
22. ჰენსია აკაკი წერეთელს	846—69
23. დახმარება მწერლებს	240—
24. ილია ჭავჭავაძის ძეგლის ხარჯის გასასტუმრებლად . .	1300—
25. ილიას ძეგლის მომვლელს	24—
26. გრ. დადიანის საპრემიო	400—
27. თელავის განუ. კუბონების დირებულება	76—95
28. შრემია (ნ. დოდობერიძის ანდერძით)	300—
29. სასტიპენდიო ხარჯი	6866—70
30. ხარჯები საგურამოს მამულზე	3224—
31. საადმინისტრაციო სექციის განკარგულებაში	1769—55
	სულ . 26435 — 18

სასკოლო სექცია.

32. მასწავლებელთა ჯამაგირი: 1) წინარეხის სკოლის—600 მან. 2) გომარეთის სკ.—360 მან., 3) გერგეთის სკო- ლის—420 მან. 4) საგურამოს სკოლის—360 მან. 5) შრომის სკოლის— 360 მან. 6) ატენის სკოლის— 360 მან. 7) ნავთლუდის სკოლის 360+240 მან. 8) ულამშიის სკოლის 360 მან. 9) ვერის საქველ- მოქმედო სკ. ქართულ ენის მასწავლებელს 290 მან.	3710—
33. სკოლებისათვის სასწავლო ნივთები, წიგნები და წვრილმანი ხარჯები (თითოზე 60 მან.)	480—
34. სკოლების ბინის ქირა და მსახურისათვის	310—
35. დახმარება სხვა და სხვა სკოლებს წიგნებით	300—
36. ახალი სკოლების გასასწავლად	600—
37. მასწავლებელთა კრების მოსაწყოლად	500—

38. აჩსებული სკოლების მდგომარეობის კასუმჯობესებლად .	1000—
39. სასკოლო შენობის ასაგებად და სხვა მოულოდნელ ხარჯად საზოგადოების სკოლებისათვის	4190—
49. გოჩა-ჯიხაიშში და რგანში განათლების გასაგრძელებლად .	400—
	<hr/>
	სულ . 11,490—

**ბიბლიოთეკებისა და სახალხო კითხვების მომწყობი
სექცია.**

41. დახმარება თბილისის ბიბლიოთეკებს (4-ს)	800—
42. დახმარება დაბებისა და სოფლის ბიბლიოთეკებს	200—
43. დახმარება კერძო პირთ წ.კ. გასაგრძელებლად	100—
44. სახალხო კითხვების მოსაწყობად	1700—
45. მეტეხის ბიბლიოთეკას	32—74
	<hr/>
	სულ . 2832—74

წიგნების გამომცემელი სექცია

46. საკითხავი წიგნების გამოსაცემად	300—
47. ორიგინალური თხზულებების გამოსაცემად კნ. დოდობერი- ძის ანდერძით	300—
48. მოულოდნელი ხარჯი	2750—
	<hr/>
	სულ . 3350—

სამუზეუმო სექცია

49. მუზეუმის მეთვალყურის ჯამაგირი	360—
50. მსახურს	180—
51. ბინის გათბობა და წყალი	250—
52. ფიქრის გორის მოსაუკულებლად და წვრილმანი	60—
53. წიგნების, ნივთების და ავეჯეულობის შესაძენათ	1150—
54. მოულოდნელი ხარჯი	300—
	<hr/>
	სულ . 2300—

ს უ ლ . . 46,407—92



ქ. შ. წ. ა. კ. გამაგრებელი საზოგადოების სკოლებისა და
ბიბლიოთეკების მეთვალეურის, გრ. ბურჭულაძის

მოხსენებანი

წ. ა. კ. საზ. სკოლების შესახებ:

1. სოხუმის სკოლა

სოხუმის ქართული სკოლა დავათვალიერე ამ წლის 21 და 22 მარტს. სკოლაში ოთხი განყოფილებაა სამის მასწავლებლით, სწავლობს 160 მოწაფე: 60 ქალი, 100 ვაჟი. პირველ განყოფილებაში 60 ბავშვია, მეორეში—51, მესამეში—32, მეოთხეში—16. აქ მასწავლებლობენ თამარ თაყაიშვილი, ნოე ქურიძე და სკოლის გამგე ნიკო ჯანაშია. ნიკო ჯანაშია ფრიად გამოცდილი და დახელოვნებული მასწავლებელია; ყველაფერში ეტყობა, რომ ის პირნათლად და თავგამოდებით ასრულებს თავის მძიმე მოვალეობას, რისთვისაც ქებისა და მადლობის ღირსია. ნოე ქურიძეც გამოცდილი და ბეჯითი მასწავლებელია. თამარ თაყაიშვილი კი ჯერ ახალგაზდა და გამოუცდიელი მასწავლებელია, მაგრამ ბეჯითი და შრომის მოყვარე და ამიტომ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შემდეგში, ნ. ჯანაშიას ხელმძღვანელობით საუკეთესო მასწავლებელი გახდება.

მასწავლებლები თანხმობით მუშაობენ და ამიტომაც სოხუმის სკოლაში—სწავლა-აღზრდის საქმე კარგად არის დაყენებული. თუმცა მოწაფეებში ბევრი ღარიბია, მაგრამ ყველანი სუფთად ჩაცმულები იყვნენ და მკვირცხლად გამოიყურებოდნენ. განწყობილება მასწავლებლებსა, მოწაფეებსა და იმათ მშობლებს შორის ჩინებულია; განსაკუთრებით მადლობელნი არიან ნიკო ჯანაშიასი.

მოწაფეებს გამოგვითხე გავლილი მასალა.

I განყოფილება

ანგარიშში—ოთხი მოქმედება ოცის ფარგალში, ათეულებით და ოცეულებით თვლა ასამდის.

ქართულში—წავაკითხე „დედა-ენის“ მეორე ნაწილის 21 გვერდამდე სასაუბროებით.

საღვთო სჯულში—პატარა ლოცვები და მოკლეთ ათ-თორმეტი დღესასწაულები ფერის ცვალებამდე.

II განყოფილება.

ანგარიშში—დასწერეს რიცხვები ათასის ფარგალში. დასწერეს საკლასო დაფაზე რამდენჯერ მეტი და ნაკლები, რამდენით მეტი და ნაკლები—ასის ფარგალში; თითონ მოიყვანეს ამოცანები.

ქართულში:—„დედა-ენის“ მეორე ნაწილი თითქმის გათავებული ჰქონდათ. თქვეს ლექსი „ყმაწვილი და პეპელა“; ისაუბრეს მწერების შესახებ და მცენარეებისა და ცხოველების საზრდოობის შესახებ. გვიამბეს „თევდორე მღვდელი“.

რუსულში—წაიკითხეს „Русское Слово“-ს პირველი ნაწილიდან „Описание картины“, „Юноша“ ხოლო მეორე ნაწილიდან „Добрый товарищ“.

III განყოფილება.

ქართულში—„ბუნების კარი“-დან გაველოთ 30 მოთხრობა ლიტერატურული და ისტორიული, 15 ლექსი და იგავ-არაკი სამშობლოს აღწერიდან—დასავლეთი საქართველო. ქართული გრამატიკიდან—სახელი არსებითი, ზედ სართავი, რიცხვითი სახელი და ზმნა, მარტივი წინადადება და მისი ნაწილები.

რუსულში: გავლილია „რუსსკოე სლოვო“ II, გაუვლელი მასალა ცოტა იყო დარჩენილი ამ წიგნიდან.

ანგარიში—ოთხი მოქმედება განუსაზღვრელ რიცხვებზე ქართულად და რუსულად შესაფერისი ამოცანებით.

საღვთო სჯულში—ძველი და ახალი აღთქმა და ღოცვები.

IV განყოფილება.

ქართულში—გვიამბეს ილიას და აკაკის ბიოგრაფია: გადმოგვცეს შინაარსი „კაკო ყაჩაღისა“, „თორნიკე ერისთავისა“ უკანასკნელი ნაწარმოების შინაარსი რუსულადაც მიაბებს. ზემოხსენებულს გარდა იციან ნაწარმოები და ბიოგრაფიები შემდეგი მწერლებისა: ნ. ბარათაშვილის, რაფიელ ერისთავის, ეკატერინე გაბაშვილის, ვაჟასი, ნ. ლომოურის და ეგნატე ნინოშვილის.

საღვთო სჯულში—ძველი და ახალი აღთქმა ქართულად და რუსულად.

ანგარიში—ოთხი მოქმედება ყოველნაირ რიცხვზე, რთულ სახელწოდებულ რიცხვზე, ტიპიური ამოცანები: გააკეთეს ორი ტიპიური ამოცანა. დასწერეს სხვა და სხვა დიდი რიცხვები, ივარჯიშეს ზეპირად, როგორც რუსულად, ისე ქართულად.

სოხუმის სკოლას ჰყავს საკუთარი მასწავლებელი სიმღერა-გალობისა, რომელიც, თუმცა მცირე სასყიდელს იღებს, მაგრამ ძლიერ პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას. ყველა განყოფილებას ცალ-ცალკე ამღერა რამდენიმე სასიმღერო. სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ განყოფილებებმა ყველა სიმღერა კარგად შეასრულეს.

სოხუმის სკოლას საკუთარი სახლი აქვს, განსაკუთრებით სკოლისათვის აშენებული სახლი ჯერ დამთავრებული არ არის. სახლის ნახვა უსიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს ადამიანზე, რადგან მისავალი კარები „პოდიეზდი“ და ტალანი ფარღალაღაა, აქ ჯერ-ჯერობით არც კარებია, არც ფანჯარა და არც იატაკი, ოთახები შიგნითაც გაუღესავია; ოთახებში იატაკი ჯერ კიდევ დროებითია, ფიცრები უნდა აიყაროს და ხელახლა დაიგოსო; ერთ დიდ ოთახში თავანი სრულებით არ არის. ერთი სიტყვით ჯერ კიდევ დიდი ფულია საჭირო, რომ სახლი რიგია-

ნად მოეწყოს და მომზადდეს. სკოლა მშვენიერ ადგილას არის, აქ მიწის ფასი თან და თან მატულობს. სკოლის ეზოში, ქუჩის პირას, სამი ფარდული დაუდგამთ სამივე დამჯდარა 400 მანეთამდე. ეს ფარდულები წინადაც ყოფილა ეზოში დადგმული მუშებისათვის; ახლა მხოლოდ ეზოს ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადაუტანიათ. ორი იმათგანი უკვე გაქირავებულია, თითო თხუთმეტ მანეთად თვეში. ამ ადგილას თავისუფლად მოთავსდება სამი ღუქანი კიდევ. ფარდულების მაგიერ რომ ქვიტკირის შენობები დაიდგას, თითო ღუქანი გაქირავდება, არა ნაკლებ სამი თუმნისა თვეში. ასე რომე ეს ღუქნები შემდეგში სკოლის შესანახ მუდმივ წყაროდ გადაიქცევა.

სოხუმის განყოფილების გამგეობამ მიმიწვია თავის სხდომაზე, მოისმინა ჩემი მოხსენება სკოლის შესახებ და ერთხმად დამავალა ვიშუამდგომლო მთავარი გამგეობის წინაშე, რათა სესხათ მიეცეს სოხუმის განყოფილებას 6000 მან. ექვსის წლით, იმ პირობით, რომ გადაახდევინონ სარგებელი და ასი თუმანი წელიწადში.

სოხუმის განყოფილების გამგეობის მოქმედება იმდენად ნაყოფიერი და სიმპატიურია, რომ მე დარწმუნებული ვარ მთავარი გამგეობა დახმარებას არ მოაკლებს მას და მისცემს სესხად საჭირო ფულს. გამგეობას ადვილად შეუძლია ამ თხოვნის დაკმაყოფილება სათადარიგო თანხიდან.

„16“ მაისი 1914 წ.

2. ბათუმის სკოლა.

ამ წლის 26 და 27 მარტს დავათვალიერე ბათუმის ქართული სკოლა. ამ სკოლაში სწავლობს 135 მოწაფე: 43 ქალი და 92 ვაჟი, აქ ოთხი განყოფილებაა: პირველ გან. 53 ბავშვია, მეორეში—43, მესამეში—27, მეოთხეში—12. ყველა განყოფილებაში სწავლობს მხოლოდ 6 მაჰმადიანი ქართველი. ბათუმის სკოლაში სამი მასწავლებელია: ივლიანე გოგოლაშვილი—სკოლის გამგე, ალექსანდრე მგელაძე და მარიამ ლომინაძე. ივლიანე გოგოლაშვილი ასწავლის მეორე განყოფილებაში ქართულს და ბუნების მეტყველებას. მესამესა და მეოთხეში კი რუსულს, ანგარიშს და საღვთო სჯულს; ალექსანდრე მგელაძე მეორე გან.—რუსულს და ანგარიშს, ხოლო მესამე და მეოთხეში ქართულს, სამშობლოს აღწერას და ბუნების მეტყველებას; მარიამ ლომინაძე პირველ განყოფილებაში ასწავლის ყველა საგანს, მეორეში საღვთო წერილს.

პირველი განყოფილებაში:

ქართულში—წავგიკითხეს და გვიამბეს „კეთილი სანდალა“, „დედა-ენა“ II, II გვერდამდი, აგრეთვე გვიპასუხეს სხვა და სხვა კითხვებზე სასაუბროდან.

ანგარიშში—ოთხი მოქმედება ოცის ფარგალში, ათეულებით თვლა ასამდი და რიცხვების წერა ასის ფარგალში.

რუსულში—დაასახელეს შინაური ცხოველები და სასწავლო ნივთები.

საღვთო სჯულში—ვკითხე ღვთის-მშობლის დაბადება, ხარება, ნათლის ღება და პატარა ლოცვები.

მეორე განყოფილებაში:

ქართულში—ვკითხე გავლილი სტატიები მოყოლით, ლექსები ზეპირად და თავის სიტყვით, სასაუბროებიდან რამდენიმე კითხვა. გრამატიკიდან დაასახელეს საგნები, თვისებანი და მოქმედებანი. წაიკითხეს და ნაწილ-ნაწილ მოყოლებით გვიამბეს უცნობი მოთხრობა „მერცხალი“.

ანგარიშში—ასის ფარგალში ოთხი მოქმედება და ათასის ფარგალში წერა; მოიყვანეს ამოცანა.

რუსულში—წაიკითხეს „რუსსკოე სლ.“ I ნაწილ 96 გვერდზე „რაზსკაზ“ და სთქვეს ორი ლექსი.

მესამე განყოფილებაში:

ქართულში—წაიკითხეს „რთველი“, სთქვეს ზეპირად „სპილო საერისთაოზე“ და „შაშვი“. სამშობლოს აღწერიდან დაგვისახელეს იმერეთისა და გურიის სამზღვრები, მთები, ადგილ-მდებარეობა, მდინარეები, ქალაქები და გვიამბეს მცხოვრებთა ზნე-ჩვეულების შესახებ.

რუსულში—თქვეს ზეპირად და აგვიხსნეს იგავ-არაკი „Лисица и виноградъ“ და ვადმოგვცეს ამის შინაარსი.

მეოთხე განყოფილებაში:

ქართულში—დაგვისახელეს „მოსე მწერლის“ გმირები, ვადმოგვცეს თავის სიტყვით, «რაქვიან»-ის შინაარსი, თქვეს ზეპირად ლექსები „ჩემო კარგო ქვეყანავ...“ და „განთიადი“. ისტორიიდან გვიამბეს თამარ მეფის ხანა და წმიდა ნინოს მოღვაწეობა.

ანგარიშში—გაუვლიათ ნუმერაცია და ოთხი მოქმედება განყენებულ რიცხვებზე; სახელწოდებული რიცხვები, შესაფერი ამოცანები.

რუსულში—სახელმძღვანელოდ მიუღიათ ის წიგნი, რომელსაც ადგილობრივი გიმნაზია ხმარობს უფროს მოსამზადებელ კლასში. ზეპირად ვათქმევინეთ „Весна“, „Осень“, „Мельникъ“, მოაყოლეს გავლილი ორი სტატია; წავაკითხეთ უცნობი სტატია. გაარჩიეს ვრცელი წინადადება სინტაქსიურად და ეტიმოლოგიურად.

კარგი მასწავლებლები ჰყავს ბათომის სკოლას, გამოცდილები და ბეჯითნი.

მოწაფეები მკვირცხლად გამოიყურებიან, სუფთად არიან ჩაცმულები, დავარცხნილ-დაბანილები.

სკოლის შენობა მშვენიერ შთაბეჭდილებას ახდენს, თუმცა კლასში ჯეროვანი სისუფთავე არ არის დაცული მცველის მიერ.

კარგი სკოლაა ბათომის სკოლა, მაგრამ ამ კარგ სკოლას რამდენიმე უვალსაჩინო და ჩემის აზრით მიუტევებელი ნაკლიც აქვს:

1) პირველსა და მეორე განყოფილებაში არა აქვთ და არც წინად ჰქონიათ ანგარიშის რვეული. წერიტი ვარჯიშობის დროს ერთი მოწაფე საკლასო დაფაზე სწერს, სხვები ყურს უგდებენ. ზეპირის ვარჯიშობის დროს კიდევ მთელი საათი

ანგარიშობენ ბავშვები. რადგან ეს საღ პედაგოგიურსა და დიდაქტიურ მოთხოვნ-
ლებას ეწინააღმდეგება, მე წინადადება მივეცი, რომ დაუყონებლივ შემოღებულ
იქმნას საანგარიშო რვეული და ყველასთვის სავალდებულო იყოს წერითი ვარჯი-
შობა რვეულში. ზეპირი ანგარიში გრძელდებოდეს არა უმეტეს 40 წუთისა; 20
მოხმარდეს წერითი ვარჯიშობას.

2) ქართული სუფთა წერის გაკვეთილები აქვთ შემოღებული და მთელი სა-
ათი სწარმოებს ეს გაკვეთილი.

ჩემის აზრით ეს შეუფერებელია: წერა ყოველთვის სუფთა უნდა იყოს და
სრულებით საჭირო არ არის ამისთვის ცალკე გაკვეთილი. დააწერინეთ ბავშვს
ყოველ დღე და ცოტ-ცოტა, ეს უფრო სასარგებლო იქნება იმის გონების განვი-
თარებისთვის და ჯანმრთელობისთვის.

3) ქართული ასოების წერას აწყობინებენ სახატავ რვეულში ისე, როგორც
ციფრებს და ეს ასეც უნდა იყოს სკოლის პედაგოგიური საბჭოს შეხედულებით.
საბჭოს ამნაირი შეხედულება შემცდარია, რადგან ქართული ასოების გამოხატუ-
ლებს სრულებით არ შეეფერება სახატავი რვეულების უჯრებს.

4) ანგარიშს მესამე და მეოთხე განყოფილებაში ქართულად ასწავლიან. რად-
გან ჩვენ ამის უფლება არა გვაქვს, ანგარიშის სწავლება უნდა სწარმოებდეს ქარ-
თულადაც და რუსულადაც.

20 მაისს 1914 წ.

3. საგურამოს სკოლა

10 და 11 თებერვალს 1914 წ. დაეთვალა იერე საგურამოს სკოლა. იგი და-
არსებულია ილია ჭავჭავაძის სახელზე და მოთავსებულია ილიასეულ სახლში, რო-
მელიც დაშორებულია სოფელ გურამიანთკარს ერთ ნახევარი ვერსით მაინც.

სკოლის გარშემო მამული გაცემულია იჯარით და სკოლას არა აქვს თავის
განკარგულებაში პატარა ნაჭერი მიწაც-კი; ამიტომაც არის, რომ იგი ცოტად თუ
ბევრად შევიწროებულია მოიჯარადრეებისაგან.

სკოლაში 17 ბავშვი დამიხვდა: 5 ვაჟი და 12 ქალი. აქ ორი განყოფილებაა;
პირველ გან.—8, მეორეში—9 მოწაფე. ყველა საგნებს (საღვთო სჯულსაც) ას-
წავლის მასწავლებელი ანნა კაპანაძე, რომელსაც დამთავრებული აქვს თბილისის
საეპარქიო დედათა სასწავლებელი. მოწაფეთა რიცხვის სიმცირე მასწავლებელმა
ასე ამიხსნა: თუმცა სოფ. გურამიანთ-კარში სასკოლო ასაკის ბავში ორმოცდა
ათზე მეტია, მაგრამ მშობლები არ გზავნიან სკოლაში; ზოგი სიშორას გამო, ზო-
გიც სიღარიბისა—ტანთ არ აცვიათ და ფეხთ თბილად. ვაჟებს კიდევ ნახირში გზავ-
ნიან, რადგან საერთო მენახირე საოფელს არ ჰყავს და საქონელს მხოლოდ თითოე-
ული მოსახლე იძულებული ხდება თავისი სასკოლო ვაჟი ნახირს გააყოლოს მწყემ-
სად. 13—15 წლის ქალებს კი არ გზავნიან სიშორის გამო, საპატარძლოდ ემზა-
დება და სირცხვილიაო...

სულ სხვა იქნება, თუ სკოლას სოფელში გადავიტანთ და ხელსაქმის სწავლე-
ბასაც შემოვიღებთ. მაშინ 14—15 წლის ქალებიც ივლიან სკოლაში, და წერა-

კითხვასაც ისწავლიან და ხელსაქმესაც მასწავლებელი ქალი ვალდებული იქნება ასწავლოს ქალებს საცვლების გამოჭრა და შეკერვა, წინდების ქსოვა, დასითვით კერვა და სხვა. ხელსაწყო მასალის შესაძენად საკმარისი იქნება 40—50 მანეთი წელიწადში.

საკითხი საგურამოს სკოლაში ხელსაქმის სწავლების შემოღების შესახებ 1913 წლის დეკემბერში განიხილა სასკოლო სექციამ მასწავლებლის მოხსენების გამო და დაადგინა: „საქმის გარემოება ადგილობრივ გამოიკვლიოს სკოლების მეთვალყურეობა“.

როგორც ზემოდ მოვიხსენიე, თუ სკოლა სოფელში იქნება გადატანილი და ხელსაქმის სწავლებასაც შემოვიღებთ, მაშინ მოწაფეთა რიცხვი ერთი-ორად იმატებს; ხოლო თუ სკოლა ისევ ძველ ადგილზე დარჩა, მაშინ არა მგონია მოწაფეთა რიცხვმა საგრძნობლად იმატოს; თუმცა ამასთანავე დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ აქაც ენკენისთვიდან ხელსაქმის სწავლების შემოღება ძლიერ შეუწყობს ხელს მოწაფეთა რიცხვის ზრდას, და არც წ.-კ. საზოგადოებას დააწვება ეს მძიმე ხარჯი.

იგივე მასწავლებელი თხოულობდა მსახურისთვის ჯამაგირის მომატებას.

საქმის ვითარება ასეთია: სკოლის მსახური წლით არის დაჭერილი და ლებულობს წ.-კ. საზოგადოებისაგან 70 მან. წელიწადში. რადგან ადგილობრივ მოსამსახურენი მეტს ლებულობენ მოიჯარადრეებისაგან—დიდები (სკოლის მსახურის ტოლები) 10 მანეთს თვეში, პატარები 15 წლიანი 8 მანეთს ჰამა-სმით და ტანისამოსით,—მასწავლებელი იძულებული ხდება სკოლის მსახურს თავის მხრივაც აძლიოს თვეში სამი მანეთი და აჭამოს და ჩააცვას. მსახური მხოლოდ 9 თვე ემსახურება სკოლას; ამიტომ მასწავლებელი თხოულობს 27 მანეთის მომატებას წელიწადში, ასე რომ 1914 წლის პირველ იანვრიდან საზოგადოებისაგან ეძლეოდეს სკოლის მსახურს 97 მანეთი, ნაცვლად 70 მანეთისა.

ჩემის აზრით მასწავლებლის ეს თხოვნა სამართლიანია და დაკმაყოფილებულ უნდა იქმნას.

10 თებერვალს მასწავლებელს გავლილი ჰქონდა:

პირველ განყოფილებაში:

ქართულ ენაში—პირველი ნაწილი დედა-ენისა 23 გვერდამდე, „ტოროლამდე“, ანბანი ჯერ არ გაუთავებია.

ანგარიშში—ოთხი მოქმედება და წერითი სავარჯიშოები ათის ფარგლებში, თვლა ასამდი.

მეორე განყოფილებაში:

ქართულში—„დედა-ენის“ მეორე ნაწილი 83 გვერდამდე თავის სასაუბროებით.

ანგარიშში—ოთხი მოქმედება ოცის ფარგალში. მიმატება და გამოკლება ასის ფარგალში შესაფერის ამოცანებით.

რუსულში—პირველი ნაწილი „რუსკოე სლოვო“ 49 გვერდამდი.

საღვთო სჯული—გაუვლია სანიმუშო პროგრამის თანახმად, მაგრამ პირველსა და მეორე განყოფილებაში ერთნაირი მოთხრობები და ერთნაირი სივრცით გასულა; ამიტომაც პირველი განყოფილება სუსტია საღვთო ისტორიის ცოდნაში, მეორე განყოფილება კი კარგათ არის მომზადებული.

თუმცა სწავლა ღვინობისთვის შუა რიცხვებში დაიწყო და უწესრიგოდ მიდიოდა, ბავშვები არ დადიოდნენო. და შეშაც ნაკლებად მქონდაო, მითხრა მასწავლებელმა, მაგრამ მაინც ის მასალა, რაც დღემდე საგურამოს სკოლაში გაუვლიათ, მკირედად უნდა ჩაითვალოს. ეს მოვლენა აიხსნება სხვათა შორის, იმითაც, რომ მასწავლებელი ანა პარკაძე გამოუცდელი მასწავლებელია; ის კარგად არ არის გავარჯიშებული გაკვეთილების მიცემაში, მამას ცოტათი კიდევ ეძნელება ახსნითი კითხვის და წერა-კითხვის შესასწავლი გაკვეთილების მიცემა, როგორც ეს სჩანდა იმ ორი გაკვეთილიდან, რომელიც მან ჩემ იქ ყოფნის დროს მისცა ქართულ ენაში.

წერთი სავარჯიშოები მეთოდურის მხრივ სუსტად არის შესრულებული. გალობა და სიმღერები კარგად იციან.

ქ-ნი პარკაძე ბეჯითი და მუყაითი მუშა ქალია და, იმედი მაქვს, ჩემი შენიშვნებისა და დარიგების შემდეგ, სწავლის საქმეს კარგად დააყენებს.

18 თებერვალს 1914 წ.

P. S. საგურამოს სკოლაში ვიყავი 5 მარტსაც: დავესწარი საღვთო სჯულის და რუსული ენის გაკვეთილებს; იმღერეს ბავშვებმა: „დღეს მერცხალი შემოფრინდა“, „ქართველის დედა“, „ყარანაი“, „გოლეო-გოლეო“ (ხალხური) და „ბრძოლა მამაპაპური“. სიმღერები ბავშვებმა კარგად შეასრულეს სამს ხმაზე. საღვთო სჯული-სა და რუსული ენის გაკვეთილებიც გაცილებით უკეთესები იყვნენ იმაზე, რაც წინად ვნახე; საღვთო სჯულს ცალკ-ცალკე ასწავლის განყოფილებებს, რაც წინად არ იყო. ერთი სიტყვით საქმე წინანდელზე უკეთესად მეჩვენა.

10 მარტს 1914 წ.

4. ბაქოს სკოლა.

ამ წლის 22 და 23 იანვარს დავათვალიერე ბაქოს ქართული სკოლა, დავესწარი მასწავლებლების გაკვეთილებს. გამოვცადე ბავშვები სასწავლო საგნების ცოდნაში და მოვისმინე ორი სანიმუშო გაკვეთილი მასწავლებლების მარიამ ჩიხლაძისა და თამარ გელოვანის; სანიმუშო გაკვეთილები გარჩეულ იქნა იმავე დღეს, გაკვეთილების შემდეგ. სკოლა და მისი ცხოვრება მშვენიერ შთაბეჭდილებას ახდენენ

მნახველზე: კლასები ნათელი და სუფთაა, მოწაფენი გამგონი და სუფთად ჩაცმულნი, სასწავლებელი მოწყობილი, ერთი სიტყვით ყველაფერს ეტყობა მზრუნველის ხელი. მასწავლებლები ერთგულად და ერთსულოვნად მუშაობენ და შეერთებულის ძალ-ღონით სცდილობენ პირნათლად შეასრულონ ნაკისრი მოვალეობა.

სკოლის გამგე მეთოდი კაკაბაძე გამოცდილი მასწავლებელია, ბეჯითი, კარგად მცოდნე სწავლა-აღზრდის საქმისა. იგი ჩინებულ ხელმძღვანელობას უწევს მასწავლებლებს და სკოლის საქმე კარგად აქვს დაყენებული. ამიტომაც არის, რომ აღვილობრივი ქართველი საზოგადოება დიდი მადლობელია მისი.

ბაქოს სკოლაში ოთხი განყოფილებაა; თითოეულ განყოფილებას ცალკე მასწავლებელი ჰყავს. მასწავლებლები ყველა საგნებს ასწავლიან თავის განყოფილებაში, საღვთო სჯულსაც.

შირველ განყოფილებაში:

სწავლობს 30 ბავშვი, ასწავლის თამარ გელოვანი, რომელიც ჯერ-ჯერობით გამოუცდელი მასწავლებელია; სწავლების დროს ჩქარობს. თუ ბეჯითობასა და მუდმივ შრომას არ დაიზარებს, გამოცდილი მასწავლებლის ხელში კარგი მასწავლებელი დადგება. 22 ივნისამდე გაუვლია:

ქართულში: „დედა-ენა“ პირველი ნაწილი.

ანგარიშში: ოთხივე მოქმედება ოცის ფარგალში, ამოცანების გამოყვანით (გაყოფა არა აქვთ საკმაოდ შესწავლილი და შეთვისებული).

საღვთო სჯულში: ლოცვები ზეპირად და ახსნით: წმიდაო ღმერთო, დიდება მამასა, ყოვლად წმიდაო სპებო, სახელითა მამისათა და ლოცვა სწავლის წინ.

საუბარში: სასწავლო და სათამაშო ნივთებზე, ჭურჭელზე, შინაურ და გარეულ ცხოველებზე და ფრინველებზე.

წერაში: წიგნიდან გადაწერა, კითხვაზე პასუხის შედგენა და საგნების კლასიფიკაცია.

შეორე განყოფილებაში:

სწავლობს 22 მოწაფე, ამ წლის 20 იანვრიდან ასწავლის ელენე ქარუმიძე: ქ-ნ ქარუმიძეს მოუსმინე ორი გაკვეთილი. ეტყობა, მას მასწავლებლობის უნარი აქვს; მის შესახებ მეტს ვერას ვიტყვი, რადგან სულ ახალი მასწავლებელია.

ამ განყოფილებაში გავლილი აქვთ:

ქართულში: დედა-ენა მეორე ნაწილი, მოთხრობამდე «ჭკვიანი ძაღლი».

ანგარიშში—ოთხი მოქმედება ასის ფარგალში, შესაფერის ამოცანების გამოვანით ხრამელაშვილის კრებული პირველი ნაწილიდან.

რუსულში: რუსკოე სლოვოს პირ. ნაწილი ი. გოგებაშვილისა 93 გვერდამდი. საღვთო სჯულში: ლოცვები და მოკლე ცნობები ათ-თორმეტ დღესასწაულე-ბის შესახებ.

ქართულ წერაში წიგნიდან თავისუფლად გადაწერა შთაბეჭდილებისა და პა-ტარა ამბების დაწერა, კითხვა მიგება, რუსულ წინადადებების ქართულად თარგმ-ნა და სხვა.

საუბარი: დედა-ენაში მოთავსებულ სასაუბროების გარდა, წაუკითხავთ მოთ-ხრობები „ჯეჯილი“-დან და „ნაკადული“-დან.

შესამე განყოფილებაში:

სწავლობს 19 მოწაფე, ასწავლის მარიამ ჩიხლაძე. ქ-ნი ჩიხლაძე გამოცდილი მასწავლებელია, მშრომელი და მუყაითი.

ამ განყოფილებაში გავლილი ჰქონდათ:

ქართულ ენაში ლექსები და იგავ არაკები: მიპატიეება სასწავლებელში, დე-დის დარიგება, პურის მოსავალი, რთველი, თინიას მამითადი, ვირი და ბულბული, ჩიტი, დათვის წვეულობა, ყინვა და პატარა მოწაფე, მაიმუნი და სარკე მცხეთის ტაძარი, სამშობლო ხევსურისა; მოთხრობები: დილის მზის სხივები, ყმაწვილები ჭალაში, კატა და ფრინველები, ქერი, ხორბალი, სიმინდი, ლომი, ბამბა, ზაფხუ-ლი, შემოდგომა, მწყერი, ბულბული, მერცხალი, ბელურა, შაქრის ღერწამი, ბრინჯი, ჩაის მცენარე, მაგდანას ლურჯა, ნაცარ-ქეჩია, სამნი ძმანი, კაკანათი, თევზაობა, მოგონება, ჭოტი, ქინაქინა და ზღარბი; ქართული გრამატიკა: საგანი, თვისება და მოქმედება, წინადადების განმარტები, მოკლე წინადადების ნაწილები, არსებითი სახელი; სამშობლოს აღწერა: რობაქიძის სახელმძღვანელოდან „სამშობ-ლოს აღწერა“, 54 გვერდამდე.

სამშობლოს ისტორია ქვარიანის სახელმძღვანელოდან: ჩვენი სამშობლო, ქართველი ტომები, გადმოცემანი ქართველების შესახებ, მამასახლისობის დრო, მაკედონელთა ბატონობა, ფარნაოზ მეფე, ქართველების მოღვაწეობა საქართვე-ლოში, ვახტანგ გორგასლანის მეფობა, ცამეტი სირიელი მამა და ბაგრატიონთა გამეფება.

საწერი მასალები: ლექსების ზეპირად წერა იგავ არაკების შინაარსის გადმო-ცემა, წაკითხულის შინაარსის გადმოცემა სურათებიდან მოთვრობების შედგენა, შთაბეჭდილებების მოკლედ გადმოცემა.

ანგარიშში: ათასის ფარგალში მიმატება, გამოკლება და გამრავლება, შესა-ფერის ამოცანების გამოყვანით. ნუმერაცია მილიონამდი ზეპირი ვარჯიშობა ათა-სამდი.

რუსულში: რუსკოე სლოვო მეორე ნაწ., ლექსები და იგავ არაკები რიცხვით ათამდე და 25 მოთხრობა.

საღვთო სჯულში: გ. იოსელიანის სახელმძღვანელოდგან „სამსონ და გედეონამდე“.

ბუნების მეტყველებიდან: დედა მიწა, მისი მოყვანილობა და შემადგენელი ნაწილები, ნიადაგი, ზედადაგი, ზედაგის შემადგენელი ნაწილები, მარილი, ქვამარილი; ნავთი, ქვანახშირი, შავიქვა, ოქრო, ვერცხლი და ანდამატი.

მეთხე განყოფილებაში:

სწავლობს 12 მოწაფე, ასწავლის სკოლის გამგე მეთოდე კაკაბაძე.

ამ განყოფილებაში გაუვლიათ:

ქართულში—ლექსები და იგავარაკები: ქართველის დედა, ბაზალეთის ტბა, პოეტი, კახეთისადმი, ვირი და ბუღბული, სიმღერა მკის დროს, კრიკინა და ჭიანჭველა, ბატები, გლეხი და გველი, მცხეთის ტაძარი, ყინვა და პატარა მოწაფე, გუთნის დედა, ხარაბუზა და ფუტკარი; მოთხრობები: ჩემო შვინდავ, შვლის ნუკარის ნამბობი, მოგონება (ვაჟასი), მოგონება (აკაკისა), მოსე მწერალი, მონადირე, განკარგულება, სარჩობელაზე, ჩვენი კაკლის ხე; ბიოგრაფიები: აკაკისა, ვაჟასი და ილია ჭავჭავაძისა.

ქართული ისტორია: ს. ქვარიანის სახელმძღვანელოდან „მარაბდას ომამდე“.

სამშობლოს აღწერა: რობაქიძის სახელმძღვანელოდან „სამშობლოს აღწერა“

80 გვერდამდე.

ქართული გრამატიკა: გამეორება მესამე განყოფილებაში გავლილი მასალისა.

ბუნების მეტყველებაში: მოკლე ცნობები დედა-მიწაზე, ჰაერზე, წყალზე და კაცის ანატომიიდან.

ანგარიშში: ოთხი მოქმედება ყოველნაირ რიცხვზე, შესაფერი ამოცანების გაყვანა გოლდენბერგის კრებულიდან, რუსულად.

საღვთო სჯულში: მთელი მასალა იოსელიანის სახელმძღვანელოდან და კიდევ რუსულად: Сотвореніе міра, Адамъ и Ева. Каинъ и Авель, Потопъ, Дѣти Ноя, Столпотвореніе Авраамъ, Іосифъ, Слова Іосифа, Рожденіе пророка Мисея, Пасха и исходъ евреевъ изъ Египта, Чудеса во время путешествія евреевъ, Дванадесяты праздники и некоторыя молитвы.

როგორც ზემოდ მოყვანილ ცნობებიდან სჩანს, მესამე განყოფილებაში ძლიერ ბევრი მასალა გაუვლია მასწავლებელს. ფეიქრობ, ამოდენა მასალის შეგნებულად შეთვისება ოთხი თვის განმავლობაში მეტად ძნელი უნდა იყოს.

ამასთანავე უნდა აღვნიშნო, რომ ბავშვები ყველა განყოფილებაში მკვირცხლად და შეგნებულად მიზასუხებდნენ, წესრიგიც სასწავლებელში მშვენიერია.

23 იანვარს სანიმუშო გაკვეთილები მისცეს მარიამ ჩიხლაძემ და თამარ გელოვანმა; ჩიხლაძემ ქართულში არაკი: „მელა და ყურძენი“, გელოვანმა ამოცანის გამოყვანა.

გაკვეთილები გავარჩიეთ იმავე დღეს; ოქმები უნდა შეედგინა მეთოდე კაკაბაძეს და სანიმუშო გაკვეთილების კონსპექტთან ერთად გამოეგზავნა ჩემს სახელზე თბილისში, მაგრამ, სამწუხაროდ, რაღაც მიზეზების გამო ეს დავალება ჯერ არ შეუსრულებია ბ-ნ კაკაბაძეს.

ხატვა ბაქოს სკოლაში ვერ არის კარგად დაყენებული, თავისუფალ ხატვას ყურადღებას არ აქცევენ. პირველ დაწყებითი გეომეტრიის ხსენებაც არ არის. სიმღერები თითქმის სულ არ იციან. ბაქოს სკოლისათვის აუცილებლად საჭიროა სიმღერა-გალობის რიგიანად მცოდნე მასწავლებელი.

12 თებერვალს 1914 წ.



განცხადება

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება აცხადებს, რომ წელს, ნ. ლოლობერიძის სახელობის თანხის სარგებლიდან დანიშნულია პრემიათ 300 მანეთი.

1. პრემია მიეცემა იმას, ვინც დასწერს და წარმოადგენს საკონკურსო საუკეთესო თხზულებას შესახებ ქართული ენისა, ისტორიისა, გეოგრაფიის ეთნოგრაფიისა, ლიტერატურისა და საზოგადოდ თხზულებას საქართველოს შესახებ. ლოლობერიძის სახელობის პრემიის მიღებად უპირატესობა ეძლევა ქართულ ენაზე დაწერილს თხზულებას. ხოლო საკონკურსოდ შეიძლება წარმოდგენილ იქმნას რუსულსა, ან რომელიმე ევროპიულ ენაზედაც.

2. თხზულებას ქართული ენის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) ისტორიული გრამატიკა ქართული ენისა—ეთიმოლოგია ან სინტაქსი, ბ) შედარებითი გამოკვლევა ქართული ენის შტოებისა, გ) გამოკვლევა ქართულის ენის უცხო ენებთან შედარებით, დ) ქართული ენის შტოების შედარებითი ლექსიკონი, ე) ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი; ვ) უცხო ენებთან მონათესავე ქართული სიტყვების ლექსიკონი; ზ) უცხო ენათაგან შემოსული სიტყვების ლექსიკონი.

3. თხზულებას ქართული ისტორიის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) პოლიტიკური ისტორია საქართველოს მთელი წირსული ცხოვრებისა ან რომლი-

სამე მის ეპოქისა; ბ) სოციალ-ეკონომიური ისტორია, სრული ანუ რომელიმე ეპოქისა; გ) საეკლესიო და საზოგადოდ სარწმუნოების ისტორია, როგორც სრული, ისე რომელიმე ეპოქისა; დ) სამხედრო ისტორია; ე) იურისპრუდენცია, ვ) მითოლოგია.

4. თხზულებას ქართული მწერლობის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს:

ა) ქართული მწერლობის სრული ან რომელიმე ეპოქის ისტორია, ბ) მწერლობის ერთ-ერთი დარგის სრული ან რომელიმე ეპოქის ისტორია, გ) რომელიმე ერთის ან რამდენიმე მწერლის ნაწარმოებთა სრული და ყოველ მხრივი შესწავლა და გამოკვლევა; დ) ქართული მწერლობის დამოკიდებულობა უცხო მწერლობაზე და უკანასკნელის გავლენა პირველზე, როგორც მთლად მთელის ქართულის მწერლობისა, ისე რომელიმე კერძო ეპოქისა; ე) სახალხო სიტყვიერების გამოკვლევა.

5. თხზულებას ქართული ეთნოგრაფიის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს:

ა) ეთნოგრაფიული აღწერა ქართველი ერის რომელიმე ნაწილისა; ბ) შეგროვება და შესწავლა ან გამოკვლევა უკვე შეგროვილ მასალისა ქართული ენას სხვა და სხვა კილოკავებიდგან, ხალხურ სიტყვიერებიდგან, ცრუმორწმუნოებიდგან, ზნეჩვეულებებიდგან, ფიზიკურ აგებულებებიდგან და სხვა და სხვა დარგებიდგან ქართველი ერის რომელიმე ნაწილისა—გამოსარკვევად: ან ქართველი ერის რომელიმე შტოს ნათესაობრივი დამოკიდებულობისა დანარჩენ მის ნაწილებთან, 2) ან მთელი ქართველი ერის ნათესაობრივი ჩამომავლობისა სხვა ერთა შორის.

შენიშვნა: საკმარისია, თუ მკვლევარმა დაამუშავა მასალა მარტო ერთ-ერთ შემოხსენებულ დარგიდგან და ეს მასალა გამოიკვლია ქართველი ერის მარტო ერთი რომელიმე ნაწილის შესახებ.

6. თხზულებას ქართული მუსიკის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) გამოკვლევა წარმართდროინდელი ქართული მუსიკისა; ბ) გამოკვლევა ქრისტიანობის მიღების შემდეგი ქართული მუსიკისა; გ) გამოკვლევა იმისა, თუ რა გავლენა იქონია სხვა ერთა მუსიკამ ქართულ ენაზე.

7. საკონკურსო თხზულება უნდა იქმნას წარმოდგენილი წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში 1-ლ იანვრამდე 1915 წლისა.

8. საკონკურსო თხზულება შეიძლება იყვეს ხელთნაწერიც და დაბეჭდილიც, მხოლოდ იმ პირობით, რომ დაბეჭდილი არ იყვეს 1911 წელზე ადრე გამოცემული.



ყოველ-დღიური საზოგადოებრივი და სალიტერატურო გაზეთი

„სახლი აზრი“

(წელიწადი მეორე)

გაზეთი წლიურად ღირს 7 მან. ნახევარი წლით—4 მან. სამი თვით—2 მ. 50 კ. თვიურად თბილისში—4 აბაზი. თბილისს გარედ—90 კაპ. საზღვარ გარედ 14 მან.

თითო ნომერი ერთი შაური

განცხადების ფასი ჩვეულებრივია

სოფლის მასწავლებლებს გაზეთი დაეთმობა 60 კ., მოსწავლე ახალგაზღვარებს კი 50 კაპეკით.

რედაქცია იმყოფება: ორბელიანის ქუჩა № 36.

ფულის გამოსაცემის მისამართი: Тифлисъ, Орбелианская ул. № 36.

Теофи́лу Маркови́чу Кекелидзе.

ყოველ-დღიური საზოგადოებრივი და სალიტერატურო

„სახალხო გაზეთი“

(წელიწადი მეხუთე)

ყოველდღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექნება კვირეული

სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაობით

გაზეთის ფასი დამატებისათვის: წლით, როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—4 მან. 50 კაპ., ერთი თვით—75 კ.

კალკე ნომერი ყველგან ერთი შაური, დამატებისანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეკი. ადრესის გამოსაცემელი ფასი 40 კაპ.

განაწილება ფასისა: გამოწერის დროს 3., 1 მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50 კაპ.

1914 წლის წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ სამ წიგნს: 1) „ქართველი მწერლები“, 2) „უცხოეთის მწერლები“. 3) „სამეცნიერო კრებული“.

ამი აბაზი უნდა გადაიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც ჰქონეს მიიღოს ფოსტით სამი საპრემია წიგნი.

Тифлисъ, редакция „Сахалхо газети“.

გამოვა 1914 წ. საუბრაწილო შურნალი

ნაკადული

(წელიწადი მეათე)

ხელის მოწერა მიიღება შურნალ „ნაკადულის“ რედაქციაში.

გოგადონის პრინციპტზე ზუბადაშვილის სახლში № 8. და წერაკითხვის გამავრც. საზოგადოების მდარაში, თაგ. აზნ. ქარვასლა)

1914 წლის 1-ლ იანვრიდან 1915 წლის 1-ლ იანვრამდე წლიური ხელის-მომწერლებს მიეცემა: მოზრდილთათვის 12 წიგნი 3 მან. მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი 3 მან. ნახევარი წლით ვინც გამოიწერს ორივეს ერთად—3 მან.

სახუქრად ორივე გამოცემის წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემა წიგნი: „მიწის ძვრა და ცეცხლის მფრქვეველი მთები“, (მრავალი სურათით) გიორგი ანთელიძისა.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძისა. გამომცემელი თ. პ. ი. თუმანიშვილი.

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერ. ჟურნალი

„განათლება“

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისთვის.

(წელიწადი შეშვიდე)

1914 წელში ჟურნალი „განათლება“ ჩვეულებრივად გამოვა ყოველ-თვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორისთვისა. ჟურნალში იბეჭდება წერილები, როგორც სწავლა-აღზრდის შესახებ, აგრეთვე მეცნიერების სხვა და სხვა დარგიდან და სიტყვა კაზმულ მწერლობიდან; აქვს თვიური ჟურნალის ყველა განყოფილება, გამოვა ჩვეულებრივზე უკეთ დასურათებული. ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები.

წლიური ფასი ჟურნალისა არის **ოთხი მანეთი** (4 მ.) მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად **სამ მანეთად**, საზღვარ გარეთ 6 მან. 1914 წ. ხელის მომწერლები მიიღებენ საჩუქრად: **ილია ჭავჭავაძის, პეტალოცის, უშინსკის, რუსოს და კომენსკის სურათებს**. ალბომს ი. გედევანიშვილის პიესის „სინათლისას“ და „პატარა მურია“ სიტყვები აკაკისა, ნოტებზე დალაგებული ნ. ა. ყარაშვილის მიერ.

ჟურნალში არის ცალკე განყოფილება, სადაც იბეჭდება ყოველგვარი ცნობები ქ. შ. წერს-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და მისი განყოფილებათა მოქმედების შესახებ.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში**: ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის“ რედაქციაში და წერს-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში **ივანე ავალიშვილთან**. **ქუთაისში** ისილორე კვიციანიძესთან, **ბათუმში** ტრ. ინასარიძესთან და წიგნის მაღაზია „განთიადში“, ამ ორ ადგილას ზ. სამტრედიაში იყიდება ცალკე ნომრებიც, თითო 40 კ. სხვა ადგილებში უნდა მიმართონ პირდაპირ აგენტებს.

რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს დროზე დაიკუთონ ჟურნალი.

რედაქცია ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობს ჟურნალის თანდათან გასაუმჯობესებლად.

მისამართი: Тифлисъ. Дворянская Грузинская
Гимназія. Л. Г. Бопвадзе.

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე**.